პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მე-
ზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპა-
რაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურ[illegible]
75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გა-
რეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „პრო-
ლეტარს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“ განც-
ხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible]
[illegible] ცნობები—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დო-
კუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 8—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 13 აგვისტო 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 184 (1339)

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

- საფრანგეთი უარს ამბობს ვალების გადახდაზე.
- რუმინეთში ებრაელთა დარბევა გრძელდება.
- ბესარაბიაში სიმშილობა [illegible].
- სამხრეთ-სლავიამ იტალიას დაუკვეთა 100 ჰაეროპლანი.
- მოსკოვში ჩამოფრინდენ ფრანგი მფრინავები.
- ინგლისში უმუშევართა რიცხვი ერთ კვირაში 62.000-ით გაიზარდა.
- ბელგიის მელითონეთა გაფიცვა გრძელდება.

თემის ბიუჯეტი

დღეს ჩვენს გაზეთში მკითხველი ეცნობა ფინანსთა უწყების ვრცელ ცირკულიარულ ინსტრუქციას ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ. იმიტომ კი არ ვათავსებთ ასეთ ვეებერთელა მასალას, რომ ადგილის სიჰალე გვქონდეს, არამედ იმიტომ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის, კერძოდ თემის ბიუჯეტის საკითხი უაღრესი მნიშვნელობის მატარებელია დღევანდელ პირობებში.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება, რომელიც წარმოადგენს ჩვენს ერთ უმთავრეს ლოზუნგთაგანს, ცარიელ ლოზუნგად დარჩება, თუ მის განსახორციელებლად არ შევქმნით მტკიცე და გარკვეულ სამეურნეო-ფინანსიურ ბაზას. ეს კი პირველ ყოვლისა მოსახერხებელია სათემო და საერთოდ ადგილობრივი ბიუჯეტის ნიადაგზე.

დღემდე ჩვენ თემის ბიუჯეტი არ ჰქონია. ამის გამო თემს არ ჰქონდა დამოუკიდებელი აღმშენებლობითი მუშაობის საშუალება. იგი მეტ წილად შეჰყურებდა მაზრასა და ცენტრს. ეს ადუნებდა თემის საბჭოთა ორგანოების თაოსნობას და შემოქმედებას.

საკუთარი ბიუჯეტის უქონლობა ხშირად უშლიდა ხელს მიზანშეწონილ, რეალურ გეგმაზე დამყარებულ მეურნეობას. არსებულ რესურსებს ხშირად ანგარიშს არ უწევდენ და ხელს კიდებდენ ისეთ „დიდ“ საქმეებს, რომელთა გასაკეთებლად და დასამთავრებლად საშუალებები არ მოიპოვებოდა. არა იშვიათად ტყუილუბრალოდ, უსარგებლოდ იხარჯებოდა თემის განკარგულებაში მყოფი ის მცირე სახსარიც, რომლის მოხმარება შეიძლებოდა უფრო წვრილ, მაგრამ სოფლისათვის საჭირბოროტო და მნიშვნელოვან საჭიროებებზე.

თემის ბიუჯეტი ასეთ გარემოებას ბოლოს უღებს. ბიუჯეტი არ არის მარტო უბრალო ანგარიშწარმოება, არამედ იგი არის მუშაობის გეგმის გამოხატულება, რომელიც ითვალისწინებს—თუ პირველ რიგში რის გაკეთებაა საჭირო და შესაძლებელი და დაწვრილებით გამოანგარიშებულ არსებულ საშუალებათა ფარგლებში, რომელიც თემს გააჩნია.

ამგვარად, ბიუჯეტი ძირითადი პირობაა გეგმაშეწონილ აღმშენებლობისათვის, იგი გარკვეულ კალაპოტში აყენებს თემის საბჭოს (ამ შემთხვევაში სწორედ თემზე გვაქვს ლაპარაკი) მოღვაწეობას.

რეალური ბიუჯეტის შედგენის საქმეში უნდა გამოიჩინოს თავისი თაოსნობა და უნარი საბჭომ, მთელმა მშრომელმა მოსახლეობამ.

ბიუჯეტის შედგენა ჰგულისხმობს არა მარტო საგასავლო მუხლების აღნუსხვას,—არა ნაკლებ მნიშვნელოვანია შემოსავლის წყაროების გათვალისწინება. გარდა სახელმწიფოს დახმარებისა, ადგილებს მოეპოვებათ ადგილობრივი მნიშვნელობის საშემოსავლო წყაროები, მათი საზრიანად გამოყენება, მათი რიგიანი მოვლა-პატრონობა აგრეთვე იპოვის გამოხატულებას ბიუჯეტში. აქაც დიდი დაკვირვების და აღმშენებლობითი უნარის გამოჩენა დასჭირდებათ თემის მუშაკებს.

აღსანიშნავია ის საყურადღებო მოვლენაც, რომ ბიუჯეტის უქონლობა ხელს უწყობდა სოფლად საგადასახადო თვითნებობას, უკანონობას, „ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრას“, რომელსაც ხშირად აშკარა იძულების ხასიათი ჰქონდა. იწყებდენ მუშაობას უგეგმოდ და საშუალებათათვის ანგარიშის გაუწევლად, ადგილობრივი მუშაკები არა იშვიათად იძულებული ხდებოდენ კანონით დაუშვებელი საგადასახადო წყაროები გამოენახათ. ეს კი იწვევდა მოსახლეობაში სამართლიან უკმაყოფილებას. მტკიცე სათემო ბიუჯეტის შემოღება აღმოფხვრის ასეთ პრაქტიკას და გახდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი ეს მიიღო მხედველობაში და გადასწყვიტა სათემო ბიუჯეტის შემოღება. ასეთი დადგენილება გამოიტანა ცაკის მეორე სესიამ. ამ დადგენილების განვითარებას წარმოადგენს ის ცირკულიარი, რომელიც დღეს იბეჭდება.

თემის ბიუჯეტი სრულებით ახალი საქმეა ჩვენში. მისი გატარება დიდ სიფრთხილეს და მომზადებას მოითხოვს. მაზრებს ამ საქმეში დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული, რა თქმა უნდა, ცენტრის მიერ მიღებულ საერთო გადაწყვეტილებათა ფარგლებში. ადგილობრივმა სათანადო ორგანოება და მუშაკებმა სავსებით უნდა გაითვალწინონ სათემო ბიუჯეტის შემოღების მთელი სირთულე, სერიოზულობა და მნიშვნელობა; მათ მთელი თავისი გამოცდილება და ენერგია უნდა მოახმარონ ამ ღონისძიების წარმატებით განხორციელებას.

საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

ჩემბერლენი და ბრიანი „შეთანხმდენ“

საფრანგეთის პრესა საეჭვოდ სთვლის შეთანხმების პრაქტიკულად განხორციელებას

„უფრო ადვილია შეთანხმება, ვიდრე შეთანხმების პრაქტიკულად განხორციელება“

ვანდერველდე მიემგზავრება ლონდონში ჩემბერლენთან სათათბიროდ

ოფიციალური ცნობა.

ლონდონი, 11 აგვისტო. ბრიანის და ჩემბერლენის მოლაპარაკების გამო გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბრიანის და ჩემბერლენის შეხვედრა მოხდა დილით გარეშე საქმეთა სამინისტროში და განმეორდა საღამოზე. მოლაპარაკება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და ხვალ იქნება განახლებული.

რაზე თათბირობდენ ისინი.

ლონდონი, 11 აგვისტო. „რეიტერის“ სააგენტოს ცნობით ორივე მინისტრი იხილავდა პასუხს გერმანიის განცხადებაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ და აგრეთვე საგარანტიო ხელშეკრულების გეგმას.

ბრიანი და ჩემბერლენი შეთანხმდენ.

პარიზი, 11 აგვისტო. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით ბრიანი და ჩემბერლენი შეთანხმდენ იმ საკითხში, თუ რა ხასიათის პასუხი უნდა გაეგზავნოს გერმანიას მის განცხადებაზე.

მოლაპარაკება იმდენად წარმატებით მიმდინარეობს, რომ ბრიანის აზრით იგი დამთავრდება ხვალ.

საფრანგეთის პრესა ბრიანის და ჩემბერლენის შეხვედრის შესახებ.

პარიზი, 11 აგვისტო. ბრიანის და ჩემბერლენის შეხვედრის გამო საფრანგეთის პრესა ხაზს უსვამს ინგლისის და საფრანგეთის მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას ევროპაში მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის, მაგრამ გაზეთები ამავე დროს შენიშნავენ, რომ უფრო ადვილია ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაზე ლაპარაკი, ვიდრე მისი განხორციელება.

ინგლისის და საფრანგეთის მიზნები საგარანტიო ხელშეკრულების საკითხში სხვადასხვანაირია: საფრანგეთს განზრახული აქვს პოლონეთის დაცვა გერმანიის მხრივ მოსალოდნელ თავდასხმისაგან, მაშინ, როდესაც ინგლისი არ არის დაინტერესებული პოლონეთის დაცვით და მზადაა საფრანგეთის ჩარევა პოლონეთის სასარგებლოთ ერთა ლიგის მსჯელობის საგნათ გახადოს.

საფრანგეთის პრესა ერთხმოვნად აცხადებს, რომ მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა ამ მხრივ მიუღებელია.

ვანდერველდეც ლონდონში მიემგზავრება.

ლონდონი, 11 აგვისტო მარსელში გამართულ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე მონაწილეობის შემდეგ ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრი ვანდერველდე გაემგზავრება ლონდონში ჩემბერლენთან მოსალაპარაკებლად საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

ამ საკითხში ბელგიის თვალსაზრისი სავსებით ეთანხმება საფრანგეთისას.

გერმანიის რეიხსტაგში

მთავრობის პარტიების უმრავლესობის ახალი ძალადობა

ბერლინი. 11 აგვისტო. საბაჟო კანონპროექტის გარშემო გამართულ კამათის დასრულების შემდეგ მთავრობის ბლოკმა წარადგინა წინადადება, რათა კანონპროექტი მიღებული იქნას ერთხელ კენჭის ყრის შემდეგ, წინააღმდეგ რეგლამენტისა, რომელიც მოითხოვს 3-ჯერ კენჭის ყრას.

ამ წინადადებას პროტესტით შეხვდენ კომუნისტები და სოციალისტები, მაგრამ წინადადება მიღებულ იქნა, ამასთანავე ცენტრის დეპუტატების ერთმა ნაწილმა ხმა მისცა ოპოზიციასთან ერთად, დემოკრატებმა თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან. სოციალ-დემოკრატებმა და კომუნისტებმა დემონსტრატიულად დასტოვეს სხდომის დარბაზი ძახილით: „ძირს მყვლეფავი საბაჟო გადასახადები“.

რეფორმისტები არიან დამნაშავე

ბერლინი. 11 აგვისტო. „როტე ფანე“ აცხადებს, რომ რეიხსტაგის უმრავლესობის პოლიტიკაში გადასახადთა საკითხების შესახებ დამნაშავე არიან, უმთავრესად, გერმანიის პროფკავშირთა ბელადები, რომლებიც ხელს უწყობენ მუშათა კლასის შევიწროებას.

მდგომარეობა ჩინეთში

ინგლისის საელჩოს ჩინელ მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება

ტიან-ცზინში გაფიცვა ფართოვდება. მოელიან ნავთსადგურის მუშების გაფიცვას

ჩინელი სტუდენტები სტოვებენ უცხოელთა უნივერსიტეტებს

გაფიცვა ფართოვდება

პეკინი, 11 აგვისტო. ინგლისის საელჩოში მოსამსახურე ჩინელების გაფიცვა პეკინში ფართოვდება. გაფიცვას შეუერთდენ საელჩოს ელექტრონის სადგურის მუშები: ჩინელმა მუშებმა გააფუჭეს არტეზიანელ ჭების საქაჩავები. წყლის უქონლობის გამო ინგლისის საელჩოს შენობა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

მისიის ჩინელმა მოსამსახურეებმა აცნობეს ჟურნალისტებს, რომ მათ საელჩოში ეპყრობოდენ, როგორც „ქუჩის ძაღლებს“.

ინგლისის რწმუნებული პეკინში აწარმოებს მოლაპარაკებას პეკინის მთავრობასთან გაფიცვის საკითხის მოწესრიგების მიზნით.

უცხოელთა ფირმების ჩინელ მოსამსახურეთა კავშირმა ინგლისის საელჩოს გაუგზავნა წერილი შემდეგი მოთხოვნილებით: გაიწვიოს ინგლისის კონსულები შანხაიდან, ხანკოუდან, კანტონიდან და პეკინიდან, გაიყვანოს ინგლისის სამხედრო გემები და სამხედრო რაზმები ჩინეთიდან, ინგლისმა ოფიციალურად მოიხადოს ბოდიში, დასჯილი იქნენ დამნაშავენი მკვლელობაში და გაუქმებული იქნას უთანასწორო ხელშეკრულებანი.

მოძრაობა ტიან-ძინში

პეკინი, 11 აგვისტო. ტიან-ძინში საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება.

ხელახლა გაიფიცა რამდენიმე საფეიქრო ფაბრიკა, რომელთა მუშებმა წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნილებანი. უმეტეს შემთხვევაში ეს მოთხოვნილებანი დაუყოვნებლივ იქნა დაკმაყოფილებული.

გაიმართა მეწარმოებელთა კონფერენცია გაფიცვის გაფართოების თავიდან ასაცილებლად.

მიღებულია ცნობები, რომ მზადდება ნავთსადგურების მუშათა საყოველთაო გაფიცვა.

ინგლისის სამხედრო გემი გონკონგში

პეკინი, 11 აგვისტო. გონკონგში მალტიდან ჩავიდა ინგლისის სამხედრო გემი „გერმესი“, რომელიც წარმოადგენს სადგურს 40 ჰაეროპლანისათვის.

სტოვებენ მყვლეფელების სკოლებს

პეკინი, 11 აგვისტო. სამისიონერო სკოლების სტუდენტთა ფედერაციამ განაცხადა, რომ სამისიონერო ორგანიზაციების მიერ გახსნილი სკოლები ემსახურებიან იმპერიალისტურ პროპაგანდის მიზნებს.

ფედერაციამ დაადგინა გახსნას ახალი სკოლები იმ სტუდენტებისათვის, რომელნიც სტოვებენ მისიონერთა სკოლებს; პირველ რიგში ამ სკოლებში გადაყვანილი იქნებიან ინგლისის სამისიონერო სკოლების სტუდენტები.

ჩინეთს ვალებს სთხოვენ

ვაშინგტონი, 11 აგვ. ტოკიოდან მიღებულ ცნობებით იაპონიამ ჩინეთს წარუდგინა მოთხოვნილება ვალების გადახდის შესახებ. ამ ცნობებთან დაკავშირებით გარეშე საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ ამერიკას განზრახული აქვს საბაჟო გადასახადების განსახილველად მოწვეულ კონფერენციაზე განიხილოს აგრეთვე ჩინეთის ვალების საკითხი.

კონფერენცია საბაჟო გადასახადების შესახებ.

პეკინი, 11 აგვ. ჩინეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს კონფერენციას ბაჟების საკითხის შესახებ. დადის ხმები, რომ მთავრობას განზრახული აქვს მოიწვიოს კონფერენცია 15 სექტემბერს.

გაზეთების უმრავლესობა ილაშქრებს კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ დღევანდელ პირობებში.

უკანასკნელ ცნობების თანახმად მთავრობა გადასინჯავს ამ საკითხს.

სამხრეთ-სლავია იარაღდება

ვენა, 11 აგვისტო. როგორც რომიდან იუწყებიან, სამხრეთ-სლავიამ შეუკვეთა საფრანგეთს ბრეგეს ტიპის 100 ჰაეროპლანი; ამრიგათ საჰაერო ფლოტის სიძლიერეში სამხრეთ-სლავია წინ გაუსწრებს ბალკანეთის დანარჩენ სახელმწიფოებს.

ამის შესახებ იტალიური გაზეთი „ეპოკა“ სწერს: „სამხრეთ-სლავია ძლიერდება. საჭიროა გავაძლიეროთ ჩვენი ძალები, რომ შევინარჩუნოთ უპირატესობა ადრიატიკის ზღვაში და დავიცვათ ხმელთაშუა ზღვა“.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ესტონეთის ელჩი უარყოფს კუნძულ დაგოსა და ეზელის გადაცემას ინგლისისათვის

საბჭოთა ესპერანტისტები არ დაუშვეს ვენაში

საბჭოთა პურის საექსპორტო კამპანიის დაწყების გამო პარიზში გაიმართა დიდი ბანკეტი

ლენინგრადში ჩავიდა უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია

ესტონეთის რწმუნებულის განცხადება

მოსკოვი, 12 აგვისტო. ესტონეთის რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში ეგიმ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრს არალოვს გადასცა ნოტა, რომელშიაც ესტონეთის მთავრობის სახელით კატეგორიულად უარყოფს ცნობებს ინგლისისათვის ესტონეთის კუნძულების ეზელის და დაგოს იჯარით გადაცემის შესახებ. ნოტაში ნათქვამია, რომ ეს ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ნოტა გამოსთქვამს იმედს, რომ მომავალში ასეთი ხმების გავრცელებას საბჭოთა კავშირის პრესაში ადგილი აღარ ექნება.

ცრუ ხმების უარყოფა

პარიზი, 11 აგვისტო. უარყოფენ ზოგიერთ გაზეთების ცნობას, თითქოს საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს გაიწვიოს ერბეტი მოსკოვიდან იმისათვის, რომ ვითომ ის გაბოლშევიკდა.

ნამდვილათ კი ერბეტს იწვევენ პარიზში ბრიანთან მოსალაპარაკებლად რუსეთის საქმეების შესახებ.

საბჭოთა ესპერანტისტები არ დაუშვეს ვენაში

მოსკოვი, 12 აგვისტო. ავსტრიის მთავრობამ უარი სთქვა საბჭოთა ესპერანტისტებისათვის ვიზის მიცემაზე მათ დასაშვებლათ მუშა-ესპერანტისტების საერთაშორისო კავშირის კონგრესზე, რომელიც დანიშნული იყო 11 აგვისტოსათვის ვენაში.

ესპერანტისტთა კავშირის ც. კ. ამის გამო ავსტრიის მთავრობას განუცხადა პროტესტი—და მოუწოდა ყველა მშრომელ ესპერანტისტებს შეამჭიდროვონ თავისი რიგები.

საბჭოთა პური საფრანგეთის ბაზარზე

ბანკეტი პარიზში

პარიზი 11 აგვ. ორშაბათს კრასინის თავმჯდომარეობით გაიმართა ბანკეტი, რომელიც მოაწყო საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლობამ საფრანგეთში პურის საექსპორტო კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით.

ბანკეტზე მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის კომერციულ წრეების, სამომხმარებლო კოოპერატივების და პურის იმპორტიორების მრავალმა წარმომადგენლებმა.

კრასინის სიტყვა

კრასინმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის მომენტიდან საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ბრუნვა მილიონ ფრანკამდე ავიდა.

ტედესკოს პასუხი

დამსწრე სტუმრების სახელით საფრანგეთის პურის ბირჟების მაკლერების კავშირის თავმჯდომარემ ტედესკომ გულითადი მადლობა გადაუხადა კრასინს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის.

ბანკეტის დასრულების შემდეგ მისმა მონაწილეებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს სახ. კომისართა საბჭოს, საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის და „პურის ექსპორტის“ გამგეობას.

დეპეშა საკავშირო სახკომსაბჭოს

„პურის იმპორტიორები, კარაქის მრეწველობის წარმომადგენლები და გემების მეპატრონეები და აგრეთვე საფრანგეთის ეკონომიური პრესის წარმომადგენლები უგზავნიან მილოცვას 1925 წლის მოსავლის სარეალიზაციო კამპანიის დაწყების და აგრეთვე „პურის ექსპორტის“ საზოგადოების წლის თავის გამო და გამოსთქვამენ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის ერები გაერთიანდებიან და ხელს შეუწყობენ ეკონომიურ მდგომარეობის განმტკიცებას ორივე ქვეყნის საკეთილდღეოდ“.

უცხოელ მასწავლებელთა დელეგაციის ჩამოსვლა

ლენინგრადი, 12 აგვისტო. დღეს ჩამოვიდა გერმანელ, ფრანგ და ბელგიელ მასწავლებელთა კავშირების დელეგაცია 38 კაცის შემადგენლობით.

დელეგაციის შესახვედრად თავი მოიყარა რამოდენიმე ათასმა მასწავლებელმა ორკესტრების და პლაკატებით. მისასალმებელი სიტყვა დელეგაციის სახელით წარმოსთქვა ბელგიელმა ვანდგეიმმა, რომელიც მიესალმა ლენინგრადელებს. როგორც რევოლიუციის პიონერებს და მასწავლებლებს, როგორც ამხანაგებს პროფესიით. „მე ვიცი—განაცხადა ვანდგეიმმა—რომ საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელმაც განახორციელა აღზრდის კულტურული თავისუფალი ფორმები, მე მრწამს, რომ ახლოა დრო, როდესაც ევროპის ყველა ქვეყნები მოიშორებენ კაპიტალის უღელს და წავლენ საბჭოთა კავშირის გზით. გაუმარჯოს ყველა ქვეყნების განათლების მუშაკთა თავისუფალ კავშირს“.

ხვალიდან დელეგაცია შეუდგება ლენინგრადის დაწესებულებათა გაცნობას.

საფრანგეთი უარს ამბობს ვალების გადახდაზე

კაიოს განცხადება

ლონდონი, 11 აგვისტო. ინგლისელ და ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა კაიომ დაახასიათა საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა და განაცხადა, რომ საფრანგეთი არავითარ ვალდებულებას არ იკისრებს ვალების საკითხში, რადგან ის ამას შეასრულებს და მოითხოვს ისეთსავე შეღავათების მინიჭებას, როგორიც მიიღეს ამერიკის სხვა მოვალეებმა.

კაიოს სიტყვით, მაროკოს ომი საფრანგეთს დაუჯდა 200 მილიონი ფრანკი; კიდევ 250 მილიონი ფრანკი იქნება საჭირო კამპანიის დასამთავრებლად.

პარიზის რაიონის პროფკავშირთა კონფერენცია

პარიზი, 11 აგვისტო. პარიზის რაიონის პროფკავშირთა კონფერენციაზე მონმუსოს მოხსენების შემდეგ გამოვიდენ სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლები. ამასთანავე ყველა ისინი გამოსთქვამდენ სურვილს, რათა აღდგენილი იქნეს პროფმოძრაობის მთლიანობა.

პარიზის პროფკავშირთა გაერთიანების მდივანმა რენომ განაცხადა, რომ თუ შრომის გენერალური კონფედერაცია აღდგენილი იქნა უნიტარულ პროფკავშირების და რეფორმისტული კავშირების გაერთიანების საფუძველზე, უნიტარული კავშირები მზად არიან დაემორჩილონ უმრავლესობას თუნდაც რეფორმისტულს, მხოლოდ იმ პირობით, რათა კონფედერაციის შიგნით შესაძლებელი იქნეს რევოლიუციონური თვალსაზრისის დაცვა „მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა—სთქვა რენომ—იქნება ხანგრძლივი, მაგრამ იგი იქნება მტკიცე“.

პოლონეთის კომპარტიის მოწოდება

მოსკოვი, 12 აგვისტო. „რემედახის“ აღმასკომმა მიიღო პოლონეთის კომპარტიის მიმართვა ბოტვინის დახვრეტის გამო. მიმართვაში პოლონეთის კომპარტია მოუწოდებს მუშებს შეადგინონ ერთიანი ფრონტი პროვოკაციასთან საბრძოლველად. მოწოდებაში ნათქვამია, რომ კომუნისტები უარჰყოფენ ინდივიდუალურ ტერორს და რომ მუშათა რიგებიდან პროვოკატორების მოშორება, არ არის ინდივიდუალური ტერორი—ეს არის მუშათა კლასის თავდაცვა მოღალატეებისაგან. მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით: „ძირს მოღალატეები და პროვოკატორები, გაუმარჯოს პროვოკაციასთან მებრძოლ გმირებს ბოტვინს, ჰიპნერს, კნიევსკის და რუტკოვსკის“.

ხელშეკრულება კომუნიზმის და ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ

თითქმის ნახევარი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ჩემბერლენი თავის საიდუმლო ნოტაში საფრანგეთისადმი შემდეგნაირ აზრებს გამოსთქვამდა საგარანტიო ხელშეკრულების საკითხის შესახებ:

„ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იმპერიალისტურ ომში დამარცხებული ცენტრალურ ევროპის ხალხები ფსიქოლოგიურათ ემზადებიან საბჭოთა კავშირთან სამხედრო შეთანხმებისათვის. ამასთანავე გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შესაძლებლობა იზრდება საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობის სტაბილიზაციასთან ერთად. კომუნიზმის და ინტერნაციონალიზმის გაძლიერებასთან იბადება ისეთი კავშირის საშიშროება, რომელზედაც ოცნებობენ გერმანელი და რუსი ნაციონალისტები“.

ჩვენ თავიდანვე ვიცოდით რა მუცლის გვრემაც აწუხებდა ანტანტის ბურჟუებს, როცა ისინი ასე გულმოდგინეთ ჩაეჭიდენ გერმანიის წინადადებას საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ და ერთი დიპლომატიური კორიანტელი ააყენეს ამ საკითხის გარშემო. დღეს ეს ფარული ზრახვები აღიარებულია თვით ჩემბერლენის პირით.

მაგრამ, ვიმეორებთ, ექვსი თვე გავიდა, რაც ეს საიდუმლო უსტარი დასწერა კონსერვატორ ჩემბერლენმა და საკითხი საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ ისევ თავსამტვრევ ამოცანად დგას ევროპის დიპლომატიურ წრეების წინაშე.

ვაჭრობა ჯერაც არ გათავებულა· ყველა ცდილობს ხელი მოითბოს ამ საქმეზე, ყველას უნდა მეტი დასცინცლოს მოწინააღმდეგე მხარეს და ბოლოს და ბოლოს კი ყველა ეს კომბინაციები მიმართულია საბჭოთა კავშირის მშრომელთა მშვიდობიან ცხოვრების და კეთილდღეობის წინააღმდეგ.

დღეს დეპეშებმა ცნობა მოიტანა, რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ბრიანი პირადათ ეწვია ჩემბერლენს. როგორც ამავე დეპეშიდან ვტყობილობთ „მათი საუბარი იმავე საბედისწერო საგარანტიო ხელშეკრულებას შეეხება.

ჩვენ ვიცით როგორ მჭიდროთაა გადახლართული ერთი მეორეზე ინგლისს-საფრანგეთის ინტერესები ჩრდილოეთ დასავლეთ აფრიკაში, სადაც ეს რამდენი ხანია თავგამოდებით იბრძვის საფრანგეთ-ისპანიის იმპერიალიზმით სასოწარკვეთილებამდი მიყვანილი რიფები. არც სირიაში ადგია კარგი დღე საფრანგეთის კოლონიალურ ჯარებს.

ამავე დროს ჩინეთის ამბებში ინგლისის იმპერიალიზმი გათიშული და განმარტოებული დარჩა. ყველა ცდილობს ზურგი შეაქციოს „ცბიერ ალბიონს“ და მომხდარ უბედურების მთელი ცოდვები მას მოახვიოს თავზე.

აქედან ადვილი გასაგებია ის იშვიათი სისწრაფე მოლაპარაკების წარმოებაში და შეხმატკბილებული ჭიკჭიკი, რომლის შესახებაც იტყობინება ევროპის ბურჟუაზიული პრესა ჩემბერლენ-ბრიანის მოლაპარაკების გამო.

თქმა არ უნდა მათი ეს თანხმობა აფრიკისა და აზიის კოლონიალურ ხალხების ხარჯზე ხდება. გარდა ამისა ცნობა მოვიდა, რომ მისი უდიდებულესობის ბელგიის მეფის მინისტრი ვანდერველდე საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესიდან, რომელიც ეხლა მიმდინარეობს მარსელში, პირდაპირ ჩემბერლენისკენ გაეშურება თავისი საცემლათ და იმავე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად.

რა შედეგი უნდა გამოიღოს ანტანტის გარეშე საქმეთა მინისტრების ამ უკანასკნელ დარბაზობამ? შეუძლია თუ არა მათ შეთანხმებას რაიმე რეალური ნაყოფი მოიტანოს, გარდა ამისა, რომ წინააღმდეგობის ხლართი კვლავ მეტი სიმწვავით წამოიჭიმება ანტანტის წინაშე და ახალი დარბაზობის კიდევ ერთი მორიგი საჭიროება დაიბადება.

ამას კარგათ გრძნობს თვით საფრანგეთის ბურჟუაზია, რომელიც მაინცა და მაინც დიდ ზეიმის გუნებაზე არაა ბრიან-ჩემბერლენის სწრაფი მორიგების გამო. „საფრანგეთ-ინგლისს შორის, აცხადებს პარიზის პრესა, უფრო ადვილია შეთანხმების გამომუშავება, ვიდრე მისი განხორციელებაო“.

ეს ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც კბილებს სტეხავს და ადუნებს ანტანტის იმპერიალიზმის შეტევითი უნარს საბჭოთა კავშირის და მსოფლიო რევოლიუციურ მოძრაობის ერთ-ერთი საუკეთესო მოკავშირეთაგანია.

რვა თვეა იბადება საგარანტიო ხელშეკრულება. მეტად მძიმე პირობებშია მისი მშობიარე. ლონდონის უკანასკნელ მოლაპარაკების შემდეგ მას თითქოს გამომჯობინება ეტყობა ჩვენ არ ვიცით რამდენათ დააჩქარებს ის საკითხის გადაჭრას, როდის ვიხილავთ მზის სინათლეზე საგარანტიო ხელშეკრულებას.

მხოლოდ ერთი თავიდანვე ცხადი იყო და ეხლაც ნათელია ჩვენთვის საგარანტიო ხელშეკრულება, რომელიც ისახავს ჩემბერლენის სიტყვით კომუნიზმის და ინტერნაციონალიზმის საშიშროებასთან ბრძოლას, კიდევ ახალ საფრთხეს ჰქმნის საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხისათვის საერთაშორისო ფრონტზე და მშვიდობიანობის ნაცვლად, როგორც ამას მისი ფარისეველი ავტორები აცხადებენ, ახალ კონფლიქტების და შემოსევის შესაძლებლობის ჰბადებს.

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ფხიზლად უნდა ადევნონ თვალი მსოფლიო ბურჟუაზიის მახინაციებს და მზად უნდა იყვნენ, ყოველივე საფრთხის ჯეროვნათ შესახვედრათ.

ამ საქმეში ჩვენ საერთაშორისო პროლეტარიატს გარდა ორი უძლიერესი მოკავშირე გვეყოლება. ესენი ერთის მხრივ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ზრდა, რომელიც ძილს უფრთხობს ჩემბერლენს და კაპიტალის სხვა დამქაშებს და ის გადაულახავი შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიულ საზოგადოებას.

კინ.

ერთი გამოძიების ისტორიიდან

თავის უკანასკნელ წერილში რედაქციის მიმართ დუშელი კორესპონდენტი „იქაური“ სხვათა შორის იტყობინება: „ვმუშაობ მაზრის სხვადასხვა თემებში და, თუ მოკლული ვიქნები, მომკლავს ალექსი ჯარიაშვილი ან და ვინმე მისი მოსყიდულიო“.

რა მოხდა ასეთი? რა დააშავა სოფლის კორესპონდენტმა, რომ მისი არსებობა საშიშროების ქვეშ მოექცა და ის იძულებული ხდება წინასწარ მხილების განცხადებით მომართოს რედაქციას?

ჯარიაშვილი დუშეთის მაზრის ერთი პასუხისმგებელი მუშაკთაგანია. მას სხვათა შორის აბარია მაზრის დამზღვევ სალაროს ხელმძღვანელობაც. მიმდინარე წლის ორ ივლისს კორესპონდენტ „იქაურმა“ მოათავსა ჩვენს გაზეთში პატარა შენიშვნა, რომ დამზღვევ სალაროს თავმჯდომარე ჯარიაშვილი სალაროში მუშაობას დღეში ათი-თუთხმეტ წუთს ანდომებს და ამ შრომისათვის ყოველ თვიურად 123 მანეთს ღებულობსო. მისი ამ სალაროში მუშაობა კი მხოლოდ ქაღალდების ხელის მოწერაში გამოიხატებაო.

ეს პატარა შენიშვნა საკმარისი შეიქმნა, რომ დუშეთის მთელი რიგი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანოებისა ყალყზე დამდგარიყო. გამოგზავნეს რედაქციაში დელეგაცია, დელეგაციას მოაყოლეს ქაღალდები-ქაღალდებზე, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მაზრის საბჭოთა მუშაკების კავშირის გამგეობის მოწერილობა:

...„გამგეობა სთხოვს რედაქციას, რათა „იქაურის“ გვარი და სახელი იქნეს გადმოგზავნილი დუშეთის სამაზრო პარტკომის უჯრედში საქმის გამოსარკვევად. დამწერს კი გამგეობა ამგვარი ცილისწამებისათვის უცხადებს სასტიკ საყვედურს, რადგანაც წერილი სრულ სიცრუეს შეიცავს“...

ამნაირად ჯერ გამოძიება არ მომხდარა, და განაჩენი გამოტანილია, თვით გამგეობა ითხოვს კვლევა-ძიების წარმოებას და ამავე დროს ავანსათ „სასტიკ საყვედურს“ უცხადებს კორესპონდენციის ავტორს.

ჩვენ მაშინვე ეჭვი შეგვეპარა დუშელ მოსამართლეების კეთილ განზრახვაში. კორესპონდენტის გვარი და სახელი, რა თქმა უნდა, საბჭოთა მუშაკების კავშირის გამგეობას არ გადავუგზავნეთ, მხოლოდ წინადადება მივეცით გამოძიება ადგილობრივ მოეხდინათ და პასუხი გაეცათ შემდეგ კითხვებზე: რა თანამდებობა უჭირავს ჯარიაშვილს დამზღვევ სალაროში, რამდენ ხანს ანდომებს ის ყოველდღიურათ სალაროში მუშაობას და როგორი გასამრჯელოს იღებს ამისათვის.

შესდგა ადგილობრივ გამომძიებელი ანუ უკეთ, უჩინარ „იქაურის“ გამომძებნელი კომისია. მართალია რედაქციამ ვერ დააკმაყოფილა კეთილ გამომძიებლების ცნობისმოყვარეობა, მაგრამ „ღვთის“ მადლით, დუშეთი არც ისე დიდი ქალაქია, რომ იქ გასჭირდეს ერთი უსახელო „ბოროტმოქმედის“ აღმოჩენა.

დაიწყო იქედან, როგორც გვწერს კორესპონდენტი „იქაური“, რომ იჭვი მიიტანეს ერთ-ერთ პირზე. ჯერ შეეცადენ, რომ ის ნებაყოფლობით გამტყდარიყო და ეღიარებინა თავისი „დანაშაული“. როცა ამ ხერხმა არ გასჭრა, მაშინ მიმართეს უფრო გონიერ საშუალებას, რომლის მსგავსი სახელგანთქმულ დიმოვკის და იაკუბოვშჩინის გმირებსაც არ მოსვლიათ თავში.

იჭვში ამოღებულ პირს ეგზავნება კომისიის ხელმოწერით ოფიციალური ქაღალდი, სადაც მას წინადადება ეძლევა წერილობით აცნობოს კომისიას მისი შეხედულება ჯარიაშვილის სალაროში მუშაობის შესახებ. „გთხოვთ მოგვცეთ კონკრეტიული პასუხი და აგრეთვე გამოსთქვათ თქვენი აზრი იმ საკითხის გარშემო და სამი დღის განმავლობაში წარმოადგინოთ კომისიაში“, ასე თავდება ეს თავის თავხედობით იშვიათი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს ვინმე არსენიძე და მამალაძე.

ამავე დროს საგამომძიებლო კომისიამ საქმის გამოსარკვევად იმაზე კარგი საშუალება ვერ ნახა, რომ დაეკითხა ჯარიაშვილის ხელქვეითი სალაროს თანამშრომლები. ძალიან გაუჭირდათ, როგორც სჩანს გამოძიებიდან, გულკეთილ ხელქვეითებს თავმჯდომარის ხათრის გატეხა, მაგრამ სინამდვილეს მაინც ვერ უღალატეს.

კომისიის შეკითხვაზე, თუ რამდენ საათს მუშაობდა ჯარიაშვილი სალაროში, ერთი მათგანი უპასუხებს: „დღეში არა ნაკლებ სამ საათ ნახევრისა, გაზეთში გამოქვეყნებამდი. შემდეგ კომისია ეკითხება მას, არის თუ არა შემთხვევა, რომ ჯარიაშვილი 10—20 წუთით შემოდის სალაროში ხელს აწერს ქაღალდებს და შემდეგ მიდის. იგივე თანამშრომელი უპასუხებს: „ასეთი შემთხვევა არის“, კომისია განაგრძობს; ხშირი იყო შემთხვევა, რომ დღეში 10—20 წუთით აწერდა ხელს და მიდიოდა“. პასუხი. „კვირაში სამი დღე“.

როგორ ფიქრობთ თქვენ, ადასტურებს თუ არა ეს გამოძიება „იქაურის“ მიერ წამოყენებულ ბრალდებას. აქ თითქოს იჭვიც არავის უნდა რჩებოდეს კორესპონდენციის სრულ სიმართლეში.

მაგრამ სულ სხვანაირად მსჯელობს დუშელი საგამომძიებლო კომისია. მისი უტიფრობა იქამდის მიდის, რომ ამ საგამომძიებლო მასალას რედაქციას უგზავნის და თანვე დასძენს: „ეცნობოს კომუნისტურ (!) რედაქციას გააბათილოს ჯარიაშვილზე წაყენებული ბრალდება“.

ამავე დროს „იქაურის“ ძებნა გრძელდება. მას, ვინ იცის, რით არ იმუქრებიან. კორესპონდენტი დარწმუნებულია, რომ საქმე უხიფათოდ არ გათავდება. შეიძლება ეს გადაჭარბებული შიშია. ძალიანაც რომ უნდოდეს ვინმეს, ვერავინ გაბედავს გლეხკორზე ხელის აღებას, რადგან იცის, რომ ეს მას შაქრათ არ შეერგება. მაგრამ რამდენათ დასაშვებია სამაზრო ცენტრში, თბილისის გვერდით, სოფლის კორესპონდენტის ასეთი დაუნდობელი დევნა და ტერორის ქვეშ დაყენება?

დუშეთის მაგალითზე იქნებ შეჩერებაც არ ღირდა, მაგრამ ვის შეუძლია დაგვარწმუნოს, რომ ჩვენი სოფლების მივარდნილ კუთხეებში ამაზე მეტი სისაძაგლე არ ხდება?

მოდი და ამის შემდეგ ელაპარაკე კიდევ ჩვენ ზოგიერთ ადგილობრივ ამხანაგებს სოფლად გლეხთა თვითმოქმედების და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმის შესახებ!

ა. ბრელისელი.

საბჭოთა კავშირის 1925-26 წ. ბიუჯეტი

საუბარი საბჭოთა კავშირის ფინსახკომის კოლეგიის წევრთან—ამხ. ა. ი. ვაინშტეინთან.

1925—26 წლის სახელმწიფო ბალანსი.—შემოსავლის გადიდება 800 მილ. მანეთით.—არასაგადასახადო შემოსავალი.—ხარჯები.

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი—ამხ. ა. ი. ვაინშტეინი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს 1925-26 წლის ბიუჯეტის შესახებ განაცხადა შემდეგი.

ბიუჯეტის შედგენა

— ძირითადი საკითხი, რომელზედაც ამ ჟამად მუშაობს საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, შეეხება მომავალი 1925—26 წლის ბიუჯეტის შედგენას.

სახელმწიფო ხარჯების და შემოსავლის წინასწარი ბალანსი 1925—26 წლისათვის უკვე შედგენილი და დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. ეს ბალანსი იძლევა როგორც მთელი ბიუჯეტის, ისე მისი ცალკე ნაწილების ერთგვარი ზრდის პერსპექტივას. ბიუჯეტის შედგენის მთელი სიმძიმე მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ჩვენი მეურნეობის ზრდასთან ერთად ჩქარის ტემპით იზრდება ჩვენი კავშირის მუშათა და გლეხთა მასების კულტურული მოთხოვნილებებიც.

მეურნეობის ზრდა, ერთის მხრივ, ნიშნავს შემოსავლის ზრდას, მაგრამ ამავე დროს ის ნიშნავს ხარჯების გადიდებასაც; ეს ხარჯები კი საჭირო როგორც თვით მეურნეობის საჭიროებების, ისე კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ.

შემოსავალი

რაც შეეხება შემოსავლის ზრდას, უნდა ითქვას, რომ წარსულ წელთან შედარებით განზრახულია მათი რეალური გადიდება არა ნაკლებ 800 მილ. მანეთისა. ასეთი სწრაფი ზრდა არ ახსოვს წარსული დროის არც ერთ ბიუჯეტს, ამასთანავე განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არასაგადასახადო შემოსავლის გადიდება განზრახულია უფრო მეტად, ვიდრე საგადასახადო შემოსავლის გადიდება.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, როგორც ყველამ იცის, წარსულ წელთან შედარებით შემცირებულია. სამაგიეროდ სხვა პირდაპირი გადასახადები იძლევიან მომატებას 22,3 პროც., აქციზი—69,3 პროცენტით, საბაჟო შემოსავალი—4,63 პროც., ბაჟი—28,7 პროც.

არასაგადასახადო შემოსავალი ტრანსპორტის შემოსავალი—გაიზრდება 46,2 პროც., ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი—34,4 პროც., მრეწველობის და ვაჭრობის შემოსავალი—49 პროც., ბანკების—100 პროც., ტყეების—30 პროც. არასაგადასახადო შემოსავალი საერთოდ გაიზრდება 53,3 პროც., საგადასახადო შემოსავალი კი—26,5 პროც.

გასავალი

შემოსავლის 800 მილიონ მანეთით გადიდებასთან ერთად ამდენადვე გაიზარდა გასავალიც.

წინასწარი ბალანსის მიხედვით სოფლის მეურნეობას დასჭირდება 140 მილიონი მანეთი, მრეწველობას—150 მილ. მანეთამდე, ელექტროფიკაციისათვის—60 მილ. მან., კომუნალური კრედიტი 60 მილ. მან. და კოოპერაციას 25 მილ. მანეთი.

მრეწველობის კაპიტალი.

ჩვენ უმთავრეს ამოცანას შეადგენს მრეწველობის ძირითადი თანხების აღდგენა.

ამ მიზნით, ერთის მხრივ, გადებული იქნება მნიშვნელოვანი თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მეორეს მხრივ კი განზრახულია გამოუშვათ „სესხი მეურნეობის აღსადგენად“, რომელიც მისცემს ჩვენ მეურნეობას არა ნაკლებ 300 მილ. მანეთისა.

რასაკვირველია ყველაფერი ეს ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილებას, მაგრამ ვინაიდან ჩვენ მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა გავეყრდნოთ, ამიტომ იძულებული ვართ ასეთი პერსპექტივითაც დავკმაყოფილდეთ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სტუდენტთა საერთაშორისო კონფედერაციის საბჭოს სესიაზე მიწვევა

მოსკოვი, 12 აგვისტო. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან არსებულ პროლეტარულ სტუდენტობის ცენტრალურმა ბიურომ მიიღო მიწვევა 15 აგვისტოსათვის კოპენჰაგენში მოწვეულ სტუდენტთა საერთაშორისო კონფედერაციის საბჭოს მეორე სესიაზე, რისთვისაც უნდა გაგზავნოს იქ წარმომადგენლები. ამ მიწვევის შემდეგ მოსალოდნელია ემიგრანტ-სტუდენტთა ორგანიზაციების გამორიცხვა კონფედერაციიდან.

ბელორუსია

ბოიკოტი ძალაში რჩება

მინსკი, 12 აგვისტო. ბელორუსიის წითელი ჯვრის საზოგადოება მიწვეული იქნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც გაიმართება ჟენევაში.

ვინაიდან შვეციარიას ბოიკოტი აქვს გამოცხადებული ბელორუსიის წითელმა ჯვარმა არ მიიღო ეს მიწვევა.

ლეონიდ ანდრეევის ქვრივის წერილი

მოსკოვი, 12 აგვისტო. სამეცნიერო აკადემიამ ფინეთიდან ლეონიდ ანდრეევის ქვრივისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც ის იუწყება, რომ მისი ქმრის შემდეგ დარჩენილი ხელთნაწერებს და კოლექციის სხვადასხვა საგნების და წიგნებისას ის სწირავს სამეცნიერო აკადემიის პუშკინის სახლის სახლს.

პუშკინის სახლში მოეწყობა სპეციალური კუთხე, ლეონიდ ანდრეევის ხსოვნის აღსანიშნავად.

მაქსიმ გორკის წერილი

პოლტავა, 12 აგვისტო. მაქსიმ გორკის სახელობის ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივის წევრებმა ამ დღეებში მიიღეს წერილი, რომელშიაც გორკი მიესალმება კოლონისტებს და, სხვათა შორის, სწერს: „თქვენ სცხოვრობთ დიდ, ისტორიულ მნიშვნელობის ხანაში, რომელიც ადამიანისაგან მოითხოვს დიდ შრომის მიყვარეობას, რათა შეიქმნეს ახალი, სასიხარულო ლამაზი ცხოვრება“.

ამხ. ფრუნზეს მოხსენება

მოსკოვი. 12 აგვისტო. სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარმა, ამხ. ფრუნზემ, მოსკოვის კოკავშირის აქტიურ მუშაკების წინაშე გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ.

მიუხედავად ინგლისის მმართველ კლასების სიძულვილისა საბჭოთა კავშირისადმი, ამჟამად საეჭვოა აშკარა თავდასხმა ვის მხრივაც არ უნდა იყოს იგი, მაგრამ საჭიროა,—განაცხადა ამხ. ფრუნზემ,—მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ჩვენთვის არავინ არ იქნება საშიში.

კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მთელ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას მოუწოდებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო სიძლიერის განმტკიცებისაკენ და მტრების დასახვედრათ მზად ყოფნისაკენ.

სამეცნიერო აკადემიის 200 წლისთვის

უცხოელი სტუმრები

მოსკოვი, 12 აგვისტო. სამეცნიერო აკადემიამ მიიღო ცნობა, რომ ლენინგრადში საიუბილეო დღესასწაულზე დასასწრებლად ჩამოვიდა ინდოეთის ცნობილი მგოსანი რაბინდრანატ ტაგორი.

ლენინგრადი, 12 აგვისტო. იტალიის ელჩმა მოსკოვში აცნობა სამეცნიერო აკადემიას, რომ ის გაემგზავრება ლენინგრადში საიუბილეო დღესასწაულზე დასასწრებლად.

ამხ. კოტოვსკის მოკვლის გამო

ამხ. ეგოროვის განცხადება კოტოვსკის მოკვლის გამო.

ოდესა, 12 აგვისტო. უკრაინის ჯარების სარდალმა ეგოროვმა პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მაიოროვმა ჩაიდინა მკვლელობა საბჭოთა ხელისუფლების მტრების ზეგავლენით, რომლებსაც მოსვენებას არ აძლევდა კოტოვსკის სახელი, რადგან იგი იყო თავგანწირული მებრძოლი მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

დელეგაციის ჩამოსვლა

ოდესა, 12 აგვისტო. ოდესაში ჩამოვიდა სარევოლიუციო-სამხედრო-საბჭოს დელეგაცია ბუდიონის მეთაურობით კოტოვსკის დასაფლავებაში მონაწილეობის მისაღებათ.

ჩამოვიდა მოსკოვიდან აგრეთვე ბესარაბიელთა ცენტრალურ საბჭოს საზოგადოების დელეგაცია დროშებით და გვირგვინებით.

ფრანგი მფრინავები მოსკოვში

მოსკოვი, 12 აგვ. 11 აგვისტოს დილას მიღებული იყო ცნობა, რომ ფრანგი მფრინავი არაშარი აპირებს გადაფრენას სტამბოლიდან მოსკოვში.

ნაშუადღევის 4 საათზე ტროცკის სახელობის ჰაეროდრომზე თავი მოიყარეს ავიაქიმის, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების, პრესის და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებმა.

6 საათზე და 15 წუთზე ჰორიზონტზე გამოჩნდა ჰაეროპლანი, რომელიც ცოტახნის შემდეგ დინჯათ დაეშვა ჰაეროდრომზე,

ჰაეროპლანში ისხდენ მფრინავი არაშარი და კონსტრუქტორი კოროლი. არაშარი გამოჩენილი ფრანგი მფრინავია. მისი უკანასკნელი ფრენა სარეკორდო ფრენას წარმოადგენს. მფრინავი გაფრინდა პარიზიდან 10 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ბელგრადში იყო დღის 2 საათზე, საღამოს 6 საათზე იყო სტამბოლში ღამის 2 საათზე გადმოფრინდა სტამბოლიდან მოსკოვში.

ჰაეროდრომზე გაიმართა პატარა მიტინგი. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ავიოქიმიის სახელით ავინოვიცკიმ, საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა არაშარმა, რომელმაც მიიპატიჟა პარიზში საბჭოთა მფრინავები.

არაშარი გადაფრინდება პარიზში 12 აგვისტოს დილის 3 საათზე.

ბანკეტი ფრანგ მფრინავების პატივსაცემად

მოსკოვი, 12 აგვ. სასტუმრო „სავოი“-ში გაიმართა ბანკეტი ჩამოსულ ფრანგ მფრინავების პატივსაცემად. ბანკეტს დაესწრენ, საბჭოთა ავიაციის წარმომადგენლები გარეშე საქმეთა სახ. კომისარი, საფრანგეთის ელჩი ერბეტი, საფრანგეთის საელჩოს მოსამსახურეები, საკავშირო და უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების წარმომადგენლები.

მისასალმებელ სიტყვებში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს საფრანგეთის ავიაციის უდიდესი მიღწევანი და ხაზი გაუსვეს, რომ ფრანგ მფრინავების პირველი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას ორივე სახელმწიფოს შორის.

საფრანგეთის ელჩმა ერბეტმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა მფრინავებს, რომლებიც პარიზში ჩავლენ, ისევე მეგობრულად შეხვდებიან, როგორც ფრანგ ფრინავებს შეხვდენ მოსკოვში.

გადაფრენა ტოკიო-მოსკოვი

მოსკოვი, 18 აგვისტო. „ავიაქიმმა“ მიიღო ცნობა, რომ 11 აგვისტოს დილის 9 საათზე კრასნოიარსკიდან ნოვო-ნიკოლაევსკში გამოფრინდნენ იაპონიის ჰაეროპლანები. მათ ჩამოსვლას მოსკოვში დღე-და-დღეზე მოელიან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქუთაისის მაზრა

ქუთაისის თამბაქოს ქარხნის რევიზია

ქუთაისი, 11 აგვ. თამბაქოს ტრესტის გამგეობის მიერ ქუთაისში გაგზავნილია საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა ბუღალტერული, რევიზია მოახდინოს და გამოარკვიოს ფინანსიური მდგომარეობა 26-ის სახელობის თამბაქოს ქარხნისა. ამ კომისიასთან ერთად იგზავნება მუშ. და გლეხ. ინსპექციის კომისიაც.

მთლიან მოამ. საზ. წარმომადგენლების ყრილობა

ქუთაისი, 11 აგვ. დამთავრდა დასავლეთ საქ. მთლიან მომხ. საზ. რწმუნებულთა ყრილობა. ირკვეოდა საკითხი ცეკავშირთან დამოკიდებულების შესახებ. მიღებულია დადგენილება, რომ ყოველი შეკვეთა უნდა ხდებოდეს ცეკავშირის შემწეობით და არ მიმართონ პირდაპირ ტრესტებსა და სინდიკატებს.

დახმარება მოუსავლიანობით დაზარალებულებს

ქუთაისი, 11 აგვ. სახ. ბანკის განყ. მიერ მიღებულია 15.000 ფ. სიმინდი მოუსავლობით დაზარალებულთა გლეხთა შორის გასანაწილებლად.

აჭარისტანი

ნავთის ნაწარმოების გატანა

ბათომი, 11 აგვ. ალექსანდრიისკენ გავიდა ნორვეგიული გემი „სპოდმანი“, რომელმაც დატვირთა 3.778.015 კილო ნავთი. 9 აგვისტოს პორტ-საიდში გავიდა ინგლისური გემი „პოლიფიმი“, რომელმაც წაიღო 7.896.040 კილო ნავთი. ტრაპიზონში გავიდა იტალიური გემი „ნოლსენა“—3.915 კილო ფრეზოლით.

გერმანიის მუშათა დელეგაცია საქართველოში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

თბილისიდან ბორჯომში

7 აგვისტოს დილით გერმანელი ამხანაგები გაშორდენ ქალაქის ცხელ-კედლებს და მიექანებიან ბორჯომისაკენ.

მათ უკვე ყველანი სცნობენ სადგურზე, გზაშიც და ერთი-ერთმანეთს უჩვენებენ:

— აი, ესენი არიან გერმანიის დელეგატებიო!

ვაგონის ფანჯრები თითქოს ალარა ჰყოფნით დელეგატებს. ყველანი გადმოკიდულან გარეთ და ისეთივე ინტერესით ათვალიერებენ ყოველ ველსა და გორაკს, როგორც რუსთაველის პროსპექტზე მათ თვალწინ გავლილ მუშათა რაზმებს.

აგერ ზემო-ავჭალის სადგური!

გუშინ ხომ ნახეს აქ ყველაფერი! მაგრამ ეს არა კმარა! კიდევ ათვალიერებენ უფრო მეტის ყურადღებით, მეტის სიხარბით.

და ამ დროს ყველანი ალბათ ფიქრობენ ერთსა და იმავეს:

— ჩვენ ეს მხარე სულ ჩამორჩენილი გვეგონა და შეხეთ აქ კი როგორ ტეხნიკურ გიგანტს აშენებენო!

მტკვრის იქით იმათ თვალწინ იშლება ყანისა და სიმინდების ოქროთა და ზურმუხტათ დაფერილი ქართლის ველები.

მაგრამ ჩვენი ბუნების ნამდვილი სილამაზე და თავისებურობა იქ ელოდება, წინ, დარუბანდის ხეობის იქით.

ხაშურის ფართე სადგურზე შორიდან უკვე მოსჩანს დიდძალი ხალხი და მრავალი დროშები.

მწვანე ველებზე მიცქერილ თვალებს ეს დროშები ეხლა უფრო წითლად ეჩვენებიან.

„ვაშა“, მუსიკა, „ინტერნაციონალი“, ქუდებისა და ხელების ქნევა!

ყველაფერი ეს არის თან ახალი და თანაც განმეორებული გულითადი სალამი საქართველოს მუშათა კლასისა.

ჩვენ ხალხს არა ჰყოფნის მარტო გაზეთში წაკითხული სიტყვები და მისალმებანი. მას უნდა თავის თვალით იხილოს და თავის ყურით გაიგოს ყველაფერი.

ეს სურვილი შესრულებულია და ჩქარა მატარებელიც დაიძრა ბორჯომისაკენ.

ქვიშხეთის სადგურზე მაყვალა გოგონები მარჯვეთ დაარბენინებენ მაყვლით გატენილ კალათებს დელეგატების წინ. დელეგატებს მოსწონთ ეს სურათი, მაგრამ კაი მუშტრობით კი ვერ ახარებენ გოგონების გულს.

სწორეთ აქედან იღება სილამაზის კარი ბორჯომის ხეობის.

მარჯვნივ—დაკლაკნილი მშფოთარე მტკვარი. მარცხნივ ისევე დაკლაკნილი რკინისგზა და ორთავე მხარეს კი მწვანე კედლებათ ამართული საუცხოვო მთები.

მე თვითონ მრავალჯერ მინახავს ეგენი და მაინც ვერ ვძღები მათის სიყვარულით, მათის სილამაზით. მაშ რას განიცდიან ისინი, ვინც პირველათ ჰხედავს ყველაფერ ამას!

ბორჯომის სადგურზე იმართება სახელდახელო მიტინგი ადგილობრივი მუშების მიერ. რამდენიმე გულითადი სიტყვის შემდეგ დელეგატები მიეშურებიან თვით ბორჯომში.

სადილის შემდეგ დელეგატებს ენატრებათ იალაღათ ბუნების წიაღში გავლა და ყველანი მიდიან „ვორონცოვის“ პარკის თავზე.

იქ, ნაძვის ტყეში გამოყოფილ ველზე თავისუფლათ ამოისუნთქეს სტუმრებმა. ზოგი ნაძვის ძირში წამოწვა და უზიარებენ ერთმანეთს მიღებულ შთაბეჭდილებას. უმრავლესობა კი გაერთო ფიზკულტურულ ვარჯიშობაში.

დარბიან, დახტიან, ერთმანეთს იჭერენ, ეცემიან და წამოხტებიან. ტყეში მოსეირნენიც ხალისით შესცქერიან და თითქოს ცოტაოდენათ უკვირთ კიდევაც:

— ნუ თუ ამათაც ისე ეხერხებათ სირბილი, სიცილი და ხტუნაობა როგორც ყველას?

ოო, რასაკვირველია, საცქერლათ გამოსული ქალები და ვაჟები! აქ გასაკვირი არაფერია.

ჩქარა გერმანელებმა თავიანთ სირბილ-თამაშობაში ჩააბეს მათ საცქერლათ მოსული ქალიშვილები.

ქართველი ქალი მორცხვია და მოთაკილე ისევ ქართველ კაცთან, მაგრამ უცხოელთან ის მუდამ ხალისიანია, ამყოლი და თავისუფალი.

მაგალითი თვალ წინ არის!

დაღამდა. დელეგატები ჩამოეშვენ მინერალურ წყლების პარკში.

ისინი ინტერესით ათვალიერებენ ხალხს, ხალხი კიდევ მათ.

ბორჯომიდან ბაკურიანში

8 აგვისტოს მოიარეს აბასთუმანი და კვირას დილით გაემგზავრენ ბაკურიანისაკენ.

დელეგატების აღტაცებას თითქოს საზღვარი არ უჩანს.

შთაბეჭდილება ასეთია, თითქოს არსად არ უნახავთ ასეთი სილამაზე.

მიიკლაკნება მაღლა და მაღლა მატარებელი და ყოველ მოხვევაზე თვალ წინ იშლება ახალ-ახალი მომაჯადოებელი სურათები მაყრიანათ შემოკრებილ მთებისაგან წარმოშობილი.

ბაკურიანში ერთი-ორი საათი დაყვეს დელეგატებმა და შუადღისას გამობრუნდენ წაღვერისაკენ.

წაღვერში კი მათ ელოდათ ნამდვილი შინაური და მხიარული დროს-ტარება.

ოფიციალური არაფერი არ ყოფილა, არც მიტინგი, არც გამასპინძლება. მიუხედავათ ამისა მიტინგიც იყო, სადილობაც და უფრო საამური და აღსანიშნავი, ვიდრე ბევრი ოფიციალური მიღება და გამასპინძლება.

იქავე გაიმართა სტუმრების პატივსაცემათ და გასართობათ ჩვენებური ცეკვა და ლხინი, რამაც საღამომდის გასტანა.

საღამოზე კი ყოველად ნასიამოვნებნი დელეგატები დაბრუნდენ ბორჯომში, საიდანაც გაემგზავრენ პირდაპირ ბათუმში.

ბათუმში

შთაბეჭდილებით დაღლილ სტუმრებს მთელ ღამეს ეძინათ.

შუადღის გულზე მატარებელი შეიჭრა ბათომში.

მთელ ქალაქს სადღესასწაულო ელფერი აძევს.

ყველა ქუჩებში ელვარებენ წითელი დროშები. დაუკმებულია ყველა დაწესებულებანი და ქარხნები.

სადგური კი ალყა შემორტყმულია მრავალ მუშათა ორგანიზაციებით.

დეპუტატებს ეგებებიან ისეთივე ზავთითა და ზეიმით, როგორც ყველგან.

ახალი ფორმით და ახალი სიტყვით მეორდება ერთი და იგივე მეგობრული გრძნობა, რომელიც მოაცილებს გერმანელ ამხანაგებს ჩრდილოეთის ცენტრიდან—სამხრეთის ნაპირებიდის.

სადილის შემდეგ დელეგატები ესტუმრენ აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭოს.

აქაც ისევე გულითადი მისალმება და დელეგაციის აღთქმა, რომ პირნათლათ შეასრულებს დაპირებულ მოვალეობას გერმანიაში დაბრუნებისას.

ამინდი ხელსაყრელი ვერ არის. ცოტაოდენათ წვიმს კიდევაც. დელეგატები მაინც მიდიან აჭარის წყალზე ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დასათვალიერებლათ, რომელიც იმყოფება ბათომიდან 30 ვერსზე.

ბორჯომისა და ბაკურიანის შემდეგ ეს გზაც იშვიათ და თავისებურ სილამაზეს შეიცავს.

აგერ, ზღვის პირათ მომდგარი აჩქარებული და განიერი ჭოროხი რა ცოცხალსა და ძლიერ სანახაობას წარმოადგენს.

თამამათ ატქვირებულ სიმინდებს და უმაღლეს მწვერვალებამდის ატეხილ ჭალებსა და ტყეებს აშკარათ ეტყობათ მზისა და სინოტიოს სიუხვე.

მთის მაღალ კალთებზე, სიმინდებთან ერთად მოსჩანან ჩაის პლანტაციებიც.

მთელი ბუნება სალია, ძლიერი და მომხიბლავი, რომელსაც ჯერ ისევ ამშვენებს პირველყოფილური ხელუხლებლობა.

აგერ ავტოები ჩერდებიან, რომ დავსტკბეთ მაღლიდან გადმოვარდნილი ჩანჩქერის ცქერით.

ბორჯომის ჩანჩქერზე შეიძლება უფრო მცირეა, მაგრამ უფრო ლამაზია და თავისებური.

კარგა დაბნელდა, როცა მივაღწიეთ სადგურის ადგილს.

მთავარ სადგურის მუშაობა მხოლოდ ეხლა იწყება. მაგრამ უკვე დამთავრებულია მაშველებელი სადგური, რომელიც მუშაობს ტურბინების 300 ადლის სიმაღლიდან. სადგური ამუშავებს ხერხის ქარხანას და სინათლეს აძლევს იქ დაბანაკებულ მუშა-მოსამსახურეებს.

საერთოდ ეს სადგური სტოვებს მცირე „ზაჰესის“ შთაბეჭდილებას.

ყველაფერი გულმოდგინეთ დაათვალიერეს დეპუტატებმა და შემდეგ მიწვეულ იქნენ მუშების მიერ [illegible]ბაზე.

აქაც კიდევ ახალი მისალმებანი, „ვაშა“ და სიმღერა.

ღამის 11 საათზე დელეგაცია დაბრუნდა ბათომში.

აჭარის წყალზე გასეირნება—ერთი საუკეთესო მომენტთაგანია მთელი ამ მოგზაურობის დროს. მხოლოდ ცოტა წვიმამ შეუშალა ხელი, რომ სავსებით გაეცნოთ ამ ხეობის თავისებური სიმშვენიერე და მომხიბვლელობა.

მოამბე.

სოხუმში

სოხუმი, 12 აგვ. 11 აგვისტოს საღამოს 7 საათზე სოხუმში ჩავიდა გერმანიის მუშათა დელეგაცია, რომელსაც დიდი ზეიმით შეხვდენ. მთელი ზღვის ნაპირი გაჭედილი იყო ხალხით.

აფხაზეთის პროფესიონალურ კავშირების სახელით დელეგაციას მიესალმა სეკოიან, სახალხო კომისართა საბჭოს სახელით დელეგაციას მიესალმა ალანია, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ თავისუფალ აფხაზეთში, რომელშიაც 20 სხვა და სხვა ეროვნება ცხოვრობს, ჩამოსულ დელეგატებს შეუძლიათ დარწმუნდენ, თუ როგორ ადვილად სჭრის საბჭოთა ხელისუფლება ეროვნულ საკითხს.

საპასუხო სიტყვაში დელეგატმა მოლლუმ სთქვა: „ჩვენ ბევრი რამ ვნახეთ, გავიგონეთ და წავიკითხეთ, როგორ ვითარდება თქვენი ქვეყანა, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ შესძლებთ ყველაფერ იმის მიღწევას, რის მიღწევაც შეუძლია თავისუფალ ხალხს. თქვენი აღფრთოვანება და თქვენი რევოლიუციონური სულისკვეთება დახმარებას გაგვიწევს ჩვენს ბრძოლაში. ჩვენ ყოველი ძალ-ღონე ვიხმარეთ ერთიანი ფრონტის განსამტკიცებლად და ამ ჩვენ ხელმძღვანელებს, რომელნიც ხელს შეუშლიან ამას, ჩვენ ვეტყვით—თქვენ არა გაქვთ ადგილი ჩვენს რიგებში, შორს ჩვენგან! დრია გერმანელი მუშა წავიდეს საბჭოთა კავშირის გზით. ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, თუ რუსეთის მუშათა დელეგაციას მოვიწვევდით საბჭოთა გერმანიაში.

დროის უქონლობის გამო დელეგაციამ სოხუმში ინახულა მხოლოდ სმეცკის აგარაკი.

დელეგაციას გაემგზავრება თბილისში 12 აგვისტოს დილის 4 ს.

დელეგაცია უნდა დაბრუნდეს მოსკოვში 16 აგვისტოსათვის. ამ დროისათვის მოსკოვში თავს მოიყრიან გერმანიის მუშათა დელეგაციის ყველა ჯგუფები.

დელეგაციის დაბრუნება

ბათომი, 12 აგვისტო. 12 აგვისტოს დილის 4 საათზე კატერ „წითელი ბათომი“-თ სოხუმიდან ბათომში დაბრუნდა გერმანიის მუშათა დელეგაცია. ნავთსადგურიდან დელეგატები გაემგზავრენ წითელ სასადილოში, სადაც გაიმართა სადილი. სადილზე აბდიბამ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვეს გერმანელმა ამხანაგებმა.

საღამოს 6 საათზე დელეგაცია გაემგზავრა თბილისში.

აღმოსავლეთში

ტუნისი.

ნავთ-სადგურის მუშების გაფიცვა.

პარიზი. 11 აგვისტო. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით ტუნისის ნავთსადგურის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

სირია

შიკრიკი სარაილისაგან

პარიზი. 11 აგვისტო, მარსელში ჩავიდა შიკრიკი გენერალ სარაილისაგან და გააკეთა მოხსენება სირიაში მომხდარ ამბების შესახებ. შიკრიკი დაუყოვნებლივ გაემგზავრა პარიზში პენლევესათვის პატაკის ჩასაბარებლად.

მაროკოში

ფრონტზე

პარიზი, 11 აგვისტო „ჰავასის“, სააგენტოს ცნობით საფრანგეთის რაზმებმა სურსათ-სანოვაგე მოაწოდეს ზიტუნს გდაასწმინდს ზიტუნის მიდამოები მტრის რაზმებისაგან იმ მიზნით., რათა კავშირი დაიჭირონ ესპანეთის რაზმებთან მდინარე ლუკოსაზე.

რაზმებმა შეასრულეს დავალება და უკან დაახევინეს მოწინააღმდეგეს.

რა ხდება უცხოეთში.

როგორ ცხოვრობს ინდოელი მუშა

ინდოეთის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ჩამან ლალამ ამ რამდენიმე ხნის წინათ ინგლისის გაზეთებში გამოაქვეყნა გულშემზარავი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობს და ხელფასს იღებს ინდოელი მუშა. ამ ცნობების ჩათვლა გადაჭარბებულათ, გაზვიადებულათ არ შეიძლება, რადგან ჩამან ლალა რეფორმისტია და თუ რამეში იჭვის შეტანა შეიძლება, ეს მხოლოდ იმაში, რომ მან მოყვანილი ფაქტები შეარბილა.

„1922 წ.—სწერს ჩამან ლალა,—ინდოეთის პროფკავშირთა ყრილობა გაიმართა ქ. ჯარიაში. ჯარიას და მეორე ქალაქის რანიკმის მიდამოებში იღებენ 84-პროც. მთელი იმ ნახშირისას, რომელიც ინდოეთში მზადდება. რკინის გზის სადგურზე ჩვენ შეგვხვდა რამოდენიმე ათასი ნახევრათ შიშველი მაღაროს მუშა. ისინი ცხოვრობენ ბნელ, უფანჯრო ქოხმახებში, რომელთა მთლას მოწყობილობას ორი ცარიელი ტახტი შეადგენს.

ზამთრობით, როცა საშინლათ ცივა, ოჯახის წევრები, რადგან მათ ლეიბი და საბანი არ მოეპოვებათ, თავს იყრიან ქოხის შუა-გულში დანთებულ ცეცხლის გარშემო და იძინებენ, რომ არასოდეს არ გამოიღვიძონ—კვამლში იღრჩობიან.

ერთ ასეთ ქოხში ჩვენ ვნახეთ ძვალტყავათ ქცეული ბავში, გახვეული რიგიც ძონძებში. დედას ფული არ ჰქონდა, რომ რძე ეყიდა მისთვის. ვინ უვლის ბავშებს, როცა დედები ქარხნებში მუშაობენ?—„ღმერთი და სახლში დარჩენილი ბებრუხანები,“—იყო პასუხი. ასე იზრდებიან ინგლისის იმპერიის მოქალაქენი.

ყველა მაღაროებში მე მესმოდა საყვედურები სიმშილობაზე, დაბალ სამუშაო ხელფასზე, შრომის აუტანელ პირობებზე, საშინელ საბინაო კრიზისზე.

მაღაროს მუშებს აჯარიმებენ სრულიად უმნიშვნელო მიზეზების გამო. შრომის ხელფასი, როგორც თვით მთავრობის კომისიის გამოკვლევამ დაამტკიცა, დღეში 28 კაპეიკს უდრის.

ოფიციალური ცნობებით, ინდოელი მაღაროს მუშა საშუალოთ წელიწადში იღებს 6000 ფუთამდე ქვანახშირს. ნახშირის ეს რაოდენობა დაახლოებით ღირს 850 მანეთი, მაღაროს მუშა კი ამდენი ნახშირის მოპოვებაში იღებს მხოლოდ 50 მან. ისიც არა სრულიად.

არა უკეთეს მდგომარეობაშია მუშების მდგომარეობა ჩაის პლანტაციებზე. პლანტაციებზე თვიური საშუალო შრომის ხელფასი უდრის:

მამაკაცების	4 მ.	42 კ.
ქალების	3 „	63 „
ბავშვების	2 „	19 „

მუშები ასეთ მცირე ხელფასს იღებენ, ჩაის პლანტაციების აქციონერებს კი ეძლევათ დივიდენდი (მოგება) 50-დან 100 პროცენტამდი.

როცა ჩაის პლანტაციების მუშებმა ვეღარ აიტანეს ასეთ საშინელ პირობებში მუშაობა, მათ გადასწყვიტეს თავის ქოხმახებში დაბრუნება, ხშირად რამოდენიმე ათასი ვერსის მანძილზე სამუშაო ადგილიდან. მათ დაავიწყდათ, რომ არსებობს კანონი, რომელიც კრძალავს მუშების მიერ მწარმოებლებთან დადებული ხელშეკრულების დარღვევას, რომელიც მუშებს კაპიტალისტების ყმებათ ხდის. ინგლისის მთავრობამ პლანტაციებში ჯარები გაგზავნა და ასეული მუშა დახვრეტილი იქნა იმისათვის, რომ მათ უარი სთქვეს ასეთ საშინელ პირობებში მუშაობაზე.

ფეიქართა ცხოვრების საშინელ პირობებზე ნათლად მეტყველებს ბავშვთა სიკვდილიანობის ციფრი, რომელიც ათას ბავშვზე 667-მდი აღწევს საფეიქრო რაიონებში. კალკუტაში (ინდოეთი) სიკვდილიანობის რიცხვი ქლექისაგან ათასჯერ მეტია, ვიდრე ბირმინგამში (ინგლისი).

ინდოეთის საფეიქრო მრეწველობის მეორე ცენტრში ფეიქართა შრომის ხელფასი უდრის 18 მ. 90 კაპ.—21 მ. 25 კ. თვეში.

ისეთია ინდოეთის პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრება პროფკავშირების ყვითელ ბელადის ცნობებით. ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას: უკანასკნელ ხანებში ადგილობრივმა კაპიტალმა მთელი რიგი პოზიციები დაიპყრო და მნიშვნელოვან მეტოქეობას უწევს ინგლისის კაპიტალისტებს, ჩამან ლალა კი არაფერს ლაპარაკობს შრომის პირობაზე ინდოელთა წარმოებებში. აშკარაა, რომ არავითარი განსხვავება შრომის პირობებში ინგლისელთა და ინდოელთა სამრეწველოებში არ არსებობს. „მშობლიური“ და უცხო (ინგლისელი)ბურჟუაზია ერთნაირად ყვლეფს ინდოელ მუშებს.

გასაკვირი არ არის, რომ ინდოეთის რეფორმისტული კავშირები იძულებული არიან დახმარებისათვის მიმართონ ინგლისის პროფკავშირებს. ამიტომ არის, რომ რეფორმისტი ჩამან ლალა მოუწოდებს ინგლისის პროფკავშირებს დაიცვან „უბედურ ინდოელ მუშებს“.

ჭიათურის შავი ქვის კონცესიის გარშემო

დღეს ფოთის ნავთსადგურიდან გავა გემი „ატიკა“, რომელსაც მიაქვს 1,000 ტონა შავი ქვა.

გემი მიდის ამერიკაში და შავი ქვა მიაქვს სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი“-სათვის.

დღესვე დაიწყება მუშების, მოსამსახურეების და ტეხნიკური პერსონალის მიღება ფოთის ნავთსადგურში სამუშაოდ.

როგორც იტყობინებიან, ნიუ-იორკში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი“. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი უდრის 4.000.000 დოლარს, საზოგადოების ყველა აქციები უკვე გაყიდულია. აქციების ერთი ნაწილი დაეთმო ადგილობრივ მრეწველებს. ადგილობრივ მრეწველებისათვის დათმობილ აქციების საბოლოო თანხა ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

საზოგადოებამ უკვე დაიწყო მუშაობა.

საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულია ცნობილი კომერსანტი ჩარლს ხოლმანი. ვიცე-თავმჯდომარეთ და საზოგადოების მთავარ წარმომადგენლათ საქართველოში არჩეულია ინჟ. რაშკოვიჩი. საზოგადოების მთავარ დირექტორათ კი არჩეულია მარიმანი.

საზოგადოების სატრანსპორტო სამუშაოების და ექსპორტის ხელმძღვანელათ მოწვეულია ალ. ჯაუელი.

გუშინ თბილისში დაბრუნდენ საზოგადოების მთავარი წარმომადგენელი საქართველოში ინჟ. რამკოვიჩი მისი თანაშემწე რობერტსი, საფინანსო ნაწილის ხელმძღვანელი შელეშსი და ალ. ჯაუელი.

ჭიათურაში დარჩენ საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი“-ს ქონების გამგე ნიუმანი და ქიმიკოსი მალეჯი თავისი თანაშემწე) ბეკკით. უკანასკნელებს განზრახული აქვთ ახლო ხანში ჭიათურაში გახსნან ლაბორატორია, სადაც ანალიზს გაუკეთებენ შავი ქვის მადანს.

შაბათს, 8 აგვისტოს, ფოთში ჩამოვიდა ინგლისური შრომის „ფრეიბერ და ჩალმერს“-ის წარმომადგენელი ინჟინერი სტოკვალი, რომელიც კონცესიონერის მიერ მოწვეულია ფოთის ნავთსადგურის გამოსაკვლევათ და მადნის დასატვირთავ-გადმოსატვირთავ ფარდულის მოსაწყობათ.

როგორც იტყობინებიან, საზოგადოების მთავარი წარმომადგენელი ინჟ. რაშკოვიჩი შეუდგა კოლექტიური ხელშეკრულების დადებას სამთომადნო მუშების კავშირთან. მოლაპარაკების საწარმოებლად გამოყოფილია სპეციალური კომისია.

იტყობინებიან, რომ საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი“-ს გამგეობის თავმჯდომარე ჩარლს ხოლმანი გუშინ ნიუ-იორკიდან გაემგზავრა ევროპაში. ფიქრობენ, რომ ხოლმანი ჩავა ლონდონში, საიდანაც გამოემგზავრება საქართველოში.

სასოფლო მეურნეობა

დიდი სახსრები სასოფლო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად თბილისის მაზრაში

ქალ. აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილებამ თბილისის მაზრაში სასოფლო-მეურნეობის გაუმჯობესებისათვის გამოიმუშავა ხარჯთაღრიცხვა ხუთი წლის პერსპექტიული გეგმის მიხედვით.

ამ გეგმით 1925 წლიდან—30 წლამდე სასოფლო-მეურნეობაზე უნდა დაიხარჯოს 2.190.798 მანეთი. მიმდინარე წელს იხარჯება 157,680 მან. 1925—26 საბიუჯეტო წელში აღმასკომს განზრახული აქვს ეს თანხა გადიდებულ იქნეს 239,000 მანეთამდე.

მიწად-მოწყობის ხარჯები

მიმდინარე წელს მიწად-მოწყობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა თბილისის მაზრაში. მეურნეობის ამ დარგში წელს იხარჯება 12.000 მანეთამდე. 1925—26 საბიუჯეტო წელში, ქალაქის აღმასკომი აპირებს მიწათ-მოწყობის სათანადო დონეზე დასაყენებლად გაიღოს 40.000 მანეთი.

აგრონომიული პუნქტები

საჩვენებელი მინდვრების და ბაღების გასაშენებლად 1924—25 წელში სულ იხარჯება 28,251 მანეთი. ზოგიერთ რაიონებში აღმასკომს განზრახული აქვს გადიდებულ იქნეს აგრონომიული პუნქტების რიცხვი. საამისოდ გადადებულია აგრეთვე მისი ბიუჯეტი 47.000 მანეთამდე.

მეფუტკრეობა.

თბილისის მაზრაში მეფუტკრეობას ყურადღება სუსტად ქონდა მიქცეული. სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების გეგმა ითვალისწინებს, რომ მეურნეობის ეს დარგი სათანადო დონეზე დადგეს. ქალაქის აღმასკომმა მეფუტკრობის აღსადგენათ 1925—26 წლისათვის გადადო 25,000 მანეთამდე. ეს თანხა უნდა განაწილდეს გეჯების, ხელოვნური ფიჭის დასამზადებლათ და სახელოსნოების მოსაწყობად.

თბილისის კომუნალური ბანკის საქმიანობა

თბილისის კომუნალური ბანკი ოპერაციების გადიდების გამო ამ დღეებში უშვებს აქციებს ერთი მილიონი მანეთისას. ეს აქციები დანაწილებულია. უმთავრეს მიზანს ბანკისას შეადგენს ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, ქალაქის კეთილ-მოწყობა და აღმშენებლობის გაძლიერება.

ბანკი აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშათა ახალშენების მშენებლობის საქმეში და ამ მიზნით იგი აწვდის მას ფართო კრედიტებს, სათანადო ორგანიზაციების საშუალებით. დღემდი ამ მიზნით გაცემულია 250.000 მანეთი მაგ. ლენინის სახელობის ახალშენში, სადაც უნდა აშენებულიყო 3. სახლი, თვითეული 2—8 ბინის მოცულობით ბანკის მიერ გაცემულ კრედიტების საშუალებით შესრულებულია მუშაობის 75 პროცენტი. ასეთივე ბინების აღმშენებლობა სწარმოებს წარმატებით ნაძალადევში ბანკის უახლოესი დახმარებით.

მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის კრედიტების გახსნის პირობები სრულიად ხელმისაწვდომია, რადგან კრედიტები ეძლევათ მათ 25 წლით.

თუ ახალ ბინების აღმშენებლობისათვის ბანკს არ შეუძლია ფართო საკრედიტო დახმარების აღმოჩენა თანხების სიმცირის გამო, სამაგიეროდ სახლების შეკეთების საქმეში ბანკი დიდ მონაწილეობას იღებს.

დახარჯულია 300.000 მანეთი 400 სახლის შეკეთება-გადარჩენისათვის. ასეთი ფორმა კრედიტისა ვრცელდება კერძო სახლების მეპატრონეებზედაც. სესხი სახლების შეკეთებისათვის იცემა წლინახევრის ვადით.

კომუნალური ბანკის ერთ-ერთ მთავარ ოპერაციათ ითვლება ბაზრის დანგრევა და ახალი შენობების აგება. ამ ოპერაციისთვის გადადებული იყო 250.000 მანეთი, რომლიდანაც 120.000 მან. უკვე დახარჯულია. ბანკის მიზანია ააგოს სომხის ბაზარში ერთ სართულიანი დარაბები, რომელთა შემოსავლიდან დაფარული იქნება გაწეული ხარჯები. დანგრეულ შენობათა შორის მოჰყვა კერძო ბინებიც, რომელთა პატრონებს ეხლა ეძლევათ საშუალება ააშენონ მეორე სართულები ბანკის მიერ აშენებულ დარაბებზე რისთვისაც მათ ეძლევათ კრედიტები. ასეთ პირობებზე სახლის პატრონები სიამოვნებით თანხმდებიან.

ეხლახან მოსკოვში დაარსებულმა ცენტრალურმა კომუნალურმა ბანკმა, რომელიც აწვდის კრედიტებს საბჭოთა კავშირის აღმშენებლობას, თბილისის კომუნალურ ბანკს გაუხსნა კრედიტი 400.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან 100.000 მან. უკვე მიღებულია და დანარჩენი მიღებულ იქნება მოკლე ხანში.

ამ თანხებით განზრახულია დიდი სახლის—(დაახლოებით 400 ბინიანი) აშენება ნაძალადევში, რაც მინდობილი—აქვს შესასრულებლად სააქციონერო-საამშენებლო საზოგადოება „სამშენ“-ს.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

ცირკულიარულად.

ა. წ. სექტემბრის პირველ რიცხვიდან დანიშნულია მე-2 ქართულ ტერიტორიალურ დივიზიის ცვალებად შემადგენლობის საერთო შეკრება. ცვალებად შემადგენლობის შეკრებად ერთი თვის ვადით მოწვეული არიან რესპუბლიკის ორი ასაკის მოქალაქენი. საერთო შეკრების წინ, 5 დღით ადრე, მოწვეულ იქნება ტერიტორ. დივიზიის მიერ ცვალებადი პარტ-შემადგენლობა.

1. ამისათვის ყველა საოლქო და სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს ევალებათ ენერგიული დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივათ სამხედრო ნაწილებს, როგორც მოწვევისათვის წინასწარ კამპანიის ჩატარებაში, აგრეთვე გამოწვევის დროსაც.

2. საჭიროა წინასწარ კამპანიის ჩატარებას მიეცეს ფართე ხასიათი, რათა მშრომელთა მოსახლეობა სისრულით გაეცნოს სამხედრო ტერიტორიალურ შეკრების მიზანსა და დანიშნულებას.

3. ამ საქმისათვის გამოყენებული უნდა იქნას პრესა, აღნიშნულ საკითხების გასაშუქებლათ, თათბირები, უჯრედების ღია კრებები სოფლად და ქალაქად, მათზე სათანადო მოხსენებების წაკითხვით და მშრომელთათვის ახსნა-განმარტების მიცემით.

4. გაწვევის დროს პარტ-ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ ცვალებადი შემადგენლობის გაცილება დროებით შესაკრებ წერტებზე, რისთვისაც იხელმძღვანელებთ სამხედრო ნაწილების მიერ ნაჩვენებ წესებით.

5. საერთოდ, სამხედრო ტერიტორიალური შეკრება საქართველოში პირველი ნაბიჯია და ამიტომ პარტ-ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ მას რაც შეიძლება მეტი ყურადღება.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი:
მ. ოკუჯავა.

ცეკას სააგიტ.-საპროპაგანდო განყ. გამგის მაგიერ ზორდელაძე.

პარტიის ძირითად ორგანიზაციების ხელმძღვანელობის შესახებ

მე-14 პარტკონფერენციამ სოფლად მუშაობის შესახებ გამოიტანა მთელი რიგი მნიშვნელოვან დადგენილებებისა. მაგრამ ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება უმთავრესად დამოკიდებულია ჩვენი ქვედა პარტიული აპარატზე, იმაზე, თუ რამდენათ შესძლებენ ადგილობრივათ მომუშავე პარტამხანაგები ხელი აიღონ, დაგმონ მუშაობის ძველი მეთოდები და შეითვისონ ახალი. აი ამიტომ საკითხი ქვედა პარტაპარატის შესახებ, კერძოდ კი მასზედ ხელმძღვანელობის შესახებ—არის ერთი უაღრესად საჭირბოროტო საკითხთაგანი.

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ დღეს-დღეობით ამ ხელმძღვანელობის საქმე საგრძნობლად მოისუსტებს. ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს ისიც, რომ არსებული ხელმძღვანელობით ადგილებზე პარტმუშაობას ვერ წარვმართავთ იმ რიგად, როგორც ამას საჭიროებს პარტიის წინაშე ახლად ამოტივტივებული ამოცანების გადაჭრის აუცილებლობა.

განა სამაზრო კომიტეტებს, რაიკომებს, თემკომებს, უჯრედებს შორის დღეს არსებობს მჭიდრო და მტკიცე კავშირი?

რასაკვირველია არა.

აი ამდენათ მოისუსტებს ხელმძღვანელობაც პარტიის ქვედა აპარატზე. თვით ის ფაქტიც, რომ დღევანდელ ხელმძღვანელობას მეტ წილად ცირკულიარული და მხოლოდ წერილობითი ხასიათი აქვს—ამისი საუკეთესო დამამტკიცებელია. როგორც ვიცით, მაზრკომი ჩვეულებრივად ადგილებზე გაგზავნის ორ-სამს ცირკულიარს ამა თუ იმ საკითხზე და ჰგონია, რომ ამით სავსებით ამოიწურა მისი მოვალეობა ადგილებისადმი. ამასთანავე ერთად კი ამ ცირკულიარებს არ აქვს საქმიანი და პრაქტიკული ელფერი. ისინი მხოლოდ ზოგადი ხასიათის ფრაზებს შეიცავენ. ხელმძღვანელობის ასეთი მეთოდით, ცირკულიარების საშუალებით და ისიც უვარგისი ცირკულიარებით ჩვენ შორს ვერ წავალთ.

დღევანდელ პირობებში, როდესაც მთელი თავისი სიმწვავით სდგას საკითხი სოფლის გამოცხოველების და გლეხური მეურნეობისათვის ყოველმხრივი ხელის შეწყობის შესახებ—საჭიროა ცოცხალი, უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელობა ადგილებზე. ხშირ-ხშირათ უნდა ხდებოდეს ადგილების დათვალიერება იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნას, თუ როგორ ტარდება იქ პარტიის ახალი კურსი; ამ დათვალიერების დროს ადგილებს უნდა მიეცეთ აგრეთვე საქმიანი, პრაქტიკული რჩევა-დარიგებანი, თუ რა არის იმისათვის საჭირო, რომ გამოსწორებულ იქნეს დაშვებული შეცდომები და სხვ. აი ასეთი გზით უნდა წარიმართოს ხელმძღვანელობის საქმე ადგილებისადმი.

მაგრამ ამ ხელმძღვანელობის სასურველად გატარებისათვის საჭიროა საინსტრუქტორო აპარატიც შესაფერისად იქნას მოგვარებული.

უპირველესად ყოვლისა კი აუცილებელია ინსტრუქტორთა კადრის გადიდება მაზრებში.

ჩვენი გაზეთის პარტიული ცხოვრების განყოფილებაში ხშირად თავსდება პარტკორების შენიშვნები იმის შესახებ, რომ ამა და ამ მაზრაში ინსტრუქტორთა სიმცირის გამო მოისუსტებს პარტიული მუშაობა. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ეს ერთი.

მეორეც ის, რომ ინსტრუქტორების მიერ ადგილების დათვალიერებამ არ უნდა მიიღოს ზერელე ხასიათი. არაფრად ვარგა ის ინსტრუქტორი, რომელიც მხოლოდ გადაათვალიერებს ცარიელ ოქმებს, დათვლის მის რაოდენობას და თუ ზევმის მიხედვით ამ ოქმების რიცხვი ცოტა აღმოჩნდა—ადგილობრივი ორგანიზაციის მუშაობას ჩასთვლის დაუკმაყოფილებლათ და პირიქით. ხომ შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ უჯრედს საკმაო რაოდენობით მოეპოვებოდეს ოქმები, მაგრამ ამ ოქმებში გათვალისწინებული დადგენილებანი სისრულეში არ იქნენ მოყვანილი?—რასაკვირველია.

აი ამიტომ ინსტრუქტორებმა ადგილების დათვალიერების დროს უნდა მიაქციონ ყურადღება უჯრედების, ორგანიზაციების მიერ წარმოებულ მუშაობის შინაარს და არა ოქმის რაოდენობას.

მაგრამ, რომ თავიდან ავიცილოთ ეს არანორმალობა—საჭიროა ინსტრუქტორების მომზადება, რითაც ჩვენ უზრუნველვყოფთ ცოცხალ, საქმიან ხელმძღვანელობას ადგილებზე.

ა—ი.

კულტურულ მუშაობის გაცხოველებისათვის კომკავშირში

რომ თვით კომკავშირში კულტურული მუშაობა და მისწრაფება ცოდნისაკენ—თვითგანვითარებისაკენ მაგრად ფეხს იკიდებს—ეს ყველასათვის ცხადია. მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ქალაქად გაცილებით უფრო უკეთესია, ვინემ სოფლად.

ამ მოკლე ხანში კერძოდ ჩვენ მოგვიხდა საქ. ერთერთ ძლიერი მაზრის დამახასიათებელ უჯრედების დათვალიერება, რის შემდეგ სავსებით დავრწმუნდით რომ სოფლად კომკავშირელებში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს.

კავშირის წევრები, მაგალითად, როდი იწერენ ყველანი გაზეთებს, მაგრამ რომლებიც იწერენ, არც ისინი კითხულობენ მათ; მხოლოდ იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ კომკავშირელს, რომელიც სისტემატიურათ კითხულობდეს ჟურნალ-გაზეთებს.

ამავე დროს ამ არანორმალურ მდგომარეობას თან ერთვის ისიც, რომ კავშირის უჯრედებში არ არსებობს არავითარი წესი, რომ მისი წევრები დაინტერესდენ და გაეცნენ საერთაშორისო მდგომარეობას და უკანასკნელად მომხდარ მოვლენებს მაინც. ერთი სიტყვით, სოფლის კომკავშირელთა თითქმის უმრავლესობას არა აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ხდება დღეს და რა მოვლენებს აქვს ადგილი როგორც შიგნით, ისე გარეთ.

რაც შეეხება თვითგანვითარებითი მუშაობას, ის თითქმის არსად არ მიმდინარეობს. იშვიათად თუ ნახავ ისეთ კომკავშირელ ამხანაგებს, რომელნიც ეწეოდენ ასეთ მუშაობას. მაგრამ თუ არის ასეთი შემთხვევები, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამხანაგები მეცადინეობენ ინდივიდუალური მეთოდით და სრულიად უსისტემოთ. პოლიტსკოლების მეცადინეობის შედეგებიც ძლიერ არამნიშვნელოვანია. ასე, რომ თვითგანვითარებითი დონე და ამ სფეროში მუშაობა მეტად დაბალი და სუსტია. ადგილ-ადგილ წერა-კითხვის უცოდინარნიც არიან.

საჭიროა ყველა ამ ზემოაღნიშნულ ნაკლს მიექცეს ფრიად სერიოზული ყურადღება.

მაგრამ როგორ შეიძლება თავი დავაღწიოთ ამ არანორმალურ მდგომარეობას?

რომ ახალგაზრდობა დაეუფლოს ჟურნალ-გაზეთების კითხვას და გაეცნოს ყოველდღიურ მოვლენებს, ჩვენ ვფიქრობთ ამ მიზნით კომკავშირის უჯრედებთან უნდა დაარსდეს პრესის მიმომხილველი წრეები (кружки по обзору печати), რომლებიც დაავალებენ, გამოჰყოფენ ყოველკვირეულათ თავიანთ წევრებს და გააკეთებინებენ ინფორმაციულ მოხსენებებს ან ცალკე მოწვეულ, ან კიდევ თვით უჯრედის კრებაზე.

მოხსენებას უნდა აკეთებდეს რიგრიგობით წრის ყოველი წევრი.

ეს გამოიწვევს დიდ ინტერესს კავშირის წევრებში და მეტად ასწევს მათ პოლიტიკური განვითარების დონესაც.

ეს მითუმეტეს, რომ წელს პოლიტსკოლების მეცადინეობაც სუსტი გამოდგა, რომელიც აგრეთვე ითხოვს დიდ ყურადღებას მომავალში კარგ და შესაფერ ლექტორების შერჩევით.

ბლინი.

მეტი ყურადღება სოფლის ქოხ-სამკითხველოებს

მე-13 პარტ-ყრილობამ პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის მთლიან ცენტრათ აღიარა ქოხ-სამკითხველო. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციები დამოუკიდებლად არ უნდა აწარმოებდენ მუშაობას, არამედ შეთანხმებულად და ერთ ცენტრის გარშემო.

კარგად მოწყობილი ქოხ-სამკითხველო უნდა არსებობდეს პირველ ყოვლისა თემის ცენტრში. ქოხ-სამკითხველო არ არის მოწოდებული მარტო ჟურნალ-გაზეთების საკითხავად, არამედ ქოხ-სამკითხველოში ბლომად უნდა იყოს სხვა ლიტერატურა, უნდა არსებობდეს წრეები, ეწყობოდეს ლექციები, საუბრები და სხვა.

მაგრამ კონკრეტიულად რაში უნდა მდგომარეობდეს ქოხ-სამკითხველოების მუშაობა სოფლად.

ქოხ-სამკითხველომ მომენტს და ადგილობრივ პირობებს უნდა შეუფარდოს თავისი მუშაობა და მის მიხედვით დააკმაყოფილოს გლეხობის მოთხოვნილება.

ქოხ-სამკითხველოების მუშაობაში უნდა ჩაებათ ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები და გლეხობის ფართო მასსა. ამისათვის საჭიროა მათი წარმომადგენლები იყვნენ ქოხ-სამკითხველოს საბჭოში.

ქოხ-სამკითხველოსთან ძირითადი წრეებია: აგრონომიული, პოლიტიკური, კოოპერატიული, დრამატიული, ფიზ-კულტურის, სანიტარულ-ჰიგიენური და მომღერალთა. მასში მუშაობის ნაყოფი უნდა გამოყენებული იქნას მასსიურ მუშაობისათვის.

ქოხ-სამკითხველოებში არსებობს „კუთხეები“, მაგრამ მათ არ უკავშირდება მეცადინეობა, ასეთი კუთხე ემსგავსება ხატს, რაც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

ჩვენ დღეს დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ რევოლიუციონურ კანონიერების ცხოვრებაში გატარებას, ამას ხელს შეუწყობს ქოხ-სამკითხველოსთან ცნობათა მიმწოდებელ მაგიდის მოწყობა.

არ კმარა მარტო ქოხ-სამკითხველოსთან გლეხობას გაზეთები უკითხოთ, საჭიროა სოფლების უბნებათ დაყოფა და მათზე მკითხველთა (чтецы) მიმაგრება.

დიდი მნიშვნელობა აქვს რამდენათ ავტორიტეტიანი და მომზადებული იქნება ქოხ-სამკითხველოს გამგე.

ამ დღეებში პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობის მიერ თბილისში გახსნილი იქნა გამგეების გადასამზადებელი, თვე-ნახევრიანი კურსები, რომელშიც ითვლება 70 ამხ. ეს არის პირველი ნაბიჯი. საჭიროა მაზრებშიც გაიხსნას ასეთი მოკლევადიანი კურსები.

ლენინის ანდერძის მიხედვით ქოხ-სამკითხველომ აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისაკენ უნდა წარმართოს თავისი მუშაობის გეზი.

ქოხ-სამკითხველოების მუშაობის სახელმძღვანელოთ და გასაღრმავებლათ განუზომელი მნიშვნელობა ექნება, რომ პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობა გამოსცემდეს ისეთი ტიპის ჟურნალს, როგორიც რუსეთში არის („ქოხ-სამკითხველო“).

სოფლის ინტელიგენციამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში. მასწავლებელმა, ექიმმა და აგრონომმა უნდა აამაღლოს სოფლის კულტურული განვითარების დონე. მაგალითად, მეცნიერულ შინაარსის საუბრები გლეხობაში იქნება საუკეთესო საშუალება სწორი ანტირელიგიური პროპაგანდის საწარმოებლად.

ფართო გასაქანი უნდა მიეცეს აგრეთვე გონიერ გასართობებს, რითაც თანდათან მოვსპობთ ქაღალდის თამაშს, ლოთობას და სხვა. „წითელი ნათვლა“ და ქორწილი ქოხ-სამკითხველოსთან უნდა იმართებოდეს. ამნაირათ ქოხ-სამკითხველო სოფლად შეიტანს ახალ ყოფა-ცხოვრების სხივებს.

თანახმად პარტიულ ორგანოების დადგენილებებისა, ქოხ-სამკითხველოსთან უნდა იცემოდეს ერთი საერთო კედლის გაზეთი; სოფლის ყველა ძალების მონაწილეობით გაუმჯობესდება მისი შინაარსი და ის ხელს შეუწყობს ადგ. ნაკლის აღმოფხვრას.

მაგრამ ყოველივე ეს ზემოაღნიშნული ცხოვრებაში გატარდება მაშინ, თუ ადგილებზე პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები მეტ ყურადღებას მიაქცევენ ქოხ-საკითხველოებს და მათ შესახებ გამოტანილ დადგენილებებს.

უ. ფრან—ლი.

წერილები ადგილებიდან

პარტმუშაობა ზუგდიდის მაზრაში

ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ზუგდიდის მაზრის პარტორგანიზაციაში მუშაობა მიმდინარეობდა ნორმალურად. მართალია აქა-იქ ადგილი ჰქონდა კინკლაობას, ინტრიგანობას, მაგრამ თავის დროზე მიღებულ ზომებით ის კიდეც აღმოფხვრილი იქნა. პარტ-დისციპლინა ამხანაგებს შორის სასურველ დონეზე სდგას. უპარტიოთა ლტოლვა პარტიისაკენ მეტად დიდია. ერთი ნაკლი, რომელსაც ჩვენ გვსურს აქ ხაზი გაუსვათ, არის ის, რომ რაიკომის პასუხისმგებელი მდივნები მოკლებული არიან სათანადო მომზადებას, რაც შესაფერისს კვალს სტოვებს რაიონებში გაერთიანებული პარტუჯრედების მუშაობაზე. თუმცა კავშირი და ხელმძღვანელობა სამაზრო კომიტეტს და რაიკომებს შორის დამაკმაყოფილებელია. მაგრამ ეს მდგომარეობას არსებითად მაინც არ სცვლის. უფრო მეტიც. [illegible] ეწყობა რაიკომების და თვით უჯრედების პ/მ. მდივნების საანგარიშო ხასიათის მოხსენებები სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებზე, რომლებზედაც მათ ეძლევათ სამუშაო ინსტრუქციები და დირექტივები, მაგრამ მიუხედავად ამისა რაიკომებში მომზადებულ ძალების უყოლობის გამო მუშაობა მაინც მოისუსტებს. რაც შეეხება უჯრედების შიგნით შინა-მუშაობას, უნდა ითქვას შემდეგი: კრებები სისტემატიურად იმართება და ამხანაგებიც მათზე თითქმის ულევლივ ესწრებიან, უპარტიოთა შორის მუშაობის გასაცხოველებლად ხშირ-ხშირად ეწყობა ღია სხდომებიც. ამხანაგების პოლიტიკური განვითარების დონე ძლიერ მოისუსტებს. მიზეზი კი ამისა არის ის, რომ პოლიტმეცადინეობა ვერ მიმდინარეობს სასურველად. ამ ნაკლის გამოსწორებას მომავალში უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

დ. გაჩეიშვილი.

სოფ. ხიდისთავის კომუჯრედი

ხიდისთავის კომუჯრედი თემის ცენტრალური უჯრედია. რიცხვობრივად ეს უჯრედი მოისუსტებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა ყველა წევრები, რომლებიც გაერთიანებული არიან ამ უჯრედის გარშემო, არავითარ ძალ-ღონეს არ ზოგავენ მუშაობაში და პირნათლადაც ასრულებენ რაიკომის ყველა დირექტივებს. უჯრედის სხდომები იმართება ორ კვირაში ერთხელ, რომლებზედაც ამ ბოლო დროს კეთდებოდა მოხსენებები რაიკომის პ/მ. მდივნის, ამხ. სოსელიას მიერ ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხების შესახებ. ამ მოხსენებებმა დიდი ნაყოფი გამოიღო. პარტამხანაგები თემის ყველა სოფლებში აწარმოებენ უკვე სათანადო აგიტაცია-პროპაგანდას ძველი ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ.

პარტკორი ნ. მჟავანაძე.

სოფ. ქოქის კომუჯრედი

ზემოხსენებულ სოფელში კომუჯრედი არსებობს 1921 წლიდან მიუხედავად იმისა, რომ უჯრედს 4—5 წლის არსებობის ისტორია აქვს, მისი მუშაობა მაინც ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. მიზეზი კი ამისა არის შემდეგი: 1. უჯრედს არ გააჩნია არავითარი ინიციატივის უნარი, ის მოკლებულია ყოველგვარ თვითმოქმედებას, 2. უჯრედში ადგილი აქვს ინტრიგანობას, 3. უჯრედში გარდა ორი ამხანაგისა არავინ ითვლება პარტიის ნამდვილ წევრებად და 4. თვით უჯრედის პასუხისმგებელი მდივანი მოკლებულია ყოველგვარ მომზადებას, მან წერა-კითხვაც კი არ იცის, საჭიროა ყოველივე ამას სამაზრო პარტკომმა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

პარტკორი ი. დ—ი.

უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია მოემგზავრება საქართველოში

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმმა საფრანგეთის, გერმანიის და ბელგიის მასწავლებელთა წარმომადგენლებს, რომლებიც ამ ჟამათ ლენინგრადში იმყოფებიან, გაუგზავნა მოპატიჟების ბარათი, რომელშიაც სთხოვეს მათ ჩამოვიდენ საქართველოში.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ დელეგაცია საქართველოში ჩამოვა აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

დელეგაციაში შედის გერმანელ, ფრანგ და ბელგიელი მასწავლებლების 38 წარმომადგენელი.

დელეგაციის მიზანია შეისწავლოს სწავლა-განათლების საქმე საბჭოთა კავშირში.

დელეგატები დაათვალიერებენ აგრეთვე ყველა მნიშვნელოვანი ქალაქების დაწესებულება-წარმოებებს.

ჯანმრთელობის საკითხი სოფლად

სოფლის ჯანმრთელობისათვის საჭირო ხარჯები შეტანილია ადგილობრივ (სამაზრო აღმასკომების) ბიუჯეტში და შეადგენს ამ ბიუჯეტის სულ მცირე პროცენტს, ხოლო მთავრობის დოტაცია ჯანმრთელობის საქმისათვის არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი მოთხოვნილებებთან შედარებით, რომ სავსებით დაკმაყოფილებულიყო მაზრები. მიუხედავათ ამისა ჩვენ ვხედავთ, რომ სამაზრო აღმასკომები იმ მცირეოდენ წინასწარ განსაზღვრულ თანხასაც არ ხარჯავდენ ჯანმრთელობის საქმეზე; პირიქით ყველგან ვხედავთ ხვედრი თანხის გაცემის სისტემატიური დაგვიანებას, ისიც საგრძნობი რაოდენობის დაკლებით, რომელიც ადის 76 პროცენტამდე. ამ მხრივ ყურადღება სოფლისადმი იყო უფრო ნაკლები, მაგალითად, ქუთაისის მაზრაში სამაზრო და ქალაქის დაწესებულებათა საჭიროებისათვის დაიხარჯა ხსენებულ დაწესებულებათა წლიურ ხარჯთაღრიცხვის 27 პროცენტამდე, მაშინ როდესაც სოფლისთვის დაიხარჯა ამისათვის გათვალისწინებული ხარჯების მხოლოდ 12 პროცენტი.

თუ ავიღებთ სამკურნალო დაწესებულებათა სოფლის ქსელს, დავინახავთ, რომ ასეთი (სარაიონო საავადმყოფო, საექიმო და საფერშლო პუნქტები) როგორც თავის ღირსებით, ისე რიცხვითაც არ არის დამაკმაყოფილებელი. საქართველოში სულ (გარდა ავტონომიურ რესპუბლიკებისა) 176 საექიმო პუნქტია. საერთოდ თითო პუნქტზე მოდის საშუალო 10.000-ზე მეტი სოფლის მოსახლეობა. პუნქტის საშუალო რადიუსი კი უდრის დაახლოვებით 12 ვერსს. თუ ცალ-ცალკე ავიღებთ მაზრები, დავინახავთ, რომ ზოგიერთ მაზრაში პირობები უარესია, მაგალითად, დუშეთის მაზრაში თითო პუნქტზე მოდის 14.000-მდე მოსახლეობა, საშუალო რადიუსი კი პუნქტისა უდრის 14 ვერსს, ახალქალაქის მაზრაში კი თითო პუნქტზე მოდის 18.000 მოსახლეობა, პუნქტის საშუალო რადიუსი უდრის 15,5 ვერსს.

თუ ავიღებთ მხედველობაში პუნქტების სიღარიბეს, როგორც ინვენტარით, მედიკამენტებით და შესახვევ მასალით (იშვიათად თუ რომელიმე პუნქტზე დაინახავთ პირველ მოთხოვნილებითი მედიკამენტებს და შესახვევ მასალას) ისე შტატით, დავრწმუნდებით, რომ საჭიროა საექიმო პუნქტების რიცხვის გამრავლება, მათი მომარაგება.

რაც შეეხება სარაიონო საავადმყოფოებს, რომელთა რიცხვი უდრის ოცდა ათს, უნდა ითქვას, რომ უმეტესი ნაწილი ამ საავადმყოფოებისა არ მოქმედობს შტატის და თანხის უქონლობის გამო, დანარჩენი კი არ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნილებასაც.

საფერშლო პუნქტები არის მხოლოდ 8 მაზრაში, რიცხვით 31. ჯანმრთელობის კომისარიატი თანდათანობით აუქმებს საფერშლო პუნქტებს და მათ მაგიერ აარსებს საექიმო პუნქტებს.

თუ შევეხებით სასოფლო-სამკურნალო დაწესებულებების უზრუნველყოფას შტატით, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მცირე შტატიც კი, რომელიც გათვალისწინებულია დღევანდელ ქსელის მიხედვით, არ არის შევსებული; მაგალითად, ა. წ. ივნისისათვის 41 საექიმო პუნქტში არ იყო ექიმები (სულ 175 პუნქტია), ბევრ სხვა პუნქტებზე დანიშნულია სრულიად უსტაჟო ექიმები (მიმდინარე წელში სოფლად გაიგზავნა დამოუკიდებელ მუშაობისათვის 40-ზე მეტი უნივერსიტეტიდან ახლად გამოსული ექიმი). სტაჟიანი, გამოცდილი ექიმი კი არ მიდის სოფელში სამუშაოდ ჯამაგირის სიმცირის გამო. გარდა ჯამაგირის სიმცირისა, ექიმისათვის სოფლად მუშაობის პირობები შემდეგია: ჯამაგირის მიღების სისტემატიურად რამოდენიმე თვით, ხშირად 3 თვეზე მეტი, დაგვიანება, პუნქტების და საავადმყოფოების მოუწყობლობა, ბინის და სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობა, რაიონის სივრცის სიდიდე და მოსახლეობის სიღარიბე.

უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ავადმყოფ გლეხისათვის არ არის საკმარისი ექიმთან მარტო რჩევა მიიღოს, ისიც პუნქტზე—მას სჭირია ბინაზე საექიმო დახმარება, წამლები, სანიტარული განათლების მიღება.

ჯერ-ჯერობით ისეთი წესია, რომ უფასო დახმარება, ისიც მხოლოდ რჩევის სახით, გლეხისთვის არსებობს მხოლოდ პუნქტზე; სულ ცოტაოდენ ნაწილს გლეხთა მოსახლეობისას საექიმო პუნქტის ექიმი ბინაზე უწევს უფასო დახმარებას, მაგრამ ასეთი დახმარება ძლიერ მცირეა და არ შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან მოვლენად.

მიღებულია, როგორც საერთო წესი, ცოტაოდენ ზემონაჩვენების გამონაკლისით, გლეხებისთვის ბინაზე ფასიანი დახმარება.

წამლებიც კი, როგორც საერთო წესი, ყველასათვის ფასიანია (უკიდურეს და ძლიერ იშვიათი შემთხვევაში მხოლოდ აღმასკომი აძლევს წამალს თავის ხარჯზე), მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მიუხედავათ წამლების ცოტაოდენი გაიაფებისა, ისინი მაინც მიუწდომელია ღარიბ გლეხობისათვის, და თუ წამალი ვერ შეიძინა, რათ უნდა მას უფასო ექიმი.

სპეციალურ დახმარებაზე სოფლად ზედმეტია ლაპარაკი. მართალია, გასულ წელს გაგზავნილი იყო პროვინციაში 2 თვალის საექიმო რაზმი ზაფხულის განმავლობაში სამუშაოდ და ორიც მოძრავი კბილის საექიმო რაზმი, რომელნიც მუშაობდენ სოფლად მთელი წლის განმავლობაში; მიმდინარე წელს კი გაგზავნილია სამი თვალის საექიმო რაზმი, ეს, რა საკვირველია, ძლიერ ცოტაა.

რაც შეეხება სტაციონარულ დახმარებას, ასეთი სოფლათ თითქმის არ არის; მაზრებში არსებული საავადმყოფოები კი პირველ რიგში აკმაყოფილებენ დაზღვეულებს, რომელთა რიცხვი 80 პროც. აღემატება, ნაწილი საწოლებისა კი გაქირავებულია; ამასთან თუ მივიღებთ მხედველობაში საწოლთა სიმცირეს, აშკარაა, რომ ღარიბ გლეხობისათვის ცოტა რამ რჩება.

ცხადია, რომ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს. უნდა აღდგენილ იქნეს ნორმალური პირობებით ყველა სარაიონო საავადმყოფოები, მათში გახსნილ იქნეს განყოფილებები: ტერაპევტიული, ქირურგიული და საბებიო-გინეკოლოგიური. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს აღნიშნული საავადმყოფოები სტაჟიანი სპეციალისტებით, ინვენტარით, მედიკამენტებით, მომატებულ უნდა იქნეს რიცხვი თვალის და კბილის საექიმო რაზმებისა. სამაზრო საავადმყოფოებში კი უნდა დაწესებულ იქნეს ნორმა უფასო საწოლებისა გლეხებისათვის არა ნაკლები 50 პროცენტისა. სამაზრო საავადმყოფოებთან დაარსებულ იქნეს ამბულატორია ყველა სპეციალობის დარგში უფასო დახმარებისათვის. შემდეგში აღკრძალულ უნდა იქნეს სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე არსებულ საწოლების გაქირავება.

სოციალური ავადმყოფობანი, როგორიცაა მალარია, ფილტვების ტუბერკულიოზი და ათაშანგი (სიფილისი), წარმოადგენენ ჩვენი გლეხებისათვის დიდ უბედურებას, მალარიით შეპყრობილია საქართველოში 800 000 კაცი, რესპუბლიკაში ყველა ავადმყოფობის 80 პროცენტს შეადგენს მალარიით დაავადებულნი, ყოველ წლიწადში მალარიით კვდება 3000-ზე მეტი კაცი. მალარიის ნიადაგზე დიდძალი მოსახლეობა შეპყრობილია ფილტვების ჭლექით. 1924 წელში ჯანმრთელობის დაწესებულებებში აღრიცხვაზე იყო აყვანილი 20.084 ჭლექით დაავადებული, რასაკვირველია, ნაწილი ჭლექით ავადმყოფებისა დარჩა რეგისტრაციის გარეშე. მალიარიასთან ბრძოლა მოითხოვს დიდ შრომას და თანხას. თავისთავად ცხადია, აღმასკომების ფინანსიური საშუალებებით ნაყოფიერი ბრძოლა შეუძლებელია. ამას სჭირია განსაკუთრებული თანხა როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიურ ზომების მისაღებად. იგივე ითქმის ათაშანგის შესახებ. მართალია ჯანსახკომისარიატს მიღებული აქვს შეძლების ფარგლებში სერიოზული ზომები, მაგრამ ყველაფერი ეს არ აკმაყოფილებს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებას. სანიტარულ განათლების შესახებ უნდა ითქვას, რომ სოფლად ამ დარგში თითქმის არაფერი კეთდება.

ბოლოს არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის ექიმბაშობის საკითხი. საქმე იმაშია, რომ ექიმბაშობა საბჭოთა მედიცინასთან პარალელურად ჰქმნის ექიმბაშური მედიცინას და ამისათვის სარგებლობს მოსახლეობის უკულტურობით და საექიმო დაწესებულებათა სიმცირით და სიღარიბით. სამწუხაროდ, ექიმბაშობის შესახებ არავითარი კანონმდებლობა არ არსებობს. ესეც ხელს უწყობს ექიმბაშებს, რომელნიც მოტყუებით ყვლეფავენ გლეხებს და გარდა ამისა ხშირად დამღუპველი გავლენა აქვთ მათი ჯანმრთელობაზე. მართალია, ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვაქვს საშუალება მთლიანად უზრუნველვყოთ გლეხობა მედიკურ და სანიტარულ დახმარებით, მაგრამ უნდა აუკძალოთ ექიმობა ყველას, ვისაც სათანადო სპეციალური მომზადება არა აქვს. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო ადმინისტრატიული ბრძოლა არ კმარა, საჭიროა სოფლის მოსახლეობა უზრუნველვყოთ როგორც საერთო, ისე სპეციალურა საექიმო დახმარებით, გავაიაფოთ წამლები, გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ მუშაობა სანგანათლების დარგში.

უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლად ჯანმრთელობის საკითხის მოგვარებისათვის არ შეიძლება ადგილობრივ ბიუჯეტზე დამყარება, საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტის წესით იქნეს გატარებული მთელი რიგი ღონისძიებანი.

მ.

მიწათმოწყობა ჩვენში

თელავის მაზრა

თელავის მაზრა შეიცავს სულ 455625 დესეტინას, სადაც მიწების სხვადასხვაობა ასეთია:

	დესეტინებში.	პროც. მთელ ტერიტორ.
სამოსახლოები	1989	0.4
ბაღი	54	0.0
ვენახი	4142	0.9
სახნავი, რომელიც ირწყვის	5999	1.3
„ „ არ ირწყვის. (თუმცა მორწყვა შეიძლება)	30010	6.6
ველბუჩქნარი (სასოფლო საბალახოები)	3550	0.8
საძოვარი საზაფხულო	82380	18.1
ტყე	297574	65.3
უვარგისი ადგილები	29927	6.6

მაზრაში 184 სოფელია 21760 კომლით და 96853 მცხოვრებით ორივე სქესისა. 40 პროც. ყველა სოფლისა, რიცხვით 73, პატარ-პატარა სოფლებია, რომლებშიაც ორთაშუა თითოში 13 კომლი ცხოვრობს, ხოლო დიდი სოფელი, რომელშიც კომლთა რიცხვი 500 აღემატება, სულ თორმეტია, ე. ი. 6,6 პროც. სასოფლო მეურნეობისათვის უშუალოდ გამოსადეგი მიწა (საბალახო, სახნავი და უფრო მაღალი კულტურის მიწა) მოდის სულზე ნახევარი დესეტინა. მთელი მოსახლეობის კანონიერი მიწის ნორმით დასაკმაყოფილებლად მაზრას აკლია 63056 დესეტინა. ასეთ პირობებში სოფელს შეუძლია თავის შენახვა მხოლოდ უმაღლეს კულტურის განვითარებით და სახნავი მიწების მორწყვით. ტოპოგრაფიული და ჰავის პირობები ამას ხელს უწყობს. მართალია, ვენახების რაოდენობა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სხვა და სხვა მიზეზით თითქმის განახევრდა, მაგრამ ახლად დაწყებული აღორძინება ამ დარგში იმითი მძლავრი ტემპით მიდის, რომ მევენახეობის ბრწყინვალე მომავალი უზრუნველყოფილია.

თელავის მაზრაში მიწის სარგებლობა კომლეურია; არსად, არც ბარში არც მთაში, აქ ვერ ნახავთ თემური მიწათსარგებლობის ნასახს. მიწა დაქუცმაცებულია აუარებელ წვრილ ნაკვეთებათ, რომელთა რაოდენობა თითო კომლზე ორთაშუა, მოდის რვა. ასეთი დაქუცმაცება ახასიათებს არა მარტო მევენახეობის რაიონებს, არამედ სახნავ მიწებსაც, მხოლოდ უნდა ითქვას, რომ თელავის მაზრის ვაკე ადგილები, ალაზნის ორივე მხარეზე განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენენ მთელს საქართველოში: ნიადაგი აქ იმდენათ ერთხარისხოვანია, რომ აზრი მიწების დაქუცმაცების მოსპობისა სახნავი მიწის ზოლების გადაყოფით სრულიად არ ეწინააღმდეგება ხალხს და არის სრული იმედი, რომ მიწათმოწყობის დროს მიწის ნაკვეთების რაოდენობა თითო კომლზე 50—60 პროც. იქნება შემოკლებული, რაც საქართველოს პირობებში უდიდეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ საქმე რამოდენიმეთ გართულდება მხოლოდ დიდრონ სოფლებში, სადაც მიწების სიშორე იძულებულს გახდის მიწათმომწყობს მთელი დასანაწილებელი მიწები დაჰყოს რაიონებათ და თვითეულ კომლს მისცეს წილი თითო რაიონში. ამნაირათ მიწის ნაკვეთების გაერთიანება ერთი მეურნის ხელში აქ შესაძლებელი ხდება.

მეორე საკითხი თელავის მაზრის მიწის სარგებლობისა, რომელსაც აქვს ასე თუ ისე მასიური ხასიათი, არის დავა მიწებზე სოფლებს შორის. მიზეზი ასეთი დავებისა უნდა ვეძიოთ მაზრაში ჩამოსახლებულ სხვა ტომის ხალხში. ცნობილია, რომ ჩვენი ყოფილი თავად-აზნაურები ხშირად ჰყიდდენ თავის წილს საერთო ფლობელობის ტყეებისა და საძოვრებისას მყიდველები, უმეტეს ნაწილად ოსები იყვნენ, რადგან მათ თავის ქვეყანაში მიწა არ ჰყოფნიდათ. ზოგ შემთხვევაში გაყიდვის მაგივრათ ადგილი ჰქონდა პირობით ჩასახლებას ტყეში. გაახოებულ ადგილებს მიწის პატრონი ჰყიდდა მასსზე, ვინც მეტს მისცემდა და ხშირათ თვითონ ტყის გამტეხი და ახოს ამღები რჩებოდა პირში ჩალაგამოვლებული. ამ ნიადაგზე დღეს არა ერთი დავა სოფლებს შორის ამ მაზრაში. ერთი სოფელი აცხადებს თავის იურიდიულ უფლებას, მეორე—კი თავის შრომას უფლებას ერთსა და იმავე მიწაზე. ასეთი საკითხები შეიძლება გამოსწორდეს მხოლოდ მიწათ-მოწყობის წესით.

მესამე მეტათ მწვავე საკითხი არის პატარა სოფლების არსებობა. ეს სოფლები გაჩნდნენ რევოლიუციის ხანაში. ვინც მიწის რეფორმის საქმეზე მუშაობდა, იცის, რომ დღიდან რევოლიუციის დაწყებისა მთაში მცხოვრებნი მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებენ: ამდენ ხანს ჩვენ ვწვალობდით ჩვენს კლდე-ხრიოკ-მთიან ადგილებში, ეხლა ჩვენ ბარში ჩამოვედით, თქვენ ბარელები იქ წაბრძანდით, ნახეთ როგორი საცხოვრებელიაო. ზოგ ადგილას ეს განზრახვა საქმეთ აქციეს. თელავის მაზრაში 300-მდე კომლი ხევსურები აიყარნენ და ჩამოსახლდნენ „თეთრი წყლების“ მიდამოში, გომბორისა და თელავის შუა გზაზე, სადაც ისინი გაიფანტენ რამოდენიმე ათეულ სოფლად, როგორც ამას ჩვეულნი იყვნენ მთაში და დღესაც ასე გაფანტულათ ცხოვრობენ. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ასეთ პატარა სოფლებათ გაშლა სპობს ტყეს, აშრობს ღელეებს, წყაროებს, იჭერს ზედმეტ საბალახოებს და სათიბებს. ასეთ სოფლებში შეუძლებელია ფიქრი სკოლის, კოოპერატივის, სახალხო სახლის და სხვა კულტურულ დაწესებულების დაარსებაზე. ეს სოფლები მუდამ ყაჩაღების თავშესაფარათ რჩებიან. ყოვლად დაუშვებელია კულტურულ ცენტრის გვერდზე ასეთ მოვლენას ჰქონდეს ალაგი. მთაში ასეთი პატარა სოფლები გასაგებია: ფართო სოფლის შექმნა იქ ფიზიკურათ შეუძლებელია; აქ კი ასეთი სოფლები შენდება ან ძველი ტრადიციების წყალობით ან წინადვე მოაზრებულ მიზნით, რომ რაც შეიძლება მეტი ადგილი დაიჭირონ და თუ ვინმეს სხვას ამით ზარალი მოუვა, ამაზე არავინ ფიქრობს. თელავის აღმასკომი ამ საკითხს იმ თავითვე ფხიზლად შეხვდა და მოინდომა ამ სოფლების შეჯგუფება, აგეგმა შესაფერი ადგილი და წინადადება მისცა მცხოვრებთ დასახლებულიყვნენ ერთად, მაგრამ ხევსურებმა იმდენა მოახერხეს, რომ ისინი დღესაც იქვე ცხოვრობენ და თვითეულ კომლს ხუთი და მეტი მიწის ნორმა უჭირავს სახნავის, ტყისა და საძოვრების სახით.

ეს საკითხი თუმცა უაღრესათ მიწათმოწყობის საკითხია, მაგრამ აქ საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების მხრივაც ჩარევა როგორც მისი ავტორიტეტით, ისე ნივთიერ დახმარებით, რადგან დასახლებულ კაცის აყრა და სხვა ალაგზე გადასახლება ადვილი არაა. ყოველ შემთხვევაში ეს საქმე არ უნდა გაჭიანურდეს, ხევსურების ქვემოთ მცხოვრები მთელი რაიონები იმდენათ შეწუხებული არიან ასეთი მეზობლებით, რომ შესაძლოა ბოლოს რაიმე ექსცესებსაც ექნეს ადგილი.

მიწათმოწყობის დროს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ყველგან სამოსახლოების და სავენახე ან სხვა მაღალ კულტურის ადგილების მიზომვას. განსაკუთრებით ამას მოითხოვს თელავის მაზრა, როგორც ეკონომიურათ საერთოთ ძლიერი მაზრა. თელავის სოფელი, ეკონომიურათ ძლიერი, აშკარათ გაყოფილა სხვადასხვა ფენებათ, სადაც ღარიბი ნაწილი, რომელსაც არც ვენახი გააჩნია და არც სხვა წყარო შემოსავლისა, 30—40 პროც. ადის. ამ ნაწილის სახნავ-სათესი მიწები ყოველთვის 10—15 ვერსითაა დაშორებული სოფელზე, რის გამო ისინი იძულებული ხდებიან შეძლებულ მეზობლის მოჯამაგირეთ ან დღიურ მუშათ გადაიქცნენ. მიწათმოწყობის ერთერთ მიზანს შეადგენს ასეთების დაკმაყოფილება სავენახე ადგილებით და სამოსახლოებით სოფლის მახლობლად. თვით სოფლების სტრუქტურა: ქუჩები, სივიწროვე, ხანძარის საშიშროება, ჰიგიენური პირობების დაცვის შეუძლებლობა და სხ. იმდენად არაა დამაკმაყოფილებელი, რომ ესეც დიდ მუშაობას მოითხოვს მიწათმოწყობის დროს.

ამ მხრით თელავის მაზრაში მეტად დამახასიათებელი და საგულისხმოა აზერბეიჯანიდან გადმოხვეწილ ქართველ უდინების მიერ ახლად გაშენებული სოფელი ზინობიანი; აქ ყველაფერი გეგმითაა წინასწარ გამონაგარიშებული და არც ერთ იმ ნაკლს, რომელიც ასე ახასიათებს ჩვენს სოფლებს, აქ ადგილი არა აქვს. დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის რომ სოფელს ზედ კარზე აკრავს სხვათა საცხოვრებელი ადგილი მიწური ქოხებით, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ზინობიანის მცხოვრებთ. აღძრულია საქმე მიწათმოწყობის ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

ჩვენი მესაქონლეობისათვის მეტად მნიშვნელოვანია სოფლების მიწების მოწყობის დროს სანახირე გზების და საქონლის დასასვენებელი ადგილების დატოვება, რაც ნაჭრობით მიწის სარგებლობის ადგილებში არაა ადვილი საქმე. ზოგი მეკომურის მთელი ნაკვეთები ამ გზას უნდება, აუცილებელი ხდება გამოინახოს სადმე მაგიერი მიწა ასეთების დასაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება მიწის რეფორმის გატარებას, როგორც ყველგან, აქ ის უკვე დამთავრებულია. შედარებით დიდი პროცენტი მაზრაში მიწის რეფორმის გატარებაზე აღძრულ საჩივრებისა ადვილი ასახსნელია იმ გარემოებით, რომ აქ ბევრია ვაჭარი, ინტელიგენტი და ყოფილი თავადაზნაურები; გლეხებისაგან საჩივარი თითქმის არ არის. ჩამორთმეული მიწები მცირედი გამონაკლისის გარდა მიწის მუშებზეა დანაწილებული. აღმასკომის ხელში დარჩენილი კი მას ერთგვარ შემოსავალსაც აძლევს მოზოგებული ხარჯის წყალობით.

მ. ჯ—ძე.

ამხ. პოდვოისკი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა სასპორტო ინტერნაციონალის თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის ცაკის წევრი—ამხ. პოდვოისკი

საუბარი ამხ. პოდვოისკისთან

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ამხ. პოდვოისკის ამიერ-კავკასიის ფეხბურთელების გერმანიაში გამგზავრების მნიშვნელობის შესახებ. ამხ. პოდვოისკიმ შემდეგი განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის სპორტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და კოლექტიური აღზრდის საქმეში. სულით და სხეულით ჯანსაღი მუშები უკეთესად შესძლებენ ჩვენი დიდი მასწავლებლის—ილიჩის ანდერძის შესრულებას.

საბჭოთა კავშირის მშრომელები ცდილობენ ეს აზრები გადასცენ სხვა ქვეყნების მშრომელებსაც.

ამ მიზნით მოწყობილია მუშათა და გლეხთა სასპორტო ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირი-სპორტინტერნი.

უკანასკნელ ხანებში სპორტინტერნმა მჭიდრო კავშირი დაამყარა სხვადასხვა ქვეყნებთან რომლებთანაც ხდება სასპორტო შეჯიბრებათა გაცვლა-გამოცვლა.

განსაკუთრებით ძლიერია ეს კავშირი გერმანიასთან; ეს გასაგებიცაა, რადგან იქ მუშათა სასპორტო ორგანიზაციებში გაერთიანებულია მილიონ ნახევარი მუშა.

ამიერ-კავკასიის ფეხბურთელთა გუნდის გაგზავნას გერმანიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამ გუნდში შედიან ამიერ-კავკასიის იმ ერების წარმომადგენლები, რომლებიც წინეთ დაჩაგრული იყვნენ მეფის მთავრობის მიერ.

ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ყველა ეს ერები მჭიდროდ გაერთიანებული არიან და ერთად ქმნიან ახალ ცხოვრებას; მათ შექმნეს ძლიერი სასპორტო ორგანიზაციები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირის სამეურნეო ცხოვრების განვითარებისა და სამხედრო თავდაცვის საქმეში.

ამიერ-კავკასიის ყველა ეს ერები დაანახვებენ სხვა ქვეყნების მუშათა სასპორტო „ორგანიზაციებს თავისი მუშაობის შედეგებს და კოლექტიურ სოლიდარობას, რომლებსაც მიაღწიეს საბჭოთა დროშის ქვეშ.

ამას გარდა, მაროკოში და შანხაიში დაწყებულ ეროვნულ განმანთავისუფლებელ ბრძოლასთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის 4 ეროვნების ფეხბურთელები გერმანიიდან დაანახვენ აღმოსავლეთის ყველა ხალხებს და დაჩაგრულ ერებს, რომ ფიზიკური კულტურა საბჭოთა სინამდვილეში არის ერთ-ერთი უძლიერესი იარაღი ნაციონალური განთავისუფლებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და იარაღები სოფელს

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან მიიღო სამიზნო სესხი 100.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც განაწილდა ახალქალაქის, ახალციხის და ბორჩალოს მაზრების საკრედიტო ამხანაგობათა შორის.

ამ თანხიდან 20.000 მანეთი მიცემულია ჯიშიანი საქონლის შესაძენათ, 40.000 მანეთი რძის ნაწარმოებთა გასასაღებლათ, 20.000 მან. საქონლის საკვების შესაძენათ, 5.000 მან. მეფუტკრეობის გასანვითარებლად და 15.000 მან. მუშა საქონლის შესაძენათ.

ამ თანხებიდან სესხი ჯიშიანი საქონლის შესაძენათ გაცემულია 3 წლის ვადით, რძის ნაწარმოების გასასაღებლათ—6—8 თვემდე, საქონლის საკვების შესაძენათ-10 თვით, მეფუტკრეობის გასანვითარებლად—6 თვით და მუშა საქონლის შესაძენათ—2 წლით და 4 თვით.

ეს სესხი საკრედიტო ამხანაგობებმა უნდა გაანაწილონ თავის წევრებს შორის.

ამას გარდა ახალქალაქის, ახალციხის და ბორჩალოს მაზრების საკრედიტო ამხანაგობებმა თავის წევრებზე დასარიგებლათ მიმდინარე წლის ივლისში მიიღეს: ახალქალაქის მაზრის საკრედიტო ამხანაგობებმა—55.426 მან. 85 კაპ., ახალციხის მაზრის ამხანაგობებმა—46.609 მან. და ბორჩალოს მაზრის—45.368 მან. სულ სამივე მაზრამ მიიღო—147.403 მანეთი 85 კაპ.

ამის გარდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამ დღეებში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საშუალებით საზღვარგარეთიდან მიიღო სასოფლო-სამეურნეო იარაღების დიდი პარტია.

ეს იარაღები ბანკმა დაურიგა ახალციხის და აჭურის საკრედიტო ამხანაგობებს, რომლებიც შემდეგ მათ გაანაწილებენ თავის წევრებს შორის.

ახალციხის საკრედიტო ამხანაგობას მიეცა 5 ცალი სეპარატორი (რძის ნაწარმოებთა დასამზადებელი მანქანა), 125 სხვადასხვა ზომის გუთანი და 6 ცალი სანიავებელი მანქანა, რომელთა ღირებულება უდრის 7.770 მანეთს.

აჭურის საკრედიტო ამხანაგობას მიეცა 100 ცალი სხვადასხვა ზომის გუთანი და ერთი ცალი სანიავებელი მანქანა, რომელთა ღირებულება უდრის 6.355 მანეთს.

კრედიტის მიცემის წესი წინანდელია.

ამასთანავე დიდძალი მაკრატლები და დანები გაიგზავნა ქუთაისის მაზრაში, აჭარისტანში და სიღნაღის მაზრაში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი ახლო ხანში მიიღის კიდევ სამეურნეო იარაღების ახალ პარტიას, რომელიც აგრეთვე განაწილებული იქნება მაზრების საკრედიტო ამხანაგობათა შორის.

მიზანშეწონილი ნაბიჯი

(საბინაო კოოპერაციის რეორგანიზაციის გამო)

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით, მუშათა საბინაო კოოპერაციის ყველა სახლები უნდა გადაეცეს საბინაო ამხანაგობებს.

ეს უკანასკნელები დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდენ, მაგრამ შედარებით მოკლე დროის განმავლობაში მათ საკმაო გამოცდილება შეიძინეს და აქედან შეიძლება გარკვეული პრაქტიკული დასკვნის გამოტანა.

მუშათა საბინაო კოოპერაციამ თავისი ორგანიზაციული ფორმების წყალობით ვერ მიაღწია იმ შედეგებს, რომლებსაც შეუძლიათ მიაღწიონ საბინაო ამხანაგობებს.

მუშათა საბინაო კოოპერაციის სახლებში მდგმურები აარსებენ სახლის კომიტეტებს, რომელთა როლი უკეთეს შემთხვევაში უდრიდა უფროსი მეეზოვის როლს (ჩაწერა, გამოწერა, ბინის ქირის შეგროვება და სხ.).

სახლის კომიტეტები პასიურ როლს თამაშობდენ. ისინი არ იყვნენ დაინტერესებული თავისი სახლის სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში.

სახლის კომიტეტს არ ჰქონდა ნაშენის ფლობის და სარგებლობის უფლება, ამის შედეგი კი იყო ის, რომ იგი არ კისრულობდა სათანადო ვალდებულებას ნაშენების დაცვისა და დაკარგული საბინაო სივრცის აღდგენისათვის.

მუშათა საბინაო კოოპერაცია მდგმურების საქმეს აკეთებდა; ის უძღვებოდა სახლის საქმეებს, რემონტს უკეთებდა სახლს საკუთარი საშუალებების და საამისოთ აღებულ სუბსიდიით.

მას საშუალება არ ჰქონდა, სავსებით გამოეყენებინა თვითეული სახლის თავისებურობა, რომ უკეთესად უფრო სასარგებლოთ ეწარმოებინა მისი ექსპლოატაცია და გაედიდებინა სახლის შემოსავალი.

სულ სხვა მდგომარეობაა საბინაო ამხანაგობაში.

სახლის დაცვას და დაკარგული საბინაო სივრცის აღდგენის ვალდებულება, რომელსაც კისრულობენ მდგმურები საბინაო ამხანაგობაში, აიძულებს მათ მეტი ინიციატივა და ენერგია გამოიჩინონ თავისივე ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში.

პროფსაბჭოს დადგენილება მუშათა საბინაო კოოპერაციის სახლების მმართვა-გამგეობის რეორგანიზაციის შესახებ თითქმის ოთხჯერ ადიდებს თბილისში არსებულ საბინაო ამხანაგობათა რიცხვს.

მაგრამ იმისათვის, რომ ეს რეორგანიზაცია ჩატარებული იქნეს უმტკივნეულოთ და მან პირველი ნაბიჯიდანვე სასურველი სახე მიიღოს, საჭიროა გატარებული იქნეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებათა.

1. აღნიშნული სახლების მშრომელებს და საერთოდ მასებს უნდა გავაცნოთ საბინაო ამხანაგობათა მიზნები და თვითეული წევრის უფლებები და მოვალეობანი.

2. საჭიროა სახელმწიფომ ფართოთ და მიზანშეწონილი ფინანსიური დახმარება გაუწიოს საბინაო ამხანაგობებს.

საჭიროა სესხი რემონტისათვის, ასეთ სესხს ამ ჟამად იძლევა კომუნალური ბანკი, მაგრამ მას აქვს ნაკლი ერთი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ბანკი მხოლოდ ერთი წლის ვადით იძლევა სესხს.

თბილისში არსებულ საბინაო ამხანაგობათა უმრავლესობა ვერ ბედავს სესხის აღებას, რადგან დარწმუნებული არ არის, რომ დაფარავს მას ერთი წლის განმავლობაში. ამიტომ საჭიროა სესხის ვადა გადიდებული იქნეს სამ წლამდე მაინც.

მესამე ღონისძიება სავალდებულო დადგენილების გამოცემა იმ მდგმურების მიმართ, რომლებიც გულგრილათ ეპყრობიან ბინის დაცვის საქმეს. აღნიშნული ღონისძიების გატარება ხელს შეუწყობს სახლების დაცვას დანგრევისაგან და საკარგისი საბინაო სივრცის გადიდებას.

გ.

საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზ-ბის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის გეგმის გარეშე ინსპექციამ მოახდინა საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მუშაობის გამოკვლევა, რომლის დროსაც აღმოაჩინა შემდეგი:

საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პასუხისმგებელ პირად შემადგენლობას, რომელსაც საპასუხსაგებო მუშაობა უხდება სხვა დაწესებულებებში, საშუალება არა აქვს სისტემატიური მუშაობა აწარმოოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში.

მუდმივი ხელმძღვანელობის უქონლობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ცალკე სამეურნეო წარმოებები სრულიად მოწყდენ პრეზიდიუმს და გადაიქცენ დამოუკიდებელ ორგანიზაციებათ.

აქედან—ამ განყოფილებების შტატების არანორმალურად გადიდება, რაც არ შეეფერება საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების არც ბუნებას, არც მის ფინანსიურ შესაძლებლობას.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება შესდგა სამეურნეო ღონისძიებათა გატარების გზაზე, რისთვისაც მან გამოყო სპეციალური განყოფილება საფინანსო-საექსპლოატაციო განყოფილების სახელწოდებით; ამ განყოფილების მიზანი იყო კომერციული მოღვაწეობის განვითარება.

პრეზიდიუმის მიერ დაწყებული სამეურნეო ღონისძიებანი უკეთეს შემთხვევაში არა ხელსაყრელი აღმოჩნდა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებისათვის. ზოგიერთ შემთხვევებში კი ისინი პირდაპირ საზარალო იყო მისთვის და სახელს უტეხდა საზოგადოებას მშრომელთა მასების თვალში.

ამ ღონისძიებათა შედეგები ასეთია:

1. კინო „სამოლიოტ“-მა, საქმის უწესრიგოთ წარმოების გამო, რვა თვის განმავლობაში საზოგადოებას მისცა 1000 მანეთი ზარალი; აქ მხედველობაში მიღებული არ არის ინვენტარის ღირებულება—3,776 მანეთი, რომელიც თანხაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აღებულ იქნეს ინვენტარის გაყიდვისაგან.

2. ხუთი ათასი სამგლოვიარო ნიშანი ლენინის პორტრეტით დაჯდა 1.000 მანეთი, გაყიდულია კი სულ 325 მანეთის ნიშნები.

3. საფინანსო-საექსპლოატაციო განყოფილების გამგემ, მოქალაქე ტომჩანმა ხელშეკრულება დასდო კერძო აგენტ—მალტინსკისთან 100.000 ღია ბარათის დამზადების შესახებ. ეს ხელშეკრულება აშკარათ საზარალო იყო საზოგადოებისათვის და სასარგებლო მალტინსკისათვის.

ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ მალტინსკიმ მარტო ამ საქმეზე მოიგო 800 მანეთი.

ამ ბარათების დამზადება კი არ მოითხოვდა არავითარ შრომას, არც კაპიტალს და მათი შეკვეთა შეეძლო თვით მოქ. ტომჩანს.

მალტინსკისვე დავალებული ჰქონდა ღია ბარათების გავრცელება 15 პროცენტის პირობებში. მაგრამ აქაც საზოგადოების ინტერესები მხედველობაში არ ყოფილა მიღებული.

ამ ოპერაციიდან მალტინსკიმ მიიღო არა 15 პროცენტი, როგორც ეს ხელშეკრულებაში იყო აღნიშნული, არამედ რატომღაც 20 პროცენტი.

ამას გარდა მრავალი დეფექტები იქნა აღმოჩენილი ანგარიშწარმოების დარგში.

ზემოაღნიშნულის გამო, ინსპექციამ დაადგინა: პრეზიდიუმის წევრი მოქ. ტომჩანი, რომელმაც აშკარათ არახელსაყრელი ხელშეკრულება დასდო კერძო პირებთან და რომელიც მომჭირნეობას არ იჩენდა საზოგადოებრივი ფულებისადმი, მიცემული იქნეს პასუხისგებაში.

მასალები მოქ. ტომჩანის საქმის შესახებ უკვე გადაეგზავნა პროკურორს.

ქრონიკა

— **ქართულ მეთაურთა სკოლას** თბ. ალმასკომმა დახმარების სახით გადასცა 2480 მან.

— **აჭურის ქარხნის ფარდულების** ასაგებათ თბ. ალმასკომმა გადასდო 10935 მან.

— **თბილისის მაზრის აგარაკებზე** გაუქირავებლად დარჩენილ ბინების ქირა შემცირებული იქნა კიდევ 50 პროც.

— **დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულთ.** თბ. ალმასკომმა ოზურგეთის მაზრაში წყალდიდობისაგან დაზარალებულ გლეხების დასახმარებლად გადასდო 1000 მან.

— **მევენახეობა-მეღვინეობის საქმის** გასაუმჯობესებლად მიწად-მოქ. კომისარიატმა მომავალ წლისათვის გამოითხოვა 216,882 მან.

— **სახელმძღვანელოები.** განათლების კომისარიატმა დაადგინა მიიღოს ენერგიული ზომები, რათა პროფესიონალური სკოლები მომავალ სამოსწავლო წლიდან უზრუნველყოფილი იქნან სახელმძღვანელოებით.

— **ქერის და ხორბლის დამზადება.** საზ-ბა „ხლებოპროდუქტი“ შეუდგა თელავის მაზრაში ქერისა და ხორბლეულის დამზადებას.

— **საზოგადო სამუშაოებზე** მომუშავეებს თბ. დამზღვევ კასის დადგენილებით მიეცემათ ყოველგვარი შეღავათი და დახმარება.

— **ტრაქტორების შეძენა.** ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა ამერიკაში შეიძინა 45 ტრაქტორი.

— **ექიმბაშობის წინააღმდეგ.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი იმუშავებს ცირკულიარს ექიმბაშობასთან ბრძოლის შესახებ.

— **ახალი ქარხანა.** მიწად-მოქ. კომისარიატი წარმოკავშირთან ერთად ერწოში ხსნის ყველის და კარაქის ქარხანას.

— **საფეიქრო კურსები.** განათლების კომისარიატის დადგენილებით მომავალ სამოსწავლო წლიდან ფეიქართა კავშირთან გაიხსნება ფეიქართა მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღების მონტიორების კურსები** გაიხსნება მომავალ სამოსწავლო წლიდან თბილისში.

— **საქონლის ჭირთან ბრძოლა.** ივლისის განმავლობაში თელავის, თბილისის და დუშეთის მაზრებში საქონლის ჭირთან ბრძოლაზე სავეტერინარო განყოფილებამ დახარჯა 955 ლიტრა შრატი.

— **სიმინდის დამზადება.** აპრილიდან ივლისამდე ცეკავშირმა დაამზადა 65,355 ფუთი სიმინდი.

— **საქ. პროფკავშირებში** ამჟამად ითვლება 115,719 წევრი.

— **აგრონდახმარებისა და სასოფლო სამეურნეო ამხანაგობების მოსაწყობად** მაზრებში აჭარის სახ. კომ. საბჭომ გადასდო 20000 მ.

— **დასაზღვევ გადასახადის** თავის დროზე შემოუტანლობის გამო თბილისის დამზღვევ სალაროს ივლისში შემოუვიდა ჯარიმის სახით 3.629 მან.

— **ჯანსახკომს** ივლისის განმავლობაში ფასიან საწყობებიდან შემოუვიდა ივლისში 7262 მან.

— **აგარაკებით** მიმდინარე წელს ყველაზე მეტად ისარგებლეს გემოკვების კავშირის წევრებმა.

— **სამარხი ფული.** თბ. დამზღვევ სალარომ ივლისში გასცა 5009 მან. სამარხ ფულად.

— **ხ. პ. კ. ს. კულტ. განყოფილების სალექციო-სექც. ბიურო.** ა|წ. 13 აგვისტოს სა. 8 საათზე ა. კ. საგანგებო კომისიის ჯარების მე-8-ე პოლკები, ერმოლოვის ქ. შესდგება ამხ. სტრელეცკის ლექცია „რა არის ჩვენი დედამიწა.

ხელოვნება

ირმა დუნკანის ცეკვის და პლასტიკის საღამო

„თავისუფალი სული თავისუფალ სხეულში“—ასე იყო გამოცხადებული ირმა დუნკანის საღამოს შინაარსი. და მართლაც საღამოს პროგრამაში თავიდან ბოლომდე გატარებულია მთავარი აზრი „ძირს კლასიკური ბალეტის დახავსებული სახე, საჭიროა ახალი გზით სიარული თავისუფალი ცეკვისაკენ.“ მთელ მსოფლიოში ცნობილ აისედორა დუნკანის ქალიშვილი და მიმდევარი ირმა დუნკანი ანვითარებს მისი დედის მიერ განახლებულ ცეკვის იდეას. ირმა დუნკანი კიდევ უფრო მრავალფეროვნებას იჩენს. მასთან ერთად გამოვიდა აისედორა დუნკანის მოსკოვის სახელმწიფო სტუდიის 15 ახალგაზრდა მოსწავლე ქალი. ცეკვა პლასტიური და ლამაზია, მასში ეროტიული არაფერი არ არის.

პირველ განყოფილებაში შესრულებული იყო მთელი რიგი მუსიკალური ხორეოგრაფიული ნომრები შუბერტის. საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ცეკვამ ბურთით. კარგია მუსიკალური მომენტი და სამხედრო მარში. კარგად იქნა შესრულებული რახმანინოვის „პოლკა“.

მაგრამ უმთავრეს ყურადღებას იპყრობდა რუსეთის რევოლიუციონურ სიმღერების ილიუსტრაცია. სტუდიელი ქალები რევოლიუციონურ სიმღერებით, რომელსაც თვითონ მღერიან, გვიხატავენ ცალკე და მასიურ სცენებს, მაგალითად, „ახალგაზრდა გვარდია“, „Дубинушка“, „ვარშავიანკა“ (1905. წ. 9 იანვარს დახვრეტილ მუშების სახსოვრად', „ახალგაზრდა პიონერები“, „ინტერნაციონალი“, ესენი არიან მთელი სცენები, რომელიც ალეგორიულათ, ცეკვით, გვიხატავენ სურათებს რუსეთის რევოლიუციიდან.

პ. ბ.

—

— **ხუთშაბათს 18 აგვისტოს.** შინამრეწველ-ხელოსანთა კლუბში პლეხანოვის პრ. № 65 წარმოდგენილი იქნება: „ტარიელ მკლავაძე“.

შემთხვევები

— **თავდასხმა.** 8 აგვისტოს. სოღანლუღიდან თბილისისაკენ მომავალ მამედ აბდულ ოღლის, ბაირამ ალახვერ ოღლის და რამი კურბან ოღლის თავს დაესხნენ 5 შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და წაართვეს ტანისამოსი, 50 მან. ფულად, 8 ცალი ხარი და 1 ძროხა.

— **იმავე დღეს.** საღამოს 8 საათზე მე-10 არხის მახლობელ გზაზე მიმავალ 8 მუშას სამმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა წაართვეს 30 მან. ფულად და მიიმალენ.

— **შეპყრობა.** 11 აგვისტოს ღამის 2 საათზე შეიპყრეს ცუგა ალექსანდრე, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები.

— **ჯიბგირობა.** 11 აგვისტოს დილის 11 საათზე მართა ფანდურიას ჯიბიდან ამოაცალეს საფულე ჯიბგირი ალექსი დიმიტრიევი.

— **ამავე დღეს** დილის 11 საათზე საჭებ კული ოღლის ჯიბიდან ამოაცალეს 12 მან. ჯიბგირი ქებალი ჯერან ოღლი.

— **ხელოსანთა კლუბიდან** 10 აგვისტოს ღამის 1 საათზე მოპარეს სხვადასხვა ნივთები. ქურდი რაჯიბ რაბამოვი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 11 აგვისტოს დღის 12 საათზე ყვირილის ქ № 5 შალვა კანდელაკის ბინიდან მოიპარეს 138 მან.

— ამავე დღეს კალინინის ქ. № 7 ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს მარდენ კიკაჩეიშვილის ბინა.

— **ივლისის განმავლობაში** თბილისში მოხდა სულ 203 ქურდობა.

მუშათა ცხოვრებიდან

იქით მიდიან, აქეთ კი არა

(უძღვნი ქალ. ტრამვაის დირექციას)

(პატარა ფელეტონის მაგიერ)

დაღონებული ვდგევარ ქუჩაზე..
მოუთმენლად ტრამვაის ველი...
იქით მიდიან, აქეთ კი არა,
ეს რა ამბავია? გავიდა წელი...

ოჰ, დავილალე ბევრი ლოდინით
ჩამიდგა ქარი და მომწყდა წელი,
მაგრამ არც ერთი არ სჩანს ნომერი—
არცა მეორე და არც პირველი!

გადის თვეები... ძლივს! აგერ მოდის
ის საყვარელი და სანატრელი!
ოჰ, ვენაცვალე სულის კლიტეში,
ჩემო სულიკო... ნომერ პირველი!..

სიხარულისგან თავბრუ დამესხა
და გამინათლდა თვალები ბნელი,
გამიქრა მუხლებში ჩამდგარი ქარი,
მთლად გამისწორდა მოღუნულ წელი...

დადგა რონოდა ორიოდ წამით,
მინდა მოვახტე, გავშალე ხელი,
მაგრამ მომესმა: „ხალხით სავსეა“!—
მე კონდუქტორის ხმა საშინელი.

დაღონებულმა გავწიე ფეხით,
სადაც მინდოდა, ათ წუთს მიველი,
და თუ ათ წუთში იქ მივიდოდი,
რაღად ველოდი მე ორი წელი?!

მუშა ნიკო ახ—ლი.

ამაში შეღავათი ჩვენც გვეკუთვნის.

(ალმასკომის საყურადღებოთ).

ქალ. თბილისში არსებობს შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოება, რომელიც აერთიანებს 4 ათას ხელოსანს. თითქმის 5 წელია, რაც ეს საზოგადოება არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მას ბევრი შეღავათები მიეცა (როგორიც არის მაგ. ბინის ქირა, სწავლა-განათლების საქმე, დარაბებზე 25 პროცენტით გადასახადების შემცირება და სხვა), მხოლოდ დარჩა ერთი რამ, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს. ეს არის წყლის საკითხი. წყლის საკითხი დღეს ხელოსნებში ძლიერ მწვავედ სდგას, წყლის ფასს ხელოსანი იხდის ისე, როგორც კერძო პირი, (გ. ი. ვაჭარი). ეს კი იწვევს ხელოსნებს შორის სამართლიან საყვედურს.

მართლაც, თუ მათი უფლებები დაცულია სხვადასხვა საკითხებში, რატომ უნდა შეადგენდეს წყალი გამონაკლისს. არა, ეს არ არის სწორი და ხელოსნების ინტერესი უნდა იქნეს აქაც დაცული ისე, როგორც სხვადასხვა საკითხებში.

ჩვენ ველით პასუხს.

თვითმშრომელი სამეხსელი.

ჯარიმაც ასეთი უნდა.

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოთ).

მე ვარ თვითმშრომელი, ნახევრად ინვალიდი. მაქვს პატარა სახარაზო დუქანი, სადაც ვმუშაობ და ვარჩენ ოჯახს 8 სულის შემადგენლობით. მეხმარება ჩემი 18 წლის შვილი შალვა, მაგრამ ძალიან იშვიათად. ერთ დღეს მე ვუსაყვედურე მას და მოვთხოვე, რომ ცოტა შემეშველოს მუშაობაში, რადგან ჩემი მუშაობით ოჯახს ვერ შევინახავ მეთქი. ასეთი იყო ჩემი კანონიერი შენიშვნა და ცოტა გაჯავრებაც. ასეთი შენიშვნისათვის ის გამებუტა და გაიქცა მეშვიდე უბნის მილიციაში საჩივლელად, ვითომცა მე მას დიდი შეურაცხყოფა მივაყენე. მე დამიბარეს.

იქ დამხვდა მორიგი მილიციონერი, რომელსაც ვუამბე ჩემი შვილის ცუდლუტობა და მისი ცუდი საქციელი ოჯახის მიმართ. ამ მილიციონერმა დაიწყო ქაღალდზე წერა და ბოლოს მითხრა ხელი მოაწერეო. მეც არ წავიკითხე, თუ რა ეწერა ამ ქაღალდზე და უეცრივ მოვაწერე ხელი.

რამოდენიმე დღის შემდეგ გამოირკვა, რომ მე დაჯარიმებული ვარ ერთი ჩერვონეცით. მე განვაცხადე პროტესტი ამხ. ხმალაძის წინაშე, მაგრამ ამაოდ.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ აქვს. ნუ თუ მე არა მაქვს უფლება ჩემს შვილს რაიმე შენიშვნა მივსცე ან ვუსაყვედურო მის ზარმაცობაზე ან ცუდ ქცევაზე?..

თვითმშრ. კოტე შავშიშვილი.

ელექტრო ტრამის ცხოვრებიდან

ელექტრო ტრამის ძველი ადგილკომი ხომ არაფერს აკეთებდა, მაგრამ ახლა არც ახალი ადგილკომებიც აკეთებენ რამეს. თავიანთი უმოქმედობით უკან აყენებენ პროფესიონალურ მუშაობის საქმეს.

დროა გამოფხიზლდეთ ადგილკომებო და ამუშავდეთ!

მუშა—დაწუნებული.

—

გამოგზავნილი წერილებიდან

ღირსეული ექიმი.

ქ. ბორჯომის საავადმყოფოს გამგედ ითვლება ამხ. ლადო ჩირგაძე, რომლის მუშაობა პირდაპირ მისაბაძია: მთელი თავის ენერგიით და ცოდნა-გამოცდილებით ემსახურება თავის საქმეს. თავის დაკვირვებული და დაუზოგავი მუშაობით მან ბევრი მუშა-ავადმყოფი მოარჩინა ბევრი სახიფათო სენისაგან.

ჩვენი მუშური მადლობა მას.

ავადმყოფი მარო.

—

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს

(ზესტაფონის გადამტ. არტელის საყურადღებოდ).

ქ. ზესტაფონის გადამტვირთავ არტელში მუშაობს მოქ. პეტრე დათიაშვილი, რომელიც კავშირის წევრია და დაზღვეულიც. აღნიშნულმა დათიაშვილმა მიიღო მორიგი შვებულება, საშვებულებო ფულიც და ჯამაგირიც ერთ და იგივე დროს.

ასეთი მოვლენა დაუშვებელია.

ალ. მუშა.

—

ასეთი მუშები დაფასების ღირსნი არიან

(რკ.-გზ. საუწყო კავშირის საყურადღებოდ).

ა. წ. 9 აგვისტოს დილის მატარებელს № 10, რომელიც უკვე მომზადებული იყო გასასვლელად, გაუფუჭდა უეცრივ წყლის საქაჩავი (ინჟექტორი). ამხ. რაჩენკომ იმ წამსვე მიიღო სასწრაფო ზომები; მიაბა მატარებელს ახალი ორთქლმავალი და იმის ნაცვლად, რომ მატარებელს რამდენიმე საათი და შესაძლებელია დღეებიც ეცადა თბ. სადგურზე, იგი 25 წუთის განმავლობაში იქნა გაგზავნილი.

მისაბაძია მუშის ასეთი სიფხიზლე.

მუშკორი ძველი მუშა.

ამ კურსებზე ჩვენც მოგვეცით ადგილი

(პროფ—ბჭოს საყურადღებოთ).

ქ. განჯის საყუდში დიდი ხანია არსებობს მემანქანეთა კურსები მუსლიმანებისა და სომხებისათვის. აღნიშნულ საყუდში ვმუშაობთ 15 კაცამდე ქართველები და ჩვენთვის ასეთი კურსები დღემდის არ არსებობდა. დღეს კი ასეთი არსებობს მაგრამ, ვაი უბედურებას! ჩვენ (ქართველები) ამ კურსებზე ვერ მოვხვდით.

ჩვენც დაგვიშვით კურსებზე.

დეპოელი ვ. ა ლომაძე.

რკინისგზის პროფკავშირებში

— **უმუშევარ რკინისგზელთა საერთო კრება.** ა. კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტის დადგენილებით უმუშევარ რკინისგზელთა ნადის (არტელის) რევიზიის დამთავრების შემდეგ შესდგება უმუშევართა საერთო ყრილობა, რომელზედაც მოხდება ნადის გამგეობის არჩევა.

— **400 მანეთი ვაგონ-ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.** ა.|კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტმა ვაგონ-ბიბლიოთეკების საჭიროებისათვის დამატებით გადასდო 400 მანეთი.

— **ფიზკულტურის დღესასწაული.** ფიზკულტურის მე-3 დღესასწაულზე, რომელიც იმართება კისლოვოდსკში, მონაწილეობას მიიღებენ ა.|კ. რკინისგზელებიც.

— **ფიზკულტურის ინსტიტუტში.** ა.|კ. რ. გზ. საგზაო კომიტეტმა მოსკოვის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში ამიერ-კავკასიიდან მიავლინა 3 კაცი (1 საქართველოდან, 1 აზერბეიჯანიდან და 1 სომხეთიდან). მოწაფეებს ეძლევათ თვიურად სტიპენდია 80 მანეთის რაოდენობისა.

— **კონტროლიორები სოლდაზღვევის საქმეებისთვის.** ა|კ. რკ. გზ. დამზღვევ სალარომ დაადგინა მოაწყოს შტატი კონტროლიორებისა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ბაზზე სოლდაზღვევის საქმეს.

— **განტვირთვა.** ა|კ. რკ. გზ. დამზღვევ სალარომ დაადგინა განტვირთოს სოლდაზღვევის საქმეებიდან ადგილკომები და პროფრწმუნებულები.

— **საერთო დასასვენებელი სახლი.** ა|კ. რკ. გზ. საგზაო კომიტეტმა დაადგინა ააგოს ა|კ. რკ. გზის დამზღ. სალაროსთან ერთად კახეთის რკინისგზელთა საერთო დასასვენებელი სახლი 250 კაცისათვის. შენობა აიგება ბორჯომ-ცემის რაიონში.

წერილები პროვინციიდან

წელს და შარშან

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის როგორც გაწერას ისე აკრეფას რომ ზოგიერთი თვალსაჩინო შეცდომები ჰქონდა საერთოდ ყველგან, და კერძოთ თელავის მაზრაში, ამის უარყოფა არ შეიძლება.

გლეხთა მოსახლეობა სრულებითაც წინააღმდეგი არ იყო და არც არის ამ გადასახადის. მხოლოდ მოითხოვენ, რომ იგი მისივე მონაწილეობით იყოს გაწერილი.

აი, ამ მხარეს უმთავრესი ყურადღება ექცევა წელს თელავში. მიღებულია ზომები, რომ მოსახლეობამ ფართო მონაწილეობა მიიღოს გადასახადის გაწერაში და, თუ რაიმე შეცდომები იქნება, ყველას საშუალება მიეცეს ადვილად და თავის დროზე გამოასწოროს იგი.

გადასახადის წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრებულია და ხარისხებადაა დაყოფილი.

1 ხარისხის დესეტინაზე იხდიან 55 კაპ. მეორე ხარისხის—1 მან. 20 კაპ. და მესამესი—4 მან. 20 კაპ.

გადასახადთა სიები გამოფენილი იქნება თემალმასკომებში და უწყებები ყველა გადამხდელს უნდა ჩაბარდეს აუცილებლივ 20 აგვისტომდე, რომ ყველას ეცოდინება, რამდენი აქვს შეწერილი და თუ რაიმე შეცდომაა, მას შეუძლია მიმართოს ადგილობრივ თემის ალმასკომში, მხოლოდ, თუ მისი თხოვნა არ იქნება შეწყნარებული—მაშინ თელავში.

ამნაირად გლეხთა მოსახლეობას საშუალება ეძლევა შეცდომები გამოასწოროს და, თავის თავად ცხადია, წელს შეუძლებელი იქნება ის უკმაყოფილება, რომელსაც შარშან ადგილი ჰქონდა ზოგიერთ თემებში.

თუ რამდენად ნაკლები გადასახადი შეხვდებათ თელავის მაზრის მცხოვრებთ, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მიმდინარე წელს უნდა აიკრიფოს მხოლოდ 120 ათასი მან. მაშინ, როცა შარშან გაწერილი იყო ორჯერ მეტი—27 ათასი მანეთი.

ამნაირად წელს, როგორც ვთქვი, სრულებით შეუმჩნევლად იქნება ჩატარებული ეს გადასახადი.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს საგლეხო ობლიგაციების დიდი მოთხოვნილება თელავის მაზრაში. სულ მოკლე დროში გასაღდა 5 ათასი მან. ობლიგაციები. მოთხოვნილება ეხლაც დიდია. სამთენგანმა გამოიწერა კიდევ 30 ათასი მანეთის ობლიგაციები, რომელიც, თავის დროზე რომ მიეღოთ, აქამდე გასაღდებოდა, მაგრამ ჯერაც ვერ მოგვაწოდეს თბილისიდან.

ვან—ლი.

სად არის უკუღმა მათრახი?

კომუნისტური პარტია გაცხოველებულ პროპაგანდას აწარმოებს სოფლად ძველი, დრომოჭმულ ადათ-ჩვეულებების წინააღმდეგ. მაგრამ არიან, სამწუხაროდ, სოფლად ისეთი პირები, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ ეღობებიან თავის უმზგავსო საქციელით ამ ღონისძიებას. ერთი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო სუფსიდან.

აქ ერთ გლეხს 9 აგვისტოს ჰქონდა ქორწინება, რომელიც ქალს ათხოვებდა ლანჩხუთელ გლეხზე. გამართული იყო ძველებური ქორწინება, ლანჩხუთიდან სიძეს რამდენიმე ყარაჩოხული ბიჭები ახლდენ მაყრათ. როცა მაყრები რიგიანად შეზარხოშდენ, გამოვიდნენ სუფსის ბაზარში და დაიწყეს ტარიელ მკლავაძეობა. ერთმა მათგანმა, შალვა ქავჟანიძემ, ისეთი მაგარი სილა გააწნა ერთ მუსულმანს, რომ საწყალი იქვე უგრძნობლად დაეცა და ძლივს მოვიდა გონს. შემდეგ ამ გმირმა იძრო მაუზერი და დაერია ხალხს. როცა დამშვიდება დაუწყეს, იარაღი გადასცა ვიღაც გალეშილ გლეხს, რომელიც წარამარა ურტყამდა მტყუანს და მართალს.

თითონ ქავჟანიძე ამ დროს დუელში იწვევდა გლეხებს: „აბა, გამოდით, ვისაც გული გერჩით და მკლავში ძალა გაქვსო“. მას კიდევ თან ახლდა მასავით თავზე ხელაღებული ვაჟბატონები გ. კობახიძე, მასწავლებელი ე. ებრალიძე, ლ. ზენაიშვილი და შ. ურუშაძე. ხსენებული პირები ვეფხვივით დატრიალებდენ ხალხში და სცემდენ მშვიდობიან მგზავრებს.

შემდეგ მთელი ეს მთვრალი კამპანია სადგურზე გამოვიდა და მოსვენებას არ აძლევდა მგზავრ ქალებს. ვერავითარმა მუდარამ და ხვეწნამ ვერ გასჭრა მათზე, რომ დაწყნარებულიყვენ. მათმა ასეთ უმგზავსოებამ სამართლიანი საყვედური და უკმაყოფილება გამოიწვია ყველა იქ დამსწრეთა შორის.

კომუნისტურ პარტიას იმიტომ ეკიდება ხალხი უსაზღვრო ნდობით, რომ ის თავგამოდებით ებრძვის ყოველგვარ ბოროტებას.

ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აღნიშნულ ჯგუფს ასე უბრალოთ არ ჩაუვლის მათი სუფსაში ჩადენილი თავხედობა.

ორნი.

თემალმასკომმა მუშაობა გააჩაღა

(კოჯორი)

2 აგვისტოს ჩვენი თემის ს. წავკისში შესდგა კვირეული წყალსადენის არხის გასაჭრელად. მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ გლეხებთან ერთად მე-5 ახალშენის ახალგაზრდებმა (მე-5 ახალშენი ამ სოფლის შეფია).

სოფელში ორი მიმართულებით აღმოჩნდა ჩაწყობილი უძველესი მილები, რომლებზედაც გლეხებმა არაფერი იცოდა. მილებს იღებენ და უწყობენ ახალ წყალსადენს. ხალხი ენერგიულად მუშაობს. ალმასკომი ხარჯავს ფულად ჯერჯერობით 130 მანეთს. მუშაობა მალე მოთავდება. წყალსადენს აკეთებენ აგრეთვე წყნეთში, რომელსაც საკურორტო სექციამ ამ საქმისთვის მისცა ათასი მანეთი.

ს. ბაგების წყალსადენისათვის ალმასკომს აქვს გადადებული 340 მან.

ს. შინდისში აგებენ ხიდი. ალმასკომმა დახარჯა ფულად 200 მან.

ამავე სოფელში კეთდება წყლის აუზი, რომელზედაც ალმასკომმა უნდა გაიღოს 175 მანეთი.

მთელ თემში ყველაზე უარეს მდგომარეობაშია შინდისის შრომის სკოლის შენობა. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს განათლების განყოფილებამ, ალმასკომმა და უფრო კი ხალხმა.

ამ სკოლას შეფიც არა ყავს. საჭიროა ვინმემ აიღოს ამ სოფელზე შეფობა.

გლეხკორი ხაჯი.

წერილებიდან

ლოთი ვაჭარი კომისიის წევრი. ზუგდიდში არის არჩეული სხვადასხვა გადასახადების განმანაწილებელი კომისია. ამ კომისიაში შედის ვაჭარი არქანია, რომელიც თავის ჭკუით ანაწილებს გადასახადებს. გარდა ამისა არქანია მუდამ სამიკიტნოებში დაიარება და არავინ იცის სად მიდის შეკრეფილი ფული. ქალაქს გადასახადების აკრეფით არაფერი შემატებია.

მეთვალყურე.

—

უხალხო წარმოდგენა. 20 ივლისს გორის მე-4 სკოლის „რემედასის“ უჯრედის მიერ გაიმართა წარმოდგენა ჩინელ რევოლიუციონერების სასარგებლოთ. საღამოს 9 საათამდი მხოლოდ თორმეტიოდე კაცმა მოიყარა თავი თეატრის დარბაზში. ბოლოს წარმოდგენის მომწყობნი იძულებულნი გახდენ კარები გაეღოთ და უფასოთ დაედგათ პიესა. გორის საზოგადოებას თეატრისადმი ასეთი გულცივობა არ ეპატიება.

დამსწრე.

—

ჩამორჩენილი სოფელი. სიღნაღის მაზრის ს. ახაშენში არ არის: სკოლა, თეატრი, სამკითხველო, საექიმო პუნქტი და გზებიც მოუწესრიგებელია. სოფელს არც წყალი გააჩნია მახლობლათ, რომ პაპანაქება სიცხეში კაცმა პირი გაისველოს. რას უყურებენ ადგილობრივი მოწინავე ელემენტები!

გამოძინებული.

—

შავ პურს თეთრის ფასში ასაღებენ. დაბა ჩხარს პარასკეობით აუარება გლეხები აწყდება ახლო-მახლო სოფლებიდან. ეს დღე აქაური მეფურნეების მოგების დღეა. მაგრამ სწორეთ ბაზრობის დღისათვის ჩხარელი მეპურეები აცხობენ შავ პურს და თეთრის ფასში აწვდიან მას სოფლელებს.

ორ—შახელი.

—

ვასწორებთ ძველ ბოროტებას. სოფელ სამიქაოში (სენაკ. მ.) ომამდე ეწყობოდა ბაზრობა. აქვე არსებობდა საკრედიტო ამხანაგობა. მენშევიკების დროს ერთიც და მეორეც გაუქმებულ იქნა ხელისუფლების უყურადღებობით. დღეს სამიქაოს ალმასკომმა კვლავ აღადგინა ბაზრობა და დაარსა სას. სამეურნეო ამხანაგობა. გარდა ამისა სკოლის და საექიმო პუნქტის შენობები დაძველდა და შეკეთებას საჭიროებენ. ხალხი ენერგიულად შეუდგა ამ საქმეს და ცენტრიდან დაპირებულ დახმარების მოლოდინშია.

დ. მიქაძე.

—

სოფელი უსკოლოთ. ქიათურის მაზრაში, სოფ. ქვედა მეზრულში დღემდი არ არსებობს სკოლა. ეს სოფელი ერთი მივარდნილი ადგილთაგანია. ხალხი ჩამორჩენილია სწავლა-განათლებას. არის ბევრი ახალგაზრდები, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან. აღვძარით შუამდგომლობა სკოლის გახსნის შესახებ, მაგრამ განათლების კომისარიატის ქუთაისის განყოფილებამ ნება არ დაგვრთო. ნუ დაინანებთ მასწავლებლის ჯამაგირს. დაიხსენით ხალხი სიბნელისაგან.

ამბრ. ჩხეიძე.

—

ბეითლები არ გვეხმარება. ს. ტაბახმელაში გაჩნდა ციმბირის ჭირი. საქონელი იხოცება. აქვე არის საშრატე სადგური, რომელსაც ყავს ბეითლების საკმაო შტატი, მაგრამ დახმარებას არავინ გვიწევს.

ჯიხა.

—

სათეატრო მუშაობა მოიკოჭლებს. სენაკის თეატრში მუშაობა არა სდგას მკვიდრ ნიადაგზე. თეატრს არა ყავს მუდმივი დასი. წარმოდგენები იდგმება, მაგრამ მას ხელმძღვანელობენ შემთხვევითი პირები. თეატრალურ მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად უნდა მიღებულ იქნას სათანადო ზომები. არსებობს სახელოვნო საბჭო, მაგრამ მისი მუშაობა ჯერ არ არის დამაკმაყოფილებელი.

ბ. უჩანეიშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **საავადმყოფოს გახსნა.** თბ. ალმასკომის დადგენილებით თიანეთში ახლო ხანში გაიხსნება საავადმყოფო.

— **სასოფლო-სამეურნეო სკოლა.** მომავალ სამოსწავლო წლიდან თელავში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

— **წინამძღვარიანთკარის სკოლაში** მომავალ სამოსწავლო წლიდან გახსნილი იქნება პირველი ჯგუფი 30 მოწაფისათვის.

— **ქოხსამკითხველოს გახსნა.** ახლო ხანში ჭახათის თემში გაიხსნება ქოხ-სამკითხველო.

— **ჯიშიან ფრინველების მოშენება.** სოფ. ხუცუბანში (აჭარა) გაიხსნა ჯიშიან ფრინველების მოსაშენებელი სადგური.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ

ცირკულიარი

ს. ს. ს. რ. ყველა მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს

1925 | 26 სამეურნეო წლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და გატარების შესახებ

ამის მიღებისთანავე გევალებათ დაუყოვნებლივ შეუდგეთ 1925 | 26 სამეურნეო წლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენას; ბიუჯეტების უფრო სისწორით ჩამოყალიბებისა და იმ ნაკლულევანებათა აცილების მიზნით, რომელნიც ახასიათებენ მიმდინარე წლის ბიუჯეტს, საჭიროა იხელმძღვანელოთ ყველა იმ დებულებებით, რომლებიც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცაკის მე-2 სესიის მიერ ა | წ. 16 ივლისს და აგრეთვე ქვემოაღნიშნულ განმარტებებით, რომლებიც წარმოადგენენ სესიის ზემოხსენებულ დადგენილების განვითარებას.

1. 1925 | 26 სამეურნეო წლისათვის ს. ს. ს. რ. ფარგლებში უნდა შედგენილ იქნეს 4 სახის დამოუკიდებელი ადგილობრივი ბიუჯეტი: მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის, სამაზრო ქალაქისა, უმაზრო ან შტატის გარეშე ქალაქის და თემის აღმასრულებელ კომიტეტებისა. თვითეულ მაზრაში და ავტონომიურ რესპუბლიკაში, როცა მათში ეკონომიური, დემოგრაფიული და სხვა პირობები ხელშემწყობია, ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენაში უნდა დაცულ იქნეს დეცენტრალიზაცია, როგორც წესი, და შემუშავდეს თვითეულ ადმინისტრატიულ სამეურნეო ერთეულისათვის ცალკე ბიუჯეტი: ქალაქის, თემის და მაზრის (მაზრის აღმასკომის ბიუჯეტი). საქართველოს ცაკის დადგენილებით თვითეულ მაზრისა და ავტონომიურ რესპუბლიკისათვის განზრახულია გარკვეული დიფერენციაცია, რომელიც სავალდებულოთ უნდა განხორციელდეს. ასე, მაგალითად, თანახმად აღნიშნულ დადგენილებისა, ზემო-სვანეთი შეადგენს მხოლოდ სამაზრო ბიუჯეტს, რომლის გასავლის ნაწილში გათვალისწინებული იქნება მთელი მაზრის ყველა ადგილობრივი საჭიროებანი, რომელნიც უნდა დაკმაყოფილებულ იქნენ 1925 | 26 საბიუჯეტო წელში.

აფხაზეთის ს. ს. ს. რ. მაზრები 1925—26 წელში ადგენენ მხოლოდ სამაზრო და საქალაქო დამოუკიდებელ ბიუჯეტებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ზოგიერთი ეკონომიურად მძლავრი სოფლის საბჭოები გადაკეთებული იქნებიან თემებად, უნდა შეადგინონ აგრეთვე დამოუკიდებელი სათემო ბიუჯეტები, რომელთაც უშუალოდ ასრულებენ თემის აღმასკომები.

მაზრები: თბილისის, გორის, სიღნაღის, თელავის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის და შორაპნისა—ადგენენ მაზრის აღმასკომის, სამაზრო ქალაქების და ყველა თემების ბიუჯეტებს; ამასთანავე გორის მაზრაში, გარდა ზემოაღნიშნულ სამი სახის ბიუჯეტისა, გამოყოფილ უნდა იქნას დამოუკიდებელ საბიუჯეტო ერთეულებათ შტატგარეშე ქალაქები: ბორჯომი და ხაშური; ქუთაისის მაზრაში—ქალაქები სამტრედია და ხონი; შორაპნის მაზრაში—ქ. ზესტაფონი; ბორჩალოს მაზრაში—ქ. შაუმიანი (შულავერი).

ს. ს. ს. რ. დანარჩენი მაზრები: ახალ-ქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, რაჭის, ლეჩხუმის, დუშეთის და ავტონომიური რესპუბლიკები: აჭარისტანი და სამხრეთ-ოსეთი 1925 | 26 სამეურნეო წლისათვის ადგენენ საქალაქო და სამაზრო ბიუჯეტებს ცალ-ცალკე.

ყველა ზემოჩამოთვლილ მაზრებმა უნდა შეადგინონ სამაზრო და საქალაქო ბიუჯეტები, ხოლო თემებისათვის—ცალკე შემოსავალ-გასავლის აღრიცხვები. ბორჩალოს მაზრამ, როგორც ზემოდ იყო ნაჩვენები, ცალკე საბიუჯეტო ერთეულად უნდა გამოყოს უმაზრო ქალაქი შაუმიანი (შულავერი).

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო წინასწარ გადაჭრილად სთვლის რა ს. ს. ს. რ. ყველა მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში, გამოუკლებლივ, დამოუკიდებელ სათემო ბიუჯეტებზე თანდათანობით გადასვლის საკითხს, დაბეჯითებით გირჩევთ ყველა იმ მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში, სადაც ა | წ. 1-ლ ოქტომბრიდან დამოუკიდებელი სათემო ბიუჯეტების გატარება შეუძლებლად იყო მიჩნეული, გაატაროთ მაინც 1925 | 26 წლისათვის რამოდენიმე მსხვილ და ეკონომიურად შედარებით მძლავრ თემებში დამოუკიდებელი საჩვენებელი სათემო ბიუჯეტები, რომელნიც მომავალში მაზრებში, საყოველთაო სათემო ბიუჯეტზე გადასვლის დროს, არა მცირე სამსახურს გაუწევენ ამ ახალი საქმის განხორციელებას მთელი მაზრის მასშტაბით.

აღმასკომებს სავსებით ენიჭებათ უფლება მაზრებში იმ თემების ამორჩევისა, რომლებშიაც საცდელათ უნდა გატარდეს სათემო ბიუჯეტები ა. წ. 1-ლ ოქტომბრიდან, თუმცა ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს საჭიროთ მიაჩნია აღნიშნოს, რომ თავის მხრივ შესაფერად მიაჩნია სათემო ბიუჯეტის გატარება შემდეგ თემებში:

აჭარისტანში—ჩაქვის, კახაბერის, ორთაბათუმის;

სამხრეთ-ოსეთში — ცხინვალის, ახალგორის და ოქონის;

დუშეთის მაზრაში—მუხრანის, საგურამოს, ფასანაურის და ყაზბეგის;

ახალციხის მაზრაში—აწყურის, ასპინძის და ვახანის თემების;

ახალქალაქის მაზრაში—ხერთვისის და გორელოვკის თემების;

ბორჩალოს მაზრაში—ამშლისის, ბაშკიჩეთის და სარვანის თემების;

ლეჩხუმის მაზრაში—ლაილაშის, მექვენის, ცაგერის და ქვიშის.

რაჭის მაზრაში—ონის, ხვანჭკარის, ამბროლაურის და ნიკორწმინდის.

მაზრის აღმასკომებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს შეუძლიათ, თუ საჭიროთ სცნობენ, თემების ზემოაღნიშნული სია გაადიდონ ან შეამცირონ.

2. სათემო ბიუჯეტები და სათემო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვანი უნდა შედგეს ყველა თემებისათვის ერთგვარად და გაურჩევლად, როგორც ნომენკლატურის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილის შევსების სფეროში, ისე თემაღმასკომის ან თემსაბჭოს მიერ ბიუჯეტის განხილვისა და მოწონების წესით.

საქართველოს ცაკის მიერ მიღებული არც ერთი პრინციპი სათემო ბიუჯეტის და შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის აღნაგობისა არ უნდა იყოს დარღვეული სათემო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შედგენის დროს; როგორც ხარჯების მოცულობა, ისე შემოსავალთა დადგენილი სია უცვლელად უნდა დარჩეს ყველა იმ თემებისათვის, რომლებიც ბიუჯეტის ნაცვლად ადგენენ მხოლოდ შემოსავალ-გასავლის აღრიცხვებს. არსებითი განსხვავება სათემო ბიუჯეტისა და სათემო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შორის იწყება მხოლოდ მათი შედგენისა და დამტკიცების შემდეგ, ე. ი. მათი ასრულების დაწყებიდან: სათემო ბიუჯეტს უშუალოდ ასრულებს თემაღმასკომი სათემო შემოსავალ-გასავლის სალაროს საშუალებით, ხოლო თემ-აღმასკომის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის ასრულება სწარმოებს ცენტრალიზაციური წესით სამაზრო შემოსავალ-გასავლის სალაროს მეშვეობით.

სხვადასხვა დამოუკიდებელ ბიუჯეტების შორის ხარჯებისა და შემოსავალთა განაწილების დროს საჭიროა სახელმძღვანელო წესად გაიხადოთ ტერიტორიალური პრინციპი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში კი მოსაზრებანი სამეურნეო მიზანშეწონილობისა ამა თუ იმ ხარჯების განსაზღვრულ ბიუჯეტზე მიკუთვნების საკითხში ან ზოგიერთი საგანგებო დეფიციტიან ბიუჯეტების გაძლიერების მიზნით, როდესაც ზოგიერთ სახის შემოსავალი გადაეცემა მათ ტერიტორიალურ მნიშვნელობის გარეშე. ჩვენი ცირკულიარულ განკარგულებათა თანახმად შემოსავალ-გასავალთა განაწილება ერთსა და იმავე მაზრის ფარგლებში—ქალაქის, თემის და მაზრის აღმასკომების შორის—ამჟამად უკვე მოთავებული უნდა იყოს, მაგრამ შემოსავალსა და გასავლის სიების გადათვალიერებისა და საბოლოოდ დამტკიცების დროს უნდა შეტანილ იქნას ისეთი ცვლილებები, რომელნიც 1) გააძლიერებენ შემოსავალს მახლობლად მყოფ აღმასკომის მეოხებით ყველა საშემოსავლო წყაროების საუკეთესოდ გამოყენებით, 2) მეტს მომჭირნეობას გამოიჩენენ არსებულ სახსართა ხარჯვაში და 3) საერთო-სამაზრო ბიუჯეტში მიაღწევენ ბალანსს. ასე, მაგალითად: იშვიათ გამონაკლისს გარდა არც ერთი ჩვენი სასოფლო ამბულატორია არ არის მხოლოდ ვიწრო სათემო მნიშვნელობისა. ყოველი სასოფლო ამბულატორია ემსახურება არა მარტო ნიშანდობლივ ერთს, არამედ რამდენიმე თემს, ამიტომ ასეთი თემათა შორის მნიშვნელობის ამბულატორიის შენახვა უნდა მიეკუთვნოს სამაზრო ბიუჯეტს. მაგრამ ყოველ კერძო შემთხვევაში, თუ მხედველობაში ვიქონიებთ სამეურნეო სარგებლიანობას, თემიდან სამაზრო ცენტრში მედ-პერსონალის წასვლა-წამოსვლის ხარჯთა შემცირებას, აღმასკომის დაწესებულებასთან მახლობლად მყოფობის გამო მართვა-გამგეობისა და ფინანსიურ დახმარების სიმარჯვეს, ამ შემთხვევაში თემაღმასკომისათვის—სამაზრო ბიუჯეტის დეფიციტიანობას და იმ თემის სიღონივრეს, რომლის ტერიტორიაზედაც არსებობს ამბულატორია თუ მისი მსგავსი ადგილობრივი დაწესებულებები, ასეთ შემთხვევებში შეიძლება ამბულატორია მიეკუთვნოს სათემო ბიუჯეტს. ჩვენს სინამდვილეში მაზრების უმრავლესობას მხოლოდ ერთი საავადმყოფო თუ მოეპოვება სამაზრო ცენტრში და ხშირად ასეთი საავადმყოფო საქალაქო ბიუჯეტზეა მიკუთვნებული. თუ სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტი სუსტია, და მასთან საქალაქო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის მაზრაზე გადაცემა რაიმე მიზეზთა გამო არაა ხელსაყრელი, ამასთანავე თუ ქალაქის ბიუჯეტი შედარებით მტკიცეა და მკვიდრი, ასეთ შემთხვევებში საავადმყოფო მომავალშიაც უნდა დარჩეს საქალაქო ბიუჯეტზე.

თუმცა სასურველი არ არის საერთოდ მიღებულ გასავალისა და შემოსავლის მოცულობის დარღვევა, მაგრამ ვინაიდან 1925—26 წელში ცალკე ადმინისტრატიულ სამეურნეო ერთეულების თანხა მეტად გასაზღვრულია, იძულებული ვიქნებით, საერთო სამაზრო ბიუჯეტში წონასწორობის მიღწევის მიზნით, დავარღვიოთ ტერიტორიალური პრინციპი მაზრის ყველა შემოსავალ-გასავალთა განაწილებისა, ქალაქების, თემების და მაზრის აღმასკომთა შორის.

4. ცალკე მაზრების და ს. ს. ს. რ. ავტონომიურ რესპუბლიკების ფარგლებში დამოუკიდებელ ბიუჯეტთა მოცულობა საბოლოოდ განისაზღვრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის ან სათანადო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ. ვიღებთ რა სახელმძღვანელოთ საქართველოს ცაკის 2 სესიის დადგენილებას მაზრის და ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში შედგენილი (ცალ-ცალკე ბიუჯეტებს შორის) შემოსავალ-გასავლის განაწილების ვადას, საჭიროა მიღებულ იქნას მხედველობაში ყველა ადგილობრივი პირობანი და იმ ადმინისტრატიულ სამეურნეო ერთეულის განსაკუთრებული თვისებანი, რომელთათვისაც განისაზღვრება ხარჯთა რაოდენობა და გადაცემულ შემოსავალთა ნუსხა.

ამგვარად, საქართველოს ცაკის მიერ დადგენილი, მაგალითად, საერთო სათემო ბიუჯეტის მოცულობა უნდა ჩაითვალოს მინიმალურად, და იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა გასავალთა დაწესებულ სიის გაფართოება და სათემო ბიუჯეტის, განსაკუთრებით სათემო მნიშვნელობის გასავალთა დატვირთვით დამატებითი გადიდება, ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო გირჩევთ დაადგეთ სათემო ბიუჯეტის უფრო მეტად დატვირთვის გზას, რაც შემდეგში მამასწავებელი იქნება სათემო აღმასკომის მთელ სათემო მეურნეობასთან დაახლოვებისა. თავის თავად ცხადია, რომ სათემო ბიუჯეტის დამატებითი ხარჯებით დატვირთვა არ უნდა ამძიმებდეს თემს, იგი უნდა იქნეს თემის რეალურ სახსართან შეფარდებული და დაკავშირებული, ან და ანაზღაურებული დამატებით გარეშე საშემოსავლო წყაროებიდან. საქალაქო ბიუჯეტის საშემოსავლო მოცულობის განსაზღვრის დროს დაშვებულია გამოკლება ქალაქის შემოსავალთაგან იმ პროცენტულ ანარიცხებისა, ზედნართების პროცენტებისა სახელმწიფო გადასახადებზე, რომელთაც აძლევენ ქალაქის ტერიტორიაზე სათანადო აღმასკომების ბიუჯეტის შემოსავლის გადიდების მიზნით. ხოლო ქალაქ თბილისში, ბათომში და სოხუმში ასაკრეფ ანარიცხთა რაოდენობა განისაზღვრება სათანადო სამაზრო აღმასკომების ან ავტონომიურ რესპუბლიკათა სახალხო კომისართა საბჭოების მიერ იმ ფინანსიური ხასიათის გარემოებათა მიხედვით, რომელნიც გამოხატულია ცალკე ბიუჯეტის შედგენის დროს, სხვა ქალაქებში კი ხსენებულ ანარიცხთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შემოსავალთა ამ მუხლებში აღნიშნულ საერთოდ შემოსულ თანხის 50 პროც.-ს.

5. მომავალი წლის ბიუჯეტი უნდა იქნეს მტკიცე და არა საორიენტაციო, ე. ი. ის საოპერაციო გეგმა, რომლის საფუძველზე აგებულ იქნა ბიუჯეტი, არ უნდა შეიცვალოს ბიუჯეტის ასრულების პროცესში სამეურნეო წლის დამთავრებამდე. შუა საბიუჯეტო წელში დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვათა შედგენა, თუ მასში არ არის ნაჩვენები ხარჯების დასაფარავად შემოსავლის რეალური წყარო, დაუშვებელია. ამიტომ ბიუჯეტის შედგენის დროს, ადგილობრივ დაწესებულებათა საერთო ქსელიდან და მშენებლობის და კულტურულ სამეურნეო ღონისძიებათა გეგმიდან, რომელნიც ჩვენ მოწერილობათა თანახმად უნდა ყოფილიყვნენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტ. და ავტონომიურ რესპუბლიკების მიერ ადგილობრივ დამუშავებულნი და დამტკიცებულნი, უნდა ამორჩეულ იქნას ბიუჯეტში შესატანად ის დაწესებულებანი და ადგილობრივ მნიშვნელობის დაუყოვნებლივ ასასრულებელი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება შეიძლება მოხდეს სრულიად, 1925—26 წ. შემოსავალთა საბოლოოდ გამოხატულ საკანტროლო ჯამის მიხედვით.

მაგრამ თუ მიღებულ იქნა მხედველობაში, რომ ზოგი მაზრა და ავტონომიური რესპუბლიკა, თავიანთ 1925—26 წ. საშემოსავლო შესაძლებლობათა სიმცირის გამო, ვერ დააკმაყოფილებენ გასავალთა საკანტროლო ჯამს და მომავალი წლის ყველა შემოსავალთა ამოწურვის შემდეგ ბიუჯეტში დარჩება, მის დეფიციტობის გამო, შეუტანელი გადაუდებელ ხარჯთა მთელი რიგი, შეიძლება დაშვებულ იქნას, განსაკუთრებულ შემთხვევაში, [illegible] ბიუჯეტის საკანტროლო ჯამის მიხედვით შემოსავლის და გასავლის გათანასწორების შემდეგ, იმ პარალელურ დამატებითი ბიუჯეტის შედგენა, რომელიც შეიცავს მაზრის ან ავტონომიურ რესპუბლიკის დაუყოვნებლივ ასასრულებელ ხასიათის ადგილობრივ მოთხოვნილებას, რის შეუსრულებლობა მომავალ სამეურნეო წელში მიაყენებს ადგილობრივ მეურნეობას მეტად დიდ ზიანს, ან რომლის ძირითად ბიუჯეტში შეტანა შეუძლებელია 1925 | 26 წლის ადგილობრივ შემოსავალთა და სუბვენციის უკმარისობის გამო. თანახმად საქართველოს ცაკის მიერ დადასტურებულ ცენტრის კატეგორიულ მოთხოვნილებისა შემოსავლის საკანტროლო ჯამის ამოწურვის შემდეგ, დაუშვებელია ბიუჯეტში რომელიმე თუნდაც პირველ ხარისხოვან ადგილობრივ მნიშვნელობის ხარჯების შეტანა და ძირითად ბიუჯეტის დეფიციტით წარდგენა.

6. მომავალ წელს, არსებულ ფინანსიურ პირობათა გამო, ადგილობრივ დაწესებულებათა ქსელის საყოველთაოდ გაფართოება რეალურად შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს, რის გამოც ბიუჯეტის შედგენის დროს თქვენ გმართებთ უაღრესი ყურადღება მიაქციოთ ამჟამად არსებულ ქსელის თვისობრივ გაუმჯობესებას. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სამეურნეო ქსელის თვისობრივ გაუმჯობესებას, ხოლო საქ. ცაკის ამ დადგენილების განსახორციელებლად საჭიროა: ა) აყვანილ იქნას სამეურნეო მომუშავეთა ხელფასი კანონით დაწესებულ მინიმუმამდე, ბ) გაუმჯობესებულ იქნას კვების და სამკურნალო დახმარების მიწოდების ნორმები, გ) დაყვანილ იქნას კანონიერ მინიმუმამდე შემოსვის ნორმები და სხვა.

მიმდინარე საბიუჯეტო წელს, ყველა კულტურულ-სოციალური ხასიათის დაწესებულებანი, რომელნიც ემსახურებიან განსაკუთრებით სოფელს, სრულიად მოკლებული იყვნენ რაიმე ასიგნოვას ელემენტარულ და პირველ მნიშვნელობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მაზრაში ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული სასოფლო სკოლების, ამბულატორიების, ქოხ-სამკითხველოების და სხვა ზემო-აღნიშნული საჭიროებანი, ბიუჯეტის ასრულების პროცესში ყველა ასიგნოვები, უმთავრესად გამოყენებული იყო მაზრის და სამაზრო დაწესებულებათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რის გამო ადგილობრივი სასოფლო-დაწესებულებანი დატოვებული იყვნენ გათბობისა და წვრილი სახელდახელო რემონტის გარეშე და სხვა. მომავალ საბიუჯეტო წელს, ადგილობრივ დაწესებულებათა გამგეების მიერ უშუალო შედგენილ ინდივიდუალურ ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა იქნეს გათვალისწინებული სასოფლო დაწესებულებათა ზემოხსენებული საჭიროებანი. თვითეულ სასოფლო დაწესებულების და სამაზრო ცენტრი, მათ განხილვის დროს ვალდებულია, დაამტკიცოს ის ასიგნოვები, რომელნიც შედარებით უზრუნველჰყოფენ სასოფლო სკოლების, ამბულატორიების და სხვათა მოქმედების ნორმალურ პირობებს.

7. 1925 | 26 წ. ადგილობრივ ბიუჯეტის აგებას საფუძვლად უნდა დაედოს ხელფასის სუბვენციობის პრინციპი საერთოდ სოფლის ყველა მუშაკთა და აგრეთვე დახმარება რესპუბლიკის ადგილობრივ მეურნეობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ დარგთა მიმართ; მაგალითად, გზების მშენებლობა, სოფლის მეურნეობის აღდგენა, საზრიანი წარმოება, სასკოლო და სამკურნალო საქმე და სხვ. 1925 | 26 წ. ბიუჯეტის საშემოსავლო და აგრეთვე, საგასავლო ნაწილში გარკვევით უნდა იქნეს აღნიშნული დანიშნული სუბვენციის საერთო ჯამიდან რა ნაწილი უნდა იქნას დახარჯული ამა თუ იმ ადგილობრივ საჭიროებისათვის რომელიც ექვემდებარება სუბვენციას (სახელმწიფო დახმარებას), ხარჯების რომელი ნაწილი დაიფარება სუბვენციის ანგარიშზე და რომელი ნაწილი ადგილობრივ შემოსავლის ანგარიშზე და სხვ. ანგარიშების შედგენის დროს სასტიკად უნდა იხელმძღვანელოთ ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს მიერ თავის დროზე დაგზავნილ ინსტრუქციით სუბვენციის გამოანგარიშების შესახებ.

რესპუბლიკის დიდ ქალაქთა აღდგენა, რომელთაც აქვთ საკუთარი ფინანსიური ბაზა, უნდა სწარმოებდეს გრძელვადიან კომუნალურ კრედიტის მეშვეობით.

8. ყველა მაზრებმა და ავტონომიურ რესპუბლიკებმა უნდა შეადგინონ თავისი ბალანსიანი ბიუჯეტები შემდეგ ფარგლებში: ა) 1925 | 26 წ. მოსალოდნელ ყველა ადგილობრივ არა საგადასახადო და საგადასახადო შემოსავლის, ბ) მაზრის ან ავტონომიურ რესპუბლიკებისათვის დანიშნულ სუბვენციის და გ) მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხების მიხედვით, ე. ი. ბალანსქმნილი ბიუჯეტები, სათემო დეფიციტიანი ბიუჯეტები უნდა აგრეთვე გათანასწორებულ იქნენ დოტაციით სამაზრო მომწესრიგებელ ფონდებიდან.

9. ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში გამოუკლებლივ უნდა შედიოდეს ყველა საგადასახადო და არა საგადასახადო ხასიათის შემოსავალი, ვინაიდან ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის სწორი აგება დამყარებულია შემოსავლის სისრულესა და სისწორეზე, საჭიროა სავსებით და ზედმიწევნით გამოარკვიოთ განყოფილებების, დაწესებულების ან წამოწყების ყველა შემოსავალი; იმავე დროს საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული უვარგის და არა საჭირო ქონების შესაძლებელი განაღდება და აგრეთვე ეგრედწოდებული შემთხვევითი შემოსავალი. სამეურნეო ხარჯზე მყოფნი წამოწყებანი შეტანილ უნდა იქნენ ბიუჯეტში ბრუტოთ, რასაც მოითხოვს საბიუჯეტო წესი, ბიუჯეტში დადებითი სალდოს შეტანა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, რაც უნდა განისაზღვროს ადგილობრივ.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში უნდა იქნეს აღნიშნული ნატურფონდის და თავისუფალ თანხების ნაშთები და ამის გარდა დაწვრილებით ნაანგარიშევი საგადასახადო და არა საგადასახადო ხასიათის ნარჩენები. ცნობები ნაშთის შესახებ ადგილებმა უნდა წარმოადგინონ ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოში არა უგვიანეს ა | წ. 5 ოქტომბრისა.

ვინაიდან პირველად ტარდება სათემო ბიუჯეტები, ა | კ. ფინსახკომის რწმუნებული წინადადებას გაძლევთ, რომ ყველა თანხების ნაშთები და ნარჩენები ა | წ. 1 ოქტომბრამდე (ქალაქებს გარდა) გატარებულ იქნას სამაზრო აღმასკომების ბიუჯეტში, ამავე დროს აღმასკომის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში შეტანილ უნდა იქნეს თემების მთელი დავალიანება. რაც შეეხება სამხრეთ-ოსეთს, რომელიც არ არის ადმინისტრატიულად დაყოფილი მაზრებად მისი ყველა ნარჩენები, ნაშთები და მთელი დავალიანება უნდა გატარდეს სათანადო თემაღმასკომთა ხარჯთ-აღრიცხვებში.

შემოსავლის გამოანგარიშების დროს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხები უნდა აკრეფილ იქნას იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც დაწესებულია ს. ს. ს. რ. ან ა. კ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოების მიერ, ე. ი. 41,5 პროც. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ყველა ანარიცხის თანხები უნდა გამოყენებულ იქნეს განსაკუთრებით თემის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ხოლო ამ ანარიცხთა სავალდებულო გატარებით სათემო ბიუჯეტში.

აფხაზეთსა და ზემო-სვანეთში ხსენებული ანარიცხები შეიძლება გატარებულ იქნას ადგილობრივ ბიუჯეტებით იმ ვალდებულობით რომ მიღებული თანხა დახარჯული იქნება მხოლოდ სასოფლო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. რომელიმე მძლავრ თემისაგან დეფიციტიან თემების დასახმარებლად 30 პროცენტის რაოდენობით, ანარიცხთა გამოკლების დროს,—ანარიცხის 70 პროც. (41,5 პროც.) უნდა იქნეს ნაჩვენები იმ თემის ნომენკლატურაში, რომელსაც აკლდება ანარიცხის ნაწილი, ხოლო 30 პროც. თანახმად მე-15 კარის მე-2 §-ისა იმ თემთა საშემოსავლო ნომენკლატურაში, რომელნიც სამაზრო მომწესრიგებელ ფონდებიდან იღებენ დახმარებას. მომავალ საბიუჯეტო წელში საჭიროა და აუცილებელი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ყველა იმ წამოწყებათა, ქონებათა და სხვა, რომელთა შემოსავალი მიმდინარე საბიუჯეტო წელს დარჩა ბიუჯეტში გამოუხატველი და იხარჯებოდა ბიუჯეტის გარეშე საჭიროებათათვის. ამას გარდა, შემოსავალთა გამოანგარიშების დროს, ადგილების მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემოსავალი ზოგიერთ ადგილობრივ გადასახადებისაგან და გამოსაღებთაგან, რომელნიც 1924—25 წ. არ იყვნენ გატარებული ცალკე მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში და რომელთაც შეეძლოთ, და კიდევაც შესძლებენ, გადამხდელთა დაუზარალებლად მისცენ აღმასკომებს ერთგვარი დამატებითი საშემოსავლო წყარო. მაგალითად, საჭიროა უსათუოდ სავალდებულოდ ჩაითვალოს გადასახადის გატარება ნაშენებზე, სავაჭრო, საავარაკო და საფაბრიკო-საქარხნო შენობებზე, სატრანსპორტო გადასახადი და სხვა.

კომუნალურ ტარიფთა სასტიკი ანალიზი და განხილვა მოგცემენ აგრეთვე მნიშვნელოვან ფინანსიურ შედეგებს, უმთავრესად კომუნალურ დაწესებულებათა დეფიციტობის მოსპობაში. ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო, აღნიშნავს რა ადგილების მიერ საკანტროლო ჯამების გამოანგარიშების დროს დაშვებულ დიდ ნაკლს და დეფიციტებს, წინადადებას გაძლევთ, რათა 1925—26 წლის შემოსავალთა საბოლოო გამოანგარიშების დროს ზედმიწევნით და უკლებლივ იქნას გათვალისწინებული ყველა შემოსავლის შესაძლებლობანი, შემოსავლის საერთო თანხა აგებულ იქნას დაწესებულებათა სამმართველოების მიერ ცალკე მეურნეობათა დეტალურ აღრიცხვებზე, დამყარებული და დაკავშირებული მაზრის ან ავტონომიურ რესპუბლიკის საერთო ეკონომიკაზე.

ივლისის ცაკის სესიის დადგენილებით 1925 | 26 წ. წ. დაწესებულია პროცენტული დამატებანი სახელმწიფო სარეწაო გადასახადზე, იმ პატენტების საფასურზე, რომლებიც ეძლევათ სასმელების და თამბაქოს ნაწარმოებთა გაყიდვის უფლებისათვის, სახელმწიფოს საერთო საშემოსავლო გადასახადზე და აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიულ და შერეულ საზოგადოებებზე დადებულ საშემოსავლო გადასახადზე და სახელმწიფო სანადირო გამოსაღებაზე დაწესებული პროცენტული ზედნართები, იმ უმაღლეს განსაზღვრულ რაოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია თვითეულ გადასახადზე ცალ-ცალკე ადგილობრივ ფინანსების დროებითი დებულების მე-37 მუხლში. რაც შეეხება სასამართლოსა და ნოტარიულ გადასახადთა პროცენტულ დამატებებს, ეს დამატებანი არ უნდა აღემატებოდეს 50 პროცენტს. ამგვარად ზოგიერთ მაზრებში და რესპუბლიკებში დღემდე არსებულ სახელმწიფო სარეწაო გადასახადზე პროცენტულ ზედნართის 100-პროც. ქვეით დაწესება უნდა მოისპოს და ჩაითვალოს რეალურ შემოსავალთა დასაბუთებულ შემცირებათ.

10. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი უნდა შეიცავდეს განსაკუთრებით მარტივსა და პირველხარისხოვან მნიშვნელობის ხარჯებს, რომელნიც გამოანგარიშებულია ადგილობრივი ეკონომიკის მიხედვით და იმ ფარგლებში. რომელნიც შესაძლებელია რეალურად განხორციელდეს მომავალ საბიუჯეტო წელს საგასავლო ხარჯების აგების დროს და უნდა იხელმძღვანელოთ სასტიკი ყაირათით სამეურნეო საფუძვლიანობის და აუცილებელ საჭიროების მიხედვით გამოუკლებლივ საფოსტო-სატელეგრაფო ან საოპერაციო საჭიროებათა მიერ გამოწვეულ ყველა ხარჯებისა.

გამოუკლებლივ ყველა დაწესებულებანი, რომელნიც კი შედიან სათემო, საქალაქო ან სამაზრო აღმასკომთა ბიუჯეტებში, თითო მათგანი ინდივიდუალურად უნდა იქნას შეტანილი განყოფილების ან უწყების საერთო აღრიცხვაში, თავიანთ ცალკე გამოანგარიშებულ შემოსავალ-გასავლით. ამისათვის საჭიროა მოეთხოვოს თითოეულ განყოფილებას ან უწყებას, რათა მათ მიერ მოთხოვნილი საერთო თანხა წარმოადგენდეს მათ შემადგენლობაში მყოფ ყველა დაწესებულებათა ინდივიდუალურ ხარჯთ-აღრიცხვების მიმატებათა ჯამს და ეს ხარჯთ-აღრიცხვანი უნდა დაერთოს მათ როგორც აუცილებელი დანართები. ბიუჯეტის სისწორე და დეტალიზაცია უნდა მოხდეს ინდივიდუალურ ხარჯთ-აღრიცხვათა მიხედვით; საჭიროა შექმნილ იქნას ისეთი პირობები, როცა თვითეულ დაწესებულებას და წამოწყებას წინასწარ შეუძლია იცოდეს, თუ ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილ რომელ ნაწილში არიან ისინი პასუხისმგებელნი და ადგილობრივი ხარჯების რა ნაწილია დანიშნული მათ თვითეულ საჭიროებისათვის ცალ-ცალკე. ამისათვის აუცილებლად საჭიროა ყოველ დაწესებულების ან წამოწყების მიერ განსაკუთრებით შემუშავებულ ინდივიდუალურ ხარჯთ-აღრიცხვათა შევსება, რისთვისაც საჭიროა ადგილებიდან მიღებულ იქნას ისეთი სახარჯთ-აღრიცხვო მასალა, რომელშიაც თითოეული გადადებული საერთო ასიგნოვა დამყარებული უნდა იქნეს თავის კარებითა და პარაგრაფებით ინდივიდუალურ აღრიცხვათა დეტალურ და სწორ გამოანგარიშებაზე.

საქართველოს ცაკის ივლისის სესიის დადგენილების თანახმად ყველა ხარჯები ახალ მშენებლობის და კაპიტალურ შეკეთების შესახებ, აგრეთვე ყველა ახალი ხარჯები არა საწარმოო ხასიათისა, არსებულ ფინანსიურ პირობებში უნდა ჩაითვალოს მეორეხარისხოვან მნიშვნელობის ხარჯებად და მათი შეტანა ბიუჯეტში, როგორც გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ მცხოვრებთა ძირითად კულტურულ-სამეურნეო საჭიროებათა და იმ ფარგლებში, რომელნიც ნამდვილად შეეფერება მცხოვრებთა საჭიროება-მოთხოვნილებებს.

საჭიროა მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ საგასავლო ნაწილში დავალიანების შეტანის დროს ეს უკანასკნელი უნდა იქნეს ზედმიწევნით და სისწორით აღრიცხული და დამყარებული სათანადოთ საბუთებზე და ამას გარდა შეთანხმებული ნარჩენთა საშემოსავლო აღრიცხვებთან, რადგან შეცდომა იქნებოდა, რომ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის 100 პროცენტით განაღდების დროს შემოსავლის განაღდება მომხდარიყო 60—70 პროცენტით.

1925 | 26 წ. ბიუჯეტის შედგენის დროს უნდა იხელმძღვანელოთ მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოს მიერ ა | წ. 29 მაისს დამტკიცებულ ბიუჯეტის გასავალთა ნორმებით.

ავტონომიურ რესპუბლიკებს, სახკომსაბჭოებს და სამაზრო აღმასკომებს უფლება აქვთ გასავალთა დამტკიცებული ნორმები, როგორც მაქსიმალური, შეამცირონ და შეუფარდონ ადგილობრივ პირობებს და მოსალოდნელ რეალურ ფინანსურ შესაძლებლობას. გამონაკლისი დასაშვებია იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივ პირობებისა ანუ ამა თუ იმ დაწესებულების განსაკუთრებითი ხასიათის მიხედვით, რომელიმე გასავალი ვერას გზით ვერ მოთავსდება დადგენილ ნორმებში; ასეთი გადახვევანი ცალკე უნდა იყოს დასაბუთებული და დამტკიცებული, გასავალთა საბიუჯეტო ნორმების ფულზე გადატანის დროს სახელმძღვანელოდ უნდა აიღოთ ამა თუ იმ ადგილის ა | წ. 15 ივლისს საბითუმო ფასები.

11. ადგილობრივ შემოსავალ-გასავალთა აღრიცხვა 1925 | 26 წ. უნდა შესდგეს მთელი წლისათვის, ე. ი. 12 თვისათვის, 1925 წ. 1 ოქტომბრიდან 1926 წ. 30 ოქტომბრამდე მომავალ 1625 | 26 წ. შემოსავალ-გასავლის ნომენკლატურით. თვითეულ სასმეტო შემოსავლისა თუ გასავლისათვის ნავარაუდევი თანხა ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანება სრულის მანეთობით, ე. ი. ბიუჯეტში სრულიად არ მოიხსენება კაპეიკები. ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილ უნდა იქნას რუსულ საზომების მიხედვით.

12. განსაკუთრებულ ყურადღებისა და დაწვრილებით განხილვის საგანს უნდა შეიცავდეს ხელფასი. იგი უნდა მკაფიოდ იყოს გარკვეული ყოველ ცალკე დაწესებულებისათვის; ამასთანავე გამორკვეული უნდა იქნეს როგორც დაწესებულება-წარმოების მუშა-მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა, ისე ნამდვილად არსებული მათი რიცხვი, მეჯნაკლებობით დანაწილებული განაკვეთის ცხრილის და თანამდებობათა ხარისხებად და თვითეულ მათგანის ძირითად და დამატებითი ჯამაგირის აღნიშვნით.

ფინორგანოებმა გაორკეცებული ყურადღება უნდა მიაქციონ აპარატის სტრუქტურას (აღნაგობას), რომლითაც განისაზღვრება როგორც შტატები, ისე ხელფასის საერთო რაოდენობა. როგორც დაწესებულებათა რიცხვი, ისე მათი აღნაგობა და შტატები იმ მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი, რომელსაც გაამართლებს ცხოვრების ნამდვილი საჭიროება და სწორეთ ასეთი თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ სასმეტო ნავარაუდევთა შეფასების დროს.

ასეთი არის დირექტივა ს. ს. რ. კ. ფინსახკომისა 1925—26 წ. სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ხელფასის გამოანგარიშების შესახებ და იგი სავალდებულოდ უნდა იქნას მიჩნეული 1925—26 წ. ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენის დროსაც. საქართველოს ცაკის ივლისის სესიის დადგენილებით, 1925—26 წ. ხელფასი უნდა გამოიანგარიშონ ადგილების ნამდვილ ფინანსიურ შესაძლებლობის მიხედვით მომავალ წლისათვის, ხოლო მკვიდრი შტატები კი დაწესებულებათა ნამდვილ საჭიროების მიხედვით. ადგილებიდან სამმართველოში წარმოგზავნილ ცნობებიდან, 1925—26 წლისათვის ნავარაუდევ ხელფასის შესახებ სჩანს, რომ წლევანდელთან შედარებით მეტის მეტად გაზვიადებულ შტატების და ხელფასის რაოდენობის მინიმუმი არ შეეფერება ადგილობრივ პირობებს და ადგილების ნამდვილ შესაძლებლობას, ამიტომ მათი უცვლელად შეტანა ბიუჯეტში სახიფათოა, რომ ხსენებული ბიუჯეტი არ გადაიქ

იურიდიული რჩევა-დარიგება

ჩასიძვის და ჩასიმძღის უფლების შესახებ

კითხვა:

მე გადამეცვალა პირველი ქმარი, რომლის შემდეგ დამრჩა ორი შვილი. პირველი ქმრის გარდაცვალების შემდეგ ხელმეორედ გავთხოვდი, ვინაიდან უპატრონოთ ვიყავი დარჩენილი და მშობლებიც არა მყავდა. ჩემი პირველად გათხოვების დროს ჩემზე იყო დამტკიცებული მამა ჩემის ნახევარი ქონება და ნახევარი კი პირველ ქმარზე (ამის მოწმეები ახლაც ცოცხლები არიან).

ახლა მე მსურს ჩავასახლო ჩემი მეორე ქმარი ჩემთან, ვინაიდან ის პროლეტარია და არაფრის მქონე.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, მაქვს თუ არა უფლება ჩავასახლო ჩემთან ახლანდელი ჩემი ქმარი, რომელსაც არ მოეპოება თავის ცალკე თავშესაფარი.

მართა მიხეილის ასული მირუაშვილი.

პასუხი

თქვენ გაქვთ უფლება ჩაისიძოთ და თქვენთან ჩაასახლოთ თქვენი მეორე ქმარი. ჩასიძებულს, რძლად აყვანილს, ან ნაშვილევს აქვს იგივე უფლება კომლის საერთო მიწისა და ქონების სარგებლობაში, როგორც კომლის ძირითად წევრს, მხოლოდ სხვა ოჯახში (სადაც ისინი უწინ ძირითად წევრებად ითვლებოდენ) მიწის სარგებლობის უფლება მათ ეკარგებათ.

(იხ. მიწ. კოდექსის მუხ. 40-ის შენიშვნა).

სკოლის გამგე ვალდებულია თუ არა მოგცეს მოწმობა

კითხვა

სოფელ მუხურში (ზუგდიდის მაზრა) ვიყავი მასწავლებლად ერთი წლის განმავლობაში 7 წლედის შრომის სკოლაში შტატის გარეშე—1923 წლის ენკენისთვიდან 1923 წლის სასწავლო წლის ბოლომდის. კვირაში მქონდა 28 გაკვეთილი. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო მასწავლებლობის მოწმობა სკოლის გამგისაგან, რომელიც ასეთს მე არ მაძლევს.

დ. მეკუა.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 41 და 42-სა სკოლის გამგე ვალდებულია დაგიბრუნონ თქვენ ყველა მოწმობები, რაც თქვენ შეიტანეთ მისდამი რწმუნებულ სკოლაში და აგრეთვე მოგცეთ (თანახმად თქვენი მოთხოვნილებისა) მოწმობა იმის შესახებ, თუ რამდენი ხანი და რა თანამდებობაზე მუშაობდით მასთან.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა:

ვცხოვრობ გუნიბის ჩიხში, სახლი № 8. მიჭირავს ორი ოთახი, რომელიც უდრის 50 კვადრატიულ არშინს. ვართ ექვსი სული და ყველანი იმყოფებიან ჩემს კმაყოფაზე. ვმსახურობ და ვარ კავშირის წევრი, დაზღვეულიც. შრომის ხელფასს ვიღებ—75 მანეთს. სახლის პატრონი მთხოვს 12 მან.

გთხოვთ განმიმარტოთ რამდენი გადავიხადო სახლის ქირა.

ნიკო ყიფიანი.
(მედ.-სანშრომ. კავშირის წევრი
წიგნი № 4073)

პასუხი:

ბინის ქირად თვიურად იხდით ოთხ მანეთს.

მერგება თუ არა შრომის ხელფასი

კითხვა

1923 წლის სექტემბრის 27-დან მე ვიყავი დანიშნული სოფ. მეჯვრისხევში პატარა ლიახვის წყლის უბნის მირაბის (წყლის განმანაწილებელის) თანამდებობაზე და ვმუშაობდი 1925 წლის თიბათვის 21-დე. ვიყავი პირდაპირ დამოკიდებულებაში ქ. გორის წყლის ოლქის უფროსთან, რომელიც დაპირებული იყო დავეკმაყოფილებინე სამუშაო ხელფასით, მაგრამ დღემდე ვერც ერთი კაპეიკი ვერ მიმიღია. ჩემი უფროსი, რომელსაც განუწყვეტლივ ვსთხოვდი შრომის ხელფასს, დღეს-ხვალობით მაკმაყოფილებდა.

პროფკავშირის ცხრილის მიხედვით ამ თანამდებობის ხელფასი უდრის თვიურად 50 მან. 60 კაპ.

გარდა ამ თანამდებობისა ვასრულებ მეჯვრისხევის რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის თანამდებობას, რომლითაც ვიღებდი თვეში 30 მან. 50 კაპ. 1924 წლის მარტის 10-დან.

გთხოვთ განმარტებას, მერგება თუ არა „მირაბის" თანამდებობის ასრულების სამუშაო ხელფასი მეორე თანამდებობასთან დამოუკიდებლად.

ნიკოლოზ ხახუტაშვილი.

პასუხი:

თქვენ უნდა მოგეცეთ შრომის ხელფასი „მირაბის" თანამდებობაზე მუშაობის დროის განმავლობაში სრულიად დამოუკიდებლად მეორე სამუშაოსთან, თუ კი პირველ სამუშაოს თქვენ ასრულებდით იმ თავისუფალ დროს, რაც თქვენ გრჩებოდათ მეჯვ.-ხევის რაიონ. სამხ. მაგიდის თანამდებობის ასრულების შემდეგ. შრომის ხელფასი მოგეცემათ იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია სათანადო სატარიფო ქსელში, ან პირად შეთანხმებაში.

გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით შრომის სასამართლოს.

მომამარეზელ ბიუჯეტს.. ან კიდევ მიმდინარე საბიუჯეტო წლის მსგავსად 1925—26 წელსაც ისეთი დავალიანება არ გამოიწვიოს ხელფასის საქმეში მაზრებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების უმეტესობაში, რასაც ვერ გაანაღდებენ ვერც ადგილები და ვერც ცენტრი.

უარვყოფთ რა ცენტრიდან სავალდებულო მინიმუმის დადგენას, ადგილებმა თვითონ უნდა შეიმუშაონ 1925—26 წლისათვის არსებულ ფინანსიურ შესაძლებლობასთან და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული ხელფასის მინიმუმი, რომელიც დაეგზავნება ადგილებს და ნამდვილად იქნება შესრულებული საბიუჯეტო წლის განმავლობაში 100 პროცენტით.

13. საერთო მაზრობრივ საკანტროლო ციფრების დადგენის დროს 1925—26 წლისათვის ეს ციფრები დაიყოფა ცალკე საბიუჯეტო ერთეულებად: სამაზრო აღმასკომისა, ქალაქისა და ცალკე თემებისათვის. შემოსავალთა საკანტროლო ციფრი, შედგენილი უდეფიციტო ბიუჯეტის აუცილებელ მოთხოვნილებით, იმავე დროს იქნება გასავალთა საკანტროლო ციფრადაც თითოეულ ცალკე სამაზრო ტერიტორიის ბიუჯეტისათვის.

ბიუჯეტით განსაზღვრული გასავალთა საკანტროლო ციფრი სამაზრო აღმასკომისა და სამაზრო ქალაქისა (იქ კი, სადაც ტარდება უმაზრო ქალაქების ბიუჯეტი, ამ ქალაქებისაც) დაიყოფა გასავალთა საკანტროლო ციფრებად, რომელთა დანიშნულებას შეადგენს სახალხო განათლების, ჯანსახკომის, სასოფლო მეურნეობის, საადმინისტრაციო აპარატის, გზათა მშენებლობის და სხვათა საჭიროებათა დაკმაყოფილება. თავის მხრივ მაზრაღმასკომის ყოველი ცალკე განყოფილება, რაკი მიიღებს თავის საჭიროებისათვის გასავალთა ორ საკანტროლო ციფრს: ქალაქის საჭიროებისათვის (გასავალი საქალაქო ბიუჯეტით) და სამაზრო მნიშვნელობის საჭიროებაზე (გასავალი აღმასრულებელ კომიტეტის ბიუჯეტით) დაჰყოფს მათ შესაფერ საკანტროლო ციფრებად განყოფილების ქვემდებარე ყველა დაწესებულებათათვის ცალ-ცალკე: სკოლებისათვის, საავადმყოფოებისათვის, ამბულატორიებისათვის და სხვა, რომლებიც საკანტროლო ციფრების ფარგლებში და მიცემულ ნორმების და წინასწარ დამტკიცებულ სამოქმედო გეგმის საფუძველზე ადგენენ საკუთარს ინდივიდუალურ ხარჯთ-აღრიცხვებს აუცილებელ დანართებით. მაზრაღმასკომთა ყველა განყოფილებანი, შევსებულ ინდივიდუალურ ხარჯთ-აღრიცხვების დაწესებულებათაგან მიღების შემდეგ, თავს უყრიან მათ საერთო საუწყებო ხარჯთ-აღრიცხვაში, რომელიც ჩაიწერება მომავალ წლისათვის მიღებულ ნომენკლატურის მიხედვით, მასთან ერთად შეადგენენ დაწვრილებით განსამარტებელ ბარათს და ინდივიდუალურ ხარჯთ-აღრიცხვებსა და ყველა დანართებთან ერთად წარგზავნიან საფინანსო განყოფილებებში, საშემდეგო დასამუშავებლად და საუწყებო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შესატანად სათანადო ბიუჯეტებში. თემის გასავალთა საერთო საკონტროლო ციფრი ნაწილდება სათითაო საჭიროებათა მიხედვით (სათემო ადმინისტრატიული აპარატი, გზათა მშენებლობა) და ცალკე დაწესებულებათა მოთხოვნილებების მიხედვით (სკოლები, ამბულატორიები, ქოხ-სამკითხველოები და სხვ.) სამაზრო ცენტრის ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით. ამასთანავე თემებში ინდივიდუალურ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის წესით და მთელ სახარჯთაღრიცხვო მასალის სათემო ბიუჯეტში თავმოყრა რჩება ისეთივე, როგორიც არის სამაზრო აღმასკომის განყოფილებათათვის.

სამაზრო ფინგანყოფილება მაზრის ყველა სახარჯთაღრიცხვო მასალებს თავს უყრის მაზრის საერთო ბიუჯეტში, რომელიც შესდგება ყველა ცალკე დამოუკიდებელ ბიუჯეტებისაგან: ქალაქის, მაზრის, და თემაღმასკომების, ეს უკანასკნელნი თავის მხრივ უნდა ემყარებოდენ ინდივიდუალურ ხარჯთ-აღრიცხვებზე; ეს სამფინგანი მასალებს ალაგებს არსებულ ნომენკლატურის მიხედვით, ყველა შემოსავლისა თუ გასავლის ასიგნობებს წაუმძღვარებს დაწვრილებით ანგარიშებს, განმარტებებს, ცხრილებს, დანართებს, ფორმებს და განსამარტებელ ბარათთან ერთად, ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, გზავნის ერთ ცალად ა/ქ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოში არა უგვიანეს ა/წ. 20 აგვისტოსი.

ბევრად უფრო ადრე ბიუჯეტის შედგენამდე საქართ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველომ წინადადება მისცა ადგილებს დაემუშავებინათ საოპერაციო გეგმები, დაენაწილებიათ მაზრის ფარგლებში არსებული ქონება და წარმოებანი საადმინისტრაციო-სამეურნეო ცალკე ერთეულთა შორის, შესდგომოდნენ მოსალოდნელ შემოსავალთა აღრიცხვას და მაზრის ეკონომიკის ყოველმხრივ გამორკვევას და თანაც გააფრთხილა ისინი, რომ ზემოდ დასახელებულ სამუშაოთა შესრულება გაუადვილებდა და გაუმარტივებდა მათ მომავალში ბიუჯეტის აღნაგობას. მაზრებისა და ავტონომიურ რესპუბლიკების უმეტესმა ნაწილმა ნაწილობრივ დამაკმაყოფილებლად შეასრულა მთელი წინასწარი საბიუჯეტო მუშაობა, რის გამოც ეხლა, ბიუჯეტის შედგენის დროს, ადგილები გამოიყენებენ მათ ხელში მყოფ საჭირო მასალებს და დაზოგავენ დროს სხვადასხვა ცნობების და საბუთების შეკრებაში.

ამგვარად, იმ მაზრებისა და ავტონომიურ რესპუბლიკებისათვის, რომელნიც წინასწარ მომზადებულნი არიან საბიუჯეტო მუშაობისათვის, საძნელო ტვირთს აღარ წარმოადგენს არც ბიუჯეტის აღნაგობის განზრახული გეგმა, არც მისი წარდგენა ცენტრში თავის ვადაზე.

14. ანგარიშების, ახსნა-განმარტების, ინდივიდუალურ აღრიცხვათა სავალდებულო ფორმების გარდა, რომელნიც ფინმომუშავეებს მიიღებს თბილისში, ბიუჯეტს დართული უნდა ჰქონდეს დაწვრილებითი განსამარტებელი ბარათი, რომელშიაც სავსებით უნდა იყოს გაშუქებული შემდეგი საკითხები:

ა) ეკონომიკა მაზრისა, რესპუბლიკისა ან ოლქისა: ტერიტორია (მიწაწყალი) სოფლის მეურნეობა, მთლიანი (ხარჯების გამოუკლებლად) სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1923—24 და 1924-25 წლებში, სტიქიურ უბედურებათა შედეგები, მესაქონლეობა, მებაღეობა, შინამრეწველობა, მრეწველობა, ვაჭრობა: სავაჭრო საწარმოთა რიცხვი 1924—25 წ. ხარისხებათ, მათი საერთო ბრუნვა და გაფართოების მიდრეკილებანი; ვაჭრობის დაყოფა (პროც.) სახელმწიფო, საკოოპერაციო და კერძო.

ბ) ადგილობრივი მეურნეობა: საადგილ-მამულო ქონება, ადგილობრივი მრეწველობა, კომუნალური წამოწყებანი, საბინაო ფონდი, გზათა მშენებლობა.

გ) სასოფლო-მეურნეობის დარგში მიღებული ზომები;

დ) სახალხო განათლება;

ე) ჯანმრთელობის დაცვა;

ვ) სოციალური უზრუნველყოფა;

ზ) ადმინისტრატიული ხარჯები. აღმასკომების იურიდიული განყოფილება, მილიცია, სისხლის სამართლის ძიების მილიცია, წითელი ჯარის კმაყოფა.

თ) ცნობები ბიუჯეტის აღნაგობის შესახებ, დანაწილება (დიფერენციაცია), მოწესრიგება (ნორმალიზაცია), ხელფასი, შემოსავალ-გასავლის ანალიზი.

განსამარტებელ ბარათში მოთავსებულ გასაშუქებელ ძირითად საკითხების დეტალური დაყოფა იგივე რჩება, რაც აღნიშნული იყო სამმართველოს მიერ ადგილებისათვის დაგზავნილ პროგრამაში.

კერძოდ კომუნგანყოფილების შესახებ სავალდებულოდ უნდა იქნას წარმოდგენილი ქვემოხსენებული ცნობები: საზოგადო სარგებლობის კომუნწარმოებანი, წყალსადენი, ელექტროსადგური და სხვ.

ექსპლოატაციის წესი: უშუალოდ კომგანყოფილების მიერ წარმოებული, იჯარით გაცემა, ტრესტების კომბინატები და სხვა კომუნგანყოფილების პოლიტიკა ამ დარგში და მისი დასაბუთებანი.

წამოწყებათა საერთო მდგომარეობა, მისი რღვეულება და აღსადგენ მუშაობათა საჭიროება; უმთავრესი ცნობები წამოწყებათა შესახებ.

კომუნგანყოფილებათა მიერ უშუალოდ დამუშავებულ შემოსავალ-გასავლის შედგენა, ახსნა-განმარტება ზარალისა (დეფიციტისა) და მცირე მომგებიანობისა და მის გაძლიერებისათვის საჭირო ზომები.

კომუნალურ სამსახურთა ტარიფიკაცია, რაოდენობა, ნაგებობა, თვითღირებულება კომუნალურ სამსახურთა გაწევის გამო.

კომუნგანყოფილების არა საზოგადო სარგებლობის წამოწყებანი: აგურხანები, სახელოსნოები, ფერმები და სხვ. მათი აღნუსხვა და მოკლე დახასიათება; შემოსავლიანობა ან ზარალი და კომუნგანყოფილების მიერ მათი ექსპლოატაციის საფუძვლები.

საბინაო ფონდი, მუნიციპალიზაციაქმნილ შენობათა რიცხვი, მათი საერთო კუბატურა და შეფასება (თუ შეფასება ყოფილა), მათი დანაწილება საცხოვრებელ ბინებად და არა საცხოვრებელ შენობებათ, (საწყობებში, მაღაზიებში და სხვა) ფონდის მდგომარეობა. დანგრეულ ნაშენთა რაოდენობა. რამდენი პროცენტი არ გამოდგება საექსპლოატაციოთ. ნაშენთა დაცვის ზომები დანგრევისაგან. კაპიტალური შეკეთება (რემონტი) ადგილობრივი საშუალებათა ხარჯით და ხელშეკრულების ძალით. არსებობს თუ არა საბინაო კრიზისი და რა ზომებია მიღებული იმის ასაცილებლად.

ექსპლოატაციის წესი: უშუალო ექსპლოატაცია, იჯარით გაცემა, საბინაო ამხანაგობანი.

წესი ნაშენთა ფონდის მართვა-გამგეობისა, მოსამსახურე პერსონალი (რწმუნებულნი, მეეზოვენი და სხვა).

საბინაო და საიჯარო ქირა, მისი რაოდენობა, აღნაგობა და სარგებლობა. საბინაო ფონდის საერთო შემოსავლიანობა და მისი შეფარდება საგამგეო და შესანახ ხარჯებთან. მცირე შემოსავლიანობის მიზეზები და მისი გასაძლიერებელი ზომები.

სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ დაჭერილ ფონდის რაოდენობა შენობათა რიცხვი, დაკავებული ადგილის სივრცე, ანგარიშის გასწორების წესი და პირობები.

კომუნალურ მეურნეობის შემოსავლის წყაროები საბინაო ფონდის გარდა,—მიწები, ბოსტნები, ტბები და სხვ. მათი რიცხვი კატეგორიების მიხედვით ექსპლოატაციის წესით, 1924—25 წ. შემოსავალი და 1925—26 წ. მოსალოდნელი შემოსავალი.

15. წარმოდგენილ სახარჯთაღრიცხვო მასალების და აგრეთვე მთელი მაზრის ბიუჯეტის საბოლოო განსახილველად ადგილობრივ სამ. ფინგანის გამგის ან ადგილებს ფინსახკომის რწმუნებულის თავმჯდომარეობით ირჩევა საბიუჯეტო კომისია იმ შემადგენლობით, რომელსაც დანიშნავს სამაზრო აღმასკომი ან ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭო. საბიუჯეტო კომისიის ოქმები უნდა სწარმოებდეს შემუშავებულ და თავის დროზე დაგზავნილი ფორმით, სადაც აღინიშნება როგორც მომხდარი ცვლილებანი, ისე სხვა მოთხოვნილ ასიგნობათა შემცირებისა და მომატების მიზეზებით. ასლები საბიუჯეტო კომისიის ოქმებისა ყველა სახარჯთაღრიცხვო მასალებთან გადმოიგზავნება საქართველოს ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

ადგილებს მიმართ წარდგენილი მოთხოვნილებანი 1925—26 წლ. ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენისა და დამუშავების შესახებ უნდა იყოს ცნობილი მინიმალურად, ამიტომ გამოუკლებლივ ყველა საბიუჯეტო მასალების წარდგენა საქართველოს ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოში ითვლება სავალდებულოდ.

ყველა საბიუჯეტო მასალები უნდა გატარდეს სასტიკად მათემატიკური სისწორით და შეცდომებისათვის პასუხს აგებენ ყველა ის პირები, ვინც ხელს აწერენ ბიუჯეტს.

ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში **თ. ჟღენტი.**

ადგილობრივ ფინანსების განყოფილების მმართველი
ვლ. ორჯონიკიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— თ. ქ. აღმრიცხავ გამანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. მიხეილ სამუროვს გამოცხადდეს თბ. კომიტეტის აღმრიცხავ გამანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ტრაპაიძესთან.

— საქართველოს კომუნ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ 13 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიონის პარტკლუბის ბინაზე შესდგება მესამე რაიონის ყველა უჯრედების საორგანიზაციო კომისიების თათბირი უჯრედების მდივნებთან ერთად.

საორგანიზაციო კომისიების ყველა წევრებისა და უჯრედების მდივნების დასწრება აუცილებელია.

მდივნის მაგიერ—ფირალოვი.

— ქალაქის რაიონის ქალთა განყ. იუწყება: დღეს, 13 აგვისტოს, საღამოს 6 ს. რაიკომის შენობაში შესდგება ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

დასწრება სავალდებულოა ქალთა ყველა ორგანიზატორებისათვის.

— საქართვ. კომუნ. პარტიის თბილისის კომიტეტის მესამე რაიკომში შემოვიდა განცხადებები ქვემოხსენებულ ამხანაგებისაგან მათი პარტიაში მიღებისა და კანდიდატობიდან პარტიის წევრათ გადასარიცხვის შესახებ.

ამხანაგებს და იმ პირთ, ვისაც რაიმე ცნობები მოეპოვებათ ქვემოხსენებულ ამხანაგების შესახებ, ვთხოვთ წარმოადგინონ ასეთები რაიკომში (კახეთის ქ. № 1) ერთი კვირის განმავლობაში

პარტიაში მისაღებნი:

1. ტყავტრესტი—სტეფანე ლაჩინოვი;
2. საპონ-ზეთის ტრესტი—ანდრია კლევცოვი, იასონ კაკაურიძე, თედორე მაცუკატოვი;
3. აღმშენებელნი—გუკას მალიანცი;
4. სასურსათო ორგანოები—გარეგინ მობასიანი;
5. მაკარონის ფაბრიკა—ჰაიკ ბეჟანოვი;
6. ცხენ. მცვ. რაზმი—ალექსი ტიმოფეევი;
7. ქალაქის 1-ლი საავადმყოფო—პარუირ მალხაზიანი, სტეფანე გუპალოვი;
8. აბანოები—გიორგი ფურულოვი;
9. სოფ. ნარიმანლი—თედორე მამიკოვი, ანასტასია რეზაევა, ფატმა ასკიაროვა, ერვანდ ბიიტოვი, კასუმ ალიევი, მიხეილ ბარარაშვილი, ივანე გალოტჩენკო, ჯავად მოგლანოვი, ფაშა მამედ-ოღლი, ბაბაჯან ოვშალიმოვი, სონა ალიევა, კარაპეტ ბარხუდაროვი, მახმუდ ალი მამედოვი, აბდურახმან რაგიმოვი, იბრაგიმ მამედოვი;
10. სადგ. გარდაბანი—არშაკ მამისაშვილი, ივანე მაზმიაშვილი;
11. იზოლიატორი—ქავთარაძე, კონსტანტინე სამხარაძე;
12. საქ. სათბ. მასალ. სამმართვ.—ევგენი დერეპალკინი;
13. მიწ.-მოქ. სახკომისარიატი—იოსებ ქიდუა;
14. შრომსახკომი ალექსანდრე თურქია;
15. მეტყავეები—ჰაიკ ავეტისიანი;
16. როზა ლიუქსემბურგ. სახ. ფაბრიკა—ვლადიმერ მესხი;
17. მოლოკანთა კოოპერატივი—მნაცაკან პარტიზპანიანი;
18. საქ. საგ. კომისია—ამაზასპ სააკიანი, ვართან ანტონიანი, გრიგოლი მირზოევი, მიტეს ნერსესიანი, ნაზაპეტ სარქისოვი, თაიარ არაბოვი.

კანდიდატობიდან პარტიის წევრებათ გადასარიცხნი:

1. საკარხნო კომ. № 14—ლევონ მანასიანი, ალექსანდრე მაისურიანი;
2. ქალ. სასაკლაო—ვასილი ურგებაძე, ვლადიმერ დოლობერაშვილი, მიშელ მხიტარიანი, ზაზა რევაზოვი;
3. ა/ქ. საბამბო კომიტეტი—თურიი ჩესნოკოვი.

მდივანი—ფირალოვი.

განცხადებები

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მამა ლომინ, და თამარა, რძალი სონია, დის და ძმის შვილები მერი, ფრანცუზა და ქანდეკლო, ბაშუა გერასიმე, ბებია ნესტანი, ბიძები: ისაკი, სევასტი და ვარლამ, ბიცოლები: მატრონი და ელენა, მამიდები: მარიამი დოლიძე პელაგია ლომინაძისა, ნატალია კოპლატაძისა, იუსტინა დობორჯგინიძისა, ოლია ბარამიძისა და სიძე გრიგოლ ჩიქვინიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ

ქსენია დოლიძის

უდროვოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება აგვისტოს 13-ს 4 საათზე, ქ. ოზურგეთში, მიხა ცხაკაიას ქუჩა, საკუთარი სახლი. 2250. 1—1

ადგილკომების საყურადღებოდ

ადგილკომთა კულტკომისიის უპირველესი დანიშნულება არის ჟურნალ-გაზეთების გავრცელება და მიწოდება ხელისმომწერთათვის.— სამწუხაროდ ზოგიერთი ადგილკომები (მაგ. ზემო-ავჭალის ზაჰესის და სხ.) თვეობით არ გამოაქვთ ფოსტიდან კანტორის მიერ თავის დროზე გამოგზავნილი „მნათობის“ №№, ან მიღებულ №№ უძევთ ყუთში მთელი თვეობით, რაც იწვევს ხელისმომწერთა საყვედურებს.—ამიტომ ვთხოვთ ხელისმომწერთ ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და აიძულონ ადგილკომები თავის დროზე გამოიტანონ ფოსტიდან „მნათობი“. და დაურიგონ ხელისმომწერით.—ყველა ნომრები გაგზავნილია თავის დროზე.

1—1 1607 კანტორა „მნათობი“

[illegible]ერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

„მუზპრედ“-ის თბილისის განყოფილება

იღებს რა მხედველობაში ბათომის, ქუთაისის და მათ მიდამოების მცხოვრებთა დიდ მოთხოვნილებას როიალებზე და პიანინოზე და აგრეთვე წვრილმან სახალხო ინსტრუმენტებზე, აგზავნის თავის წარმომადგენლებს ინსტრუმენტების შეძენის მსურველთა ჩასაწერად და მათთან მოლაპარაკების საწარმოებლად.

სხვადასხვა ფირმების და მოდელების პიანინო და როიალი.

ნახმარი . . . . 400 მანეთიდან და ზევით
ახალი . . . . 850 მანეთიდან და ზევით

ცნობების მიღება შეიძლება ქ. ბათომის 3 ინტერნაციონალის ქუჩა კინო „პალასი“ დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე ამხ. მაშკევიჩთან და ქალ. ქუთაისში სამუსიკო ტექნიკუმში დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

„მუზპრედი“

ნ. 1594—3—2

შაბათს, 15 აგვისტოს, 1925 წლ. დილის 10 საათზე
ქ. თბილისში დანიშნულია

მევინე-მევენახეთა კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობა

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის დასაარსებლათ

დღის წესრიგი:
1. საორგანიზაციო ბიუროს მოხსენება ცენტრის შექმნის შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. კავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება.
4. მომავალი ცენტრის სავარაუდო გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.
5. არჩევნები საბჭოსი, გამგეობის და სარევიზიო კომისიისა.
6. მიმდინარე საკითხები.

დელეგატები უნდა ჩამოვიდნენ თბილისში და გამოცხადდნენ საორგანიზაციო ბიუროში (წარმოკავშირის ბინა—ლიუქსემბურგის ქ. № 3) პარასკევს, 14 აგვისტოს.

რწმუნებულებს უნდა ხელთ ჰქონდეთ სათანადო მანდატები.

ნის. 1598. 2—2. საორგანიზაციო ბიურო ლ. დუმბაძე.

დადგენილება

ა-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1925 წლის 4 აგვისტოს თარიღით
(ხელოვნ. ოქმი № 716).

ანი—ერევან—ქამარლიას შუა საბჭოთა სომხეთის აღმშენებლობისათვის საჭირო თირი—ქვის გადატანაზე შეღავათიან ტარიფის დაწესების შესახებ

2.500 ვაგონი თირი-ქვის (საალმშენებლო ქვა საბჭოთა კავშირის რკ. გზ. ტარიფების კრებულის ჯგუფი 41, პოზიცია 24, ნაწილი 2) გადაზიდვის დროს ანი-ერევან-კამარლიას ხაზზე საბინაო-საალმშენებლო კოოპერატივების და მათი კავშირების მისამართით,

არ უნდა იქნას გადახდევინებული

შემდეგი დამატებითი გადასახადები:

1) დატვირთვა-გადმოტვირთვის გადასახადი იმ პირობით, თუ თირი-ქვის დატვირთვა-გადმოტვირთვა მოხდება ტვირთის მეპატრონეს საშუალებით და 2) გადასახადი აწონისათვის.

გადასაზიდი ქირა გადახდევინებული იქნება საერთო წესით.

შეღავათი ესე დაწესებულია 15 წლის ვადით მისი შემოღების დღიდან, ძალაში შედის 7 დღის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა და გამოყენებული უნდა იქნას თირი-ქვის გაგზავნის და დანიშნულების სადგურებზე ისეთი მოწმობების წარდგენის შემდეგ, რომელიც ადასტურებს, რომ აღნიშნული ტვირთი ეკუთვნის საბინაო-საალმშენებლო კოოპერატივებს ან მათ კავშირებს.

ამიერ-კავკ. რკ. გზ. სამმართ.
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის
მოადგილე, გამგეობის წევრი ფიცხელაური.
სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი შახბუდაგოვი.
ნის. 1609—1—1

საჩხერის „ეპოს“ თანამშრომელი კოლია (ნიკოლოზ) ილარიონის, ძე ზაზაძე სამსახურის საქმეებზე მივლინებული ქ. ქუთაისში, გამოვიდა შინიდან 1 აგვისტოს საღამოს 5 საათზე და მას შემდეგ არ დაბრუნებულა. ვთხოვთ ყველა დაწესებულებას და მოქალაქეთ თუ რამე იციან გვაცნობონ.

საჩხერის „ეპოს“ გამგეობა

2249. 1—1

სამტრედიის უბნის სახ. სასამართლო

ამით აცხადებს დავით აპელასის ძე თელიას საყურადღებოთ, რომ ის ვალდებულია გამოცხადდეს იმავე უბნის სახ. სასამართლოში, ვითარცა მოპასუხე, ძიებისა გამო ილია აბრამის ძე ბ[illegible]შვილისა, მასთან ფულების თაობაზე, პირველ ოქტომბერს (1/X-25 წ.) 1925 წლისა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გადაწყდება [illegible].

2263—1—1 სახ. მოსამართლე: თ. ფხაკაძე.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყოროღანოვის ქ. № 20.
9205 25—13

შემოდგომის გამოცდებისათვის უნივერსიტეტსა და პოლიტექნ. ინსტიტუტში შესასვლელად ვამზადებ მათემატიკაში და ვასწორებ ჩამორჩენილ მუშათა ფაკულტეტის 1, 2, 3, 4 კურსის სტუდენტებს: არითმეტ. და ალგებრაში, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში. ფასი მთელი კურსის შეღავათიანია როგორც ჯგუფში, ისე ცალკე. მაქვს ხანგრძლივი გამოცდილება და სტაჟი. ჩაწერა დილით 8—2 ს. და 4—7 საათ. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 (შესავალი ალექსის ქუჩიდან 5). 2251 2—1

ექიმი
ალ. ვ. მაღალაშვილი
ბავშთა სნეულებანი.
იღებს 2—4 ს. 5—7 ს. საღამ. ყოროღანოვის ქ. № 12. 25—2 2153

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ.
ასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.
25—21

წაღვერი
მედიცინის დოქტორი ა. ა. მოსხი
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკს № 5 (კოოპერატივის მახლობლად).
25—15 1795

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებათა
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 6—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 33.
25—20

ექიმი ნ. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. [illegible] პროსპექტი № 116, [illegible] „ნოე“-ს პირდაპირ.
25—17

ექიმი ი. დ. თოფურიძე
[illegible] (მუხრან [illegible]) № 33.
[illegible]
[illegible]
25—19

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან თეხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა [illegible]. მიღება 12—4 საათამდე და 5—8 საათ. [illegible] ქუჩა № 18 [illegible]
25—19

ექიმი დ. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე [illegible] ქ. № 77, [illegible]
25—14

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
[illegible] მიღება [illegible] ვენერიულ ავადმყ. [illegible] (ქ. 49).
[illegible] 4—8 საღამოს 7—8 საათ. [illegible] სამკურნალო კაბინეტი.
25—18

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, [illegible]
[illegible]
25—15

ექიმი ვ. მ. ფხალაძე
კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)
მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ. ქალების 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 4.
25—19

ექიმმა შუხმანმა
განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში
საღამოს 6—8 საათამდე; ქალების დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).
21—3

ექიმი ვ. გოლდშტეინი
იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე. ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მკურნალობა უფასოთ საქ. სახელმწიფო [illegible] განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე. 25—12

ექ. ა. ე. უზლანერ
ვენერიულ, კანის და შინაგანი ავადმყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. 4 ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ. მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე.
25—2

ექიმი გ. ა. ლუკოვსკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან —11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან [illegible] საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან [illegible] საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35. [illegible]
25—3

ბორჯომი
ექ. ე. გ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს მისამართით:
როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 17
ზოსინის აგარაკი.
15 თიბათვიდან 15 ენკენისთვემდე
25—1

მანგლისი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6-საათამდე. 25—8
ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

ექიმი გ. ი. შაპელნიკოვი
ელისაბედის ქ. № 7
სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.
მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.
25—21

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნ კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
25—13

პროფესორი გ. მ. მუხაძე
საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.
1960 25—10

დაიკარგა აღრიცხვის ქაღალდი № 8215 იოსებ [illegible]ნის სახელზე. ჩ. გ. 2246 1—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 425,584 ნიკოლოზ რამაძის სახელზე. ჩ. გ. 2255 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2367 1916 წ. შალ[illegible] იასონის ძე თუთარაულის სახელზე. ჩ. გ. 2254 1—1

დაიკარგა ვინტოვკის ტარების მოწმობა მოცემული სიღნაღის სამაზრო ინფორმპუნქტის მიერ გიგა ივანეს ძე ბუწაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2253 1—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 716 ბექან შიოშვილის სახელზე. ჩ. გ. 2242 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 346 ვიქტორ ლალიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2248 1—1

დაიკარგა ინვალიდობის მოწმობა № 186 გაცემული თბილისის სოც. უზრუნ. განყოფილებიდან გრიგოლ მიხეილის ძე გოშაძეს სახელზე. ჩ. გ. 2256 1—1

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 12981 ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2552 1—1

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 710 ივანე გედევანიძის სახელზე. ჩ. გ. 2243 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ფელიციტატა სობაძ[illegible] სახელზე. ჩ. გ. 2244 1—1

დაიკარგა მანდატი № 9,252, არჩილ გიორგის ძე აბალაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2245 1-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 123 და სამხედრო ნუსხის ფურცელი ივანე ქურუმის ძე მ[illegible]გიას სახელზე. ჩ. გ. 2247 1—1

დაიკარგა პასპორტი, სამხედრო სააღრიცხვო ბარათი სიმონ კრიხელის სახელზე. ჩ. გ. 2260 1—1

დაიკარგა მარტვილის ჰუმანიტარული ტექნიკუმის კურსდამთავრების ატესტატი და მეტრიკული ამოწერილობა შალვა ჩიხლაძის სახელზე. ჩ. გ. 2258 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, № 709. გიორგი კეხნაძეს სახელზე. ჩ. გ. 2259 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ფურცელი № 4 ნესტორ დავითის ძე მუჯიძის სახელზე. ჩ. გ. (ა) 2257 1—1

დაიკარგა მოწმობა პირადობის № 37 ივლიანე ნიკოლ[illegible] ქონიას სახელზე. ჩ. გ. 2262 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ქაღალდი № 608 სერგო არსენის ძე ხაფავას სახელზე. ჩ. გ. 2261 1—1

დაიკარგა ოზურგეთის 1-ლი შრომის სკოლის კურსის დამთავრების მოწმობა, № 93, ვასო კეკ[illegible]მაძის სახელზე. ჩ. გ. (ბ) 2257 1—1

თბილისის კომუნალური ბანკის ბალანსი

1925 წ. 1 აგვისტოსათვის

აქტივი

კასა და მიმდინარე ანგარიშები	381.889—31
ფასიანი ქაღალდები და უცხ. ვალიუტა	359.745—85
პაები და წარმოებებში მონაწილეობა	192.142—58
სათამასუქო ოპერაციები	3.155.917—98
საქონლის—სესხის ოპერაციები	828.462—77
სესხ. ოპერაც. ფასიან ქაღალდ. ქვეშ	4.800—00
გრძელვადიანი სესხები ბანკის ხარჯზე	421.128—85
„ „ მთავრობის	835.240—00
კორესპონდენტები	2.029.166—83
სხვადასხვა პირები და დაწესებ.	133.547—55
ანგარიში განყოფილებებთან	547.387—59
„ სავაჭ. განყოფ.	219.644—08
ქონება	10.572—45
საორგანიზაციო ხარჯები	8.216—29
მიმდინარე ხარჯები	128.134—24
პროცენტები და კომისია გადახდ.	112.174—85
გასაჩივრებული თამასუქები	55.811—56
დანარჩენი აქტივები	3.538—10
	9.422.520—89

პასივი

თანხები: ძირითადი	934.876—00
სათადარიგო	26.054—37
განსაკუთრ. დანიშნულების სპეციალური თანხები	835.240—00
ანაბარი და მიმდინარე ანგარიშები	2.690.421—10
სესხები	150.000—00
აკრედიტივები	10.000—00
სპეც. მიმდინარე ანგარიშები სახელმწ. ბანკში	64[illegible].300—02
კორესპონდენტები	2.578.092—78
სხვადასხვა პირები	117.727—22
ანგარიში გამგეობასთან	807.800—57
ანგარიში საიპოთეკო განყ.	9.379—28
გადაუხდელი თანხები	19.282—27
პროცენტები, კომისია და სხვა შემოსავალი	594.347—33
	9.422.520—89

ტირაჟი—20.560

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, ს[illegible] წყლულკიძის ქ. № 4